

რუბენ

# გაღრმობა

თეატრით შავზე

Р  
У  
Б  
Е  
Н  
Г  
А  
Г  
О  
Р  
И  
Н

Б  
е  
л  
о  
е  
И  
л  
л  
а  
м  
е  
р  
и



# თეთრით შავზე

გალიეგო რუბენ

სამადლობელი

მადლობა ევას, ჩვენს პირველ დედას, იმიტომ, რომ ვაშლი შეჭამა.  
მადლობა ადამს, იმიტომ, რომ მონაწილეობდა.  
განსაკუთრებული მადლობა ევას.

მადლობა ბებიაჩემს, ესპერანსას, იმიტომ, რომ დედაჩემი გააჩინა.  
მადლობა იგნასიოსს, იმიტომ, რომ მონაწილეობდა.  
განსაკუთრებული მადლობა ბებიას.

მადლობა დედაჩემს, იმიტომ, რომ გამაჩინა.  
მადლობა დავითს, იმიტომ, რომ მონაწილეობდა.  
განსაკუთრებული მადლობა დედას.

მადლობა დედაჩემს, იმიტომ, რომ ჩემი და გააჩინა.  
მადლობა სერგეის, იმიტომ, რომ მონაწილეობდა.  
განსაკუთრებული მადლობა დედას.

მადლობა ჩემს ლიტერატურის მასწავლებელს. ერთხელ, როცა ავად ვიყავი, ქათმის ბულიონი მომიტანა. ხანდახან მურაბაც მოჰქონდა კლასში. ჩვენ ვჭამდით მურაბას და ძალიან ბედნიერები ვიყავით. როცა თემას ვწერდი, ის ყოველთვის ხუთიანს მიწერდა, როცა არ ვწერდი – ორიანს.

მადლობა სერგეის ჩემი პირველი ტექსტების რედაქტირებისა და გამოცემისთვის.  
განსაკუთრებული მადლობა ლიტერატურის მასწავლებელს მურაბისათვის.

მადლობა ჩემს ცოლებს, იმიტომ, რომ იყვნენ.  
მადლობა ჩემს გოგონებს, იმიტომ, რომ იყვნენ და არიან.  
განსაკუთრებული მადლობა ჩემს გოგონებს. მადლობა ყველა ქალს, შვილიშვილსა და ბებიას, ახალგაზრდას და მოხუცს, ლამაზსა და ულამაზოს.  
მადლობა მამაკაცებს.  
განსაკუთრებული მადლობა მამაკაცებს მონაწილეობისათვის.  
კიდევ ერთხელ, მადლობა დედას.

ძალასა და სიკეთეზე

მეკითხებიან ხოლმე, მართლა იყო თუ არა ეს ყველაფერი, რაზეც ვწერ, რეალურები არიან თუ არა ჩემი მოთხრობების გმირები?

ვპასუხობ: კი, იყო, იყო და უფრო მეტიც, ოღონდ ერთია – ჩემი პერსონაჟები კრებითი სახეებია შთაბეჭდილებათა იმ დაუსრულებელი კალეიდოსკოპისა, ბავშვთა სახლებში ჩემს დაუსრულებელ მოგზაურობას რომ სდევდა თან.

ერთადერთ თავისებურებად ჩემი პროზისა, რომელიც ასახავს, მაგრამ შორდება და ხშირად ეწინააღმდეგება კიდევ ცხოვრებისეულ სინამდვილეს, მაინც ავტორის თვალსაზრისი მიმაჩნია. შეიძლება ცოტათი სენტიმენტალური, ლამის პათეტიკურიც კი. მე განზრახ გავურბივარ ცუდზე წერას.

მგონია, რომ ცხოვრებაცა და ლიტერატურაც ისედაც წალევილია სიბნელით. ისე მოხდა, რომ ბევრი სისასტიკე და ბოროტება ვნახე. დაცემული, გაბოროტებული ადამიანის და მისი პირუტყვიული საქციელის აღწერით, შენდა უნებურად ბოროტების ისედაც უსასრულო ჯაჭვს კიდევ უფრო აგრძელებ. ეს კი არ მინდა. მე სიკეთეზე, სიხარულზე, გამარჯვებებზე და სიყვარულზე ვწერ.

ვწერ ძალაზე – სულიერ და ფიზიკურ ძალაზე, ძალაზე, რომელიც ყველა ჩვენგანშია. ძალაზე, რომელიც ყველანაირ გამოცდას უძლებს და იმარჯვებს. თითოეული ჩემი მოთხრობა გამარჯვებაზეა. ის პატარა ბიჭიც კი, ცოტა სევდიანი მოთხრობიდან «კატლეტი» – იმარჯვებს. თანაც ორჯერ. პირველად, როცა უამრავი, მოუწესრიგებელი ინფორმაციდან პოულობს სამ ზუსტ სიტყვას, პოულობს სიტყვებს, რომლებიც ოპონენტზე მოქმედებს; და მეორედ, როცა გადაწყვეტს, შეჭამოს კატლეტი და იცოცხლოს.

ისინიც იმარჯვებენ, ვისაც გადარჩენის ერთადერთ გზად ამ ცხოვრებიდან თავისი ნებით წასვლა აურჩევია. ოფიცერი უთანასწორო ბრძოლაში იღუპება, კვდება სამხედრო წესდების მიხედვით და მაინც გამარჯვებულია. მე პატივს ვცემ ასეთ ადამიანებს. თუმცა მთავარი აქ მაინც რბილი თოჯინებია. ვიცი, მეომრისათვის მთელი სიცოცხლე ბაჭიებისა და დათუნების კერვა გაცილებით ძნელია, ვიდრე ერთხელ ყელის გამოჭრა. ისიც მჯერა, რომ ზოგადადამიანურ სასწოროზე, ახალი სათამაშოთი გამოწვეული პატარა ბავშვის სიხარული ნებისმიერ საბრძოლო გამარჯვებას გადაწონის.

ეს წიგნი ჩემს ბავშვობაზეა – სასტიკზე, საშინელზე, მაგრამ მაინც ბავშვობაზე. სამყაროსადმი სიყვარული რომ შეინარჩუნოს, გაიზარდოს და დაკაცდეს, პატარას ცოტა რამ სჭირდება – სალის ნაჭერი, მეხვიანი ბუტებროდი, ფინიკი, ლურჯი ცა, რამდენიმე კეთილი წიგნი და თბილი სიტყვა. ეს საკმარისია. საკმარისზე მეტიც.

ამ წიგნის გმირები ძლიერი, ძალიან ძლიერი ადამიანები არიან. კაცს ხშირად უხდება ძლიერი და კეთილი იყოს. ეს ყველას არ შეუძლია. ყველას არ შეუძლია გადააბიჯოს სიცივისა და გულგრილობის ზღუდეს. საწყენია – ხშირად სიკეთე სისუსტეში ერევათ ხოლმე. ადამიანად ყოფნა ძნელია, მაგრამ სრულიად შესაძლებელი და ამისთვის სულაც არ არის საჭირო ვინმეს კუდი უქიცინო. არ არის საჭირო – მე ამის მჯერა.

თეთრით შავზე

გმირი

გმირი ვარ. გმრობა ადვილია. თუ ხელ-ფეხი არა გაქვს, ან გმირი ხარ, ან მკვდარი. თუ მშობლები არა გყავს, ხელ-ფეხის იმედად უნდა იყო და გმრობა შეიძლო. მაგრამ, თუ არც ხელი გაქვს, არც ფეხი და ამქვეყანად ობლად დარჩენაც მოახერხე – მორჩა. სიცოცხლის ბოლომდე გმრობისთვის ხარ განწირული. ან უნდა დაიღუპო. გმირი ვარ. მე, უბრალოდ, სხვა გზა არა მაქვს.

\* \* \*

პატარა ბიჭი ვარ. ღამეა. ზამთარი. ტუალეტში მინდა. ძიძას დავუძახებდი, მაგრამ შორს არის, მაინც ვერ გაიგონებს.

სხვა გზა არა მაქვს, უნდა გავფორთხდე ტუალეტამდე.

ჯერ საწოლიდან უნდა ჩამოვიდე. როგორ? მე თვითონ მოვიფიქრე. საწოლის კიდისკენ ვიწევი, პირაღმა ვბრუნდები და სხეულს ძირს ვისვრი. დაცემა. ტკივილი.

კარებისკენ მივფორთხავ, თავით ვაღებ კარს და გარეთ გავდივარ. გარეთ – ასე თუ ისე თბილი ოთახიდან – სიცივესა და სიბნელეში.

ღამით დერეფანში ყველა კარი ღიაა. ცივა, ძალიან ცივა. ტიტველი ვარ.

დიდხანს მივფორთხავ. როცა ძიძების ოთახს ვაღწევ, ვცდილობ გავაგონო. თავით ვუკაკუნებ კარებზე. არავინ მპასუხობს. მერე ვეძახი. ისევ არავინ. ალბათ ჩუმად ვიძახი.

სანამ ტუალეტამდე მივაღწევ, სულ ვიციხები.

ტუალეტშიც ღიაა ფანჯარა. რაფაზე თოვლია.

ქოთანთან მივფორთხავ. ვისვენებ. აუცილებლად მჭირდება დასვენება, უკან დაბრუნება რომ შევძლო. სანამ ვისვენებ, შარდი ქოთანში ყინულის თხელი ფენით იფარება.

უკან ვბრუნდები. კბილებით ვითრევ საბანს, როგორღაც ვეხვევი შიგ და ვცდილობ დავიძინო.

\* \* \*

დილით ჩამაცმევენ, სკოლაში წამიყვანენ. ისტორიის გაკვეთილზე ყოჩაღად მოვყვები ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებებს. ხუთიანს მივიღებ. ისტორიაში სულ ხუთები მყავს. ყველა საგანში ხუთები მყავს. მე ხომ გმირი ვარ.

## ხიშტი

დიდებული რამეა ხიშტი, საიმედო. ერთი დარტყმა და მოწინააღმდეგე ეცემა. ხიშტი პირდაპირ კვეთს მტრის სხეულს, ხიშტი არასდროს არ გიღალატებს, შიგ მიზანში ურტყამს. ტყვია ალაღბედზე ხვდება, ტყვია ბრმაა, ტყვიამ შეიძლება გაგკენწლოს, ან სადმე გაიჩხიროს და ვერაგულად ხრას კაცის სიცოცხლე. ხიშტი ტყვია არ არის, ხიშტი ცივი იარაღია, მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ნამსხვრევი.

ნიკოლაი ოსტროვსკის პირველი წიგნის გარეკანზე ხიშტია ამოტვიფრული. დაბრმავებულ, დამბლადაცემულ მწერალს აღარ შეეძლო საკუთარი ნაწერის გადაკითხვა, ერთადერთი რამეა დარჩენოდა, დაუსრულებლად ეტარებინა თითები ხიშტზე. ყველაზე გამძლე – ქალაღდის ხიშტზე.

ძველი ვიკინგები მსოფლიოს საუკეთესო მეომრები იყვნენ. სულით ძლიერი, უშიშარი მეომრები. ბრძოლისას წაქცეული ვიკინგი ჯერ კიდევ არ იყო სათვალავიდან ამოსაგდები. წაქცეული ვიკინგი სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე კბილებით ჩააფრინდებოდა ხოლმე მტრის ქუსლს. ზეზეურად კვდომა, ბედუკულმართობის წყევლა და დაუსრულებელი წუწუნის სუსტთა ხვედრია. ჰამლეტის მარადიული კითხვა ბრძოლის დროს არ აწვალებს მეომარს. სიცოცხლე და სიკვდილი ბრძოლის ველზე ერთი და იგივე

რამაა. ფუჭი სიცოცხლე და წუწუნით სიკვდილი საზიზღრობაა. ყველაზე დიდი, რისი იმედიც შეიძლება მოკვდავს ჰქონდეს, ბრძოლაში დაცემაა. თუ გაგიმართლებს, თუკი ძალიან გაგიმართლებს, შეიძლება ფრენისას მოკვდე, მოკვდე ხელში ცხენის აღვირით ან გამანადგურებლის შტურვალით, ხმლით ან ავტომატით, სამჭედლო უროთი ან ჭადრაკის მეფით. თუ ბრძოლისას ხელი დაკარგე, არაფერია, შეგიძლია ხმალს მეორე ხელი ჩასჭიდო. თუ დაეცი, ჯერ კიდევ არ არის ბრძოლა დამთავრებული, პატარა შანსი გრჩება იმ ვიკინგივით მოკვდე, კბილებით რომ ითრევედა მტრის ქუსლს. ყველას არ უმართლებს. ბედი ყველას არ უღიმის. ჰომეროსი და ბეთჰოვენი – ბედნიერი რჩეულები, – მხოლოდ შანსების სიმცირეს ადასტურებენ. მაგრამ ბრძოლა აუცილებელია, სხვანაირად არ შეიძლება, სხვანაირად სისულელეა.

წიგნები მატირებდა. წიგნები, ადამიანებისა არ იყოს, ნაირნაირია. რომ დავფიქრდეთ, კარგად რომ დავფიქრდეთ, კომიქსებიც წიგნებია. სასაცილო სათამაშოებს, – ქალაქის ერთდღიან პეპლებს – კომიქსებს, დიდი უპირატესობა აქვთ სხვა წიგნებთან შედარებით – ისინი ბავშვებს არ ატირებენ. მხიარულ, პატარა ბავშვებს არანაირი აუცილებლობა არა აქვთ, წიგნებზე იტირონ. ყოფნა-არყოფნის საკითხავი მათთვის ჯერ არაფერს ნიშნავს. ისინი ჯერ მხოლოდ ბავშვები, მხოლოდ პატარა ბავშვები არიან, ადრეა მათთვის ჯერ ამგვარ რამეებზე ფიქრი. მე ვკითხულობდი წიგნს, ვკითხულობდი და ვტიროდი. შურისა და უძღურებისაგან ვტიროდი. იქ მინდოდა, ბრძოლაში მინდოდა, მაგრამ იქ, ბრძოლაში არ შეიძლებოდა. ჩემთვის სულ არაფერი არ შეიძლებოდა, მიჩვეული ვიყავი, მაგრამ მაინც ვტიროდი. არსებობს წიგნები, მთლიანად რომ გიცვლიან ცხოვრებაზე აზრს არსებობს წიგნები, რომელთა შემდეგაც უკვე სხვანაირად გინდა მოკვდე და სხვანაირად იცხოვრო.

რამის გაგება თუ გინდა, ხალხს უნდა ჰკითხო ან წიგნებს. წიგნებიც ადამიანებია. როგორც კაცს, წიგნსაც შეუძლია დახმარება, როგორც კაცი – წიგნიც ტყუის ხოლმე.

მე ისე, უბრალოდ კი არ ვკითხულობდი წიგნებს, მინდოდა გამეგო, როგორ იყო ეს ქვეყანა მოწყობილი. მინდოდა გამეგო, მე თვითონ როგორ მეცხოვრა ამქვეყნად. ვეკითხებოდი ადამიანებს – არ მპასუხოვდნენ. ვეკითხებოდი წიგნებს – ისინიც ღუმდნენ. წიგნები დაწვრილებით, ძალიან დაწვრილებით მიყვებოდნენ, როგორ უნდა იცხოვრო, თუკი ყველაფერი გაქვს. წიგნის გმირები იტანჯებოდნენ, მე ვერ ვიღებდი იმათ ქალაქის ტანჯვას. ისინიც სკოლის მასწავლებლებივით ზედაპირულები იყვნენ. მასწავლებლები მირჩევდნენ, მეკითხა – მე ვკითხულობდი. ყველაფერს ვკითხულობდი, დაუსრულებლად ვკითხულობდი სუსტი და ზარმაცი პერსონაჟების უაზრო ცხოვრების მოსაწყენ აღწერებს. მასწავლებლები ამ ადამიანებს გმირებს ეძახდნენ – მე ვერაფრით ვერ ვხვდებოდი, რა იყო იმათი გმირობა.

დ არტანიანი გმირია? სადაური გმირია, ხელ-ფეხი ჰქონდა! ყველაფერი ჰქონდა – ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა, სილამაზე, დაშნა და ფარიკაობაც იცოდა. რატომღაა გმირი? მშიშარა და გამცემი, მთელ წიგნში სისულელეებს რომ სჩადის სახელისა და ფულის გამო, გმირია? ვკითხულობდი წიგნს და ნახევარიც არ მესმოდა. ყველანი, – უფროსებიცა და ბავშვებიც, მუშუკეტერებს გმირებად თვლიდნენ. არ ვკამათობდი, აზრი არ ჰქონდა. მე მაინც არ შემეძლო ამ გმირებისთვის მიმებაძა.

ეს სქელი წიგნი რამდენჯერმე გადავიკითხე. ყოჩადი მუშუკეტერების სასახელო ისტორიების გაგრძელებაც წავიკითხე. გაგრძელებამ იმედები არ გამიცრუა. საბრალო მახინჯმა, ბატონმა კოკნარმა ის გააკეთა, რაც ნამდვილ გმირს უნდა ექნა – მოკვდა. მოკვდა და ცოლი და ქონება პორთოსს დაუტოვა. არც ბატონ კოკნარს თანაფუგრძნობდი. ამ საცოდავ მოხუცს იმის ძალა და შეძლება რომ ჰქონოდა, პორთოსისთვის ღვინოში საწამლავი ჩაეყარა, მაშინ მის მხარეს ვიქნებოდი. სასწაულები არ ხდება. უბედური

ხეივანი გაჭირვებით მიათრევდა თავის წილ წუთისოფელს, მისი ინვალიდის ეტლის ფონზე კიდევ უფრო კარგად ჩანდა ჭეშმარიტი გმირების სასახელო საქმეები. საბრალო.

არც სხვები იყვნენ უკეთესები. ზიზღის ღირსი საცოდავი კაცუნები. მწერები, ადამიანებს ნაწილობრივ რომ ჩამოჰგავდნენ. ქაქით სავსე ტომრები, არც მიწაზე რომ ვარგოდნენ, და არც ცაში. მეომრები, რომელთაც არც ცხოვრება შეეძლოთ და არც სიკვდილი. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, ისიც ზოგჯერ, იმსახურებდა ჩემს პატივისცემას, მაგალითად, პორთოსი. პორთოსი უფრო მომწონდა, ვიდრე კონკარი. პორთოსმა ის მაინც შეძლო, რომ კაცურად მომკვდარიყო.

გუინპლენი – სულელი, რაღაც წვრილმანის გამო იტანჯებოდა. დიდი რამეა დამახინჯებული სახე. სირანო ცოტათი უფრო ჭკვიანურად იქცეოდა. თუკი ღონიერი ხელები გაქვს და ფარიკაობაც კარგად გეხერხება, სილამაზე რაღა სალაპარაკოა. ისე, სირანომაც დამწყვიტა გული. ძლიერი მამაკაცებთან ურთიერთობაში, დოყლაპია და უმწეო აღმოჩნდა სიყვარულში.

კვაზიმოდოსი მშურდა. ხალხი იმასაც ისეთივე ზიზღით და სიბრაღულით უყურებდა, როგორც მე. მაგრამ მას ხელ-ფეხი ჰქონდა. მას ჰქონდა მთელი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

წიგნის გმირები ან საერთოდ არ იყვნენ გმირები, ან მხოლოდ ნაწილობრივ. მხოლოდ საუკეთესოები მათ შორის, დროდადრო, ისიც თითქოს თავისდაუნებურად იქცეოდნენ ხოლმე გმირულად. ისინი თავს უფლებას აძლევდნენ, სიკვდილის წინ რამდენიმე წუთი ეცხოვრათ. მეც მხოლოდ სიკვდილის წინ მომწონდნენ. მხოლოდ ღირსეული სიკვდილი არიგებდა მათ ამაო სიცოცხლესთან.

მე იშვიათად ვტიროდი წიგნებზე. სატირელი წიგნებში გამომოგონილი სადარდებლის გარეშეც საკმარისზე მეტი მქონდა. აი, ეს კი ნამდვილი წიგნი იყო. ეს წიგნი არ ტყუოდა.

პავკა კორჩაგინი ცხენსაც კარგად დააჭენებდა და ხმალსაც მუშკეტერებზე ნაკლებად არ იქნევდა. პავკა კორჩაგინი ძლიერი და მამაცი ბიჭი იყო. ის იდეისათვის იბრძოდა, სახელი და ფული არ ადარდებდა. ვერ დაიფარა ბრმა ტყვისაგან ბუდიონოვკამ, რაინდთა ჩაფხუტის უბარდუკმა იმიტაციათ. ბასრი ხმალი უძლური აღმოჩნდა მაუზერის წინააღმდეგ. იცოდა ეს და მაინც გადიოდა საბრძოლველად. ისევ და ისევ გადიოდა. ისევ და ისევ მიიწევდა ფიცხელ ომში. იბრძოდა და იმარჯვებდა, სულ იმარჯვებდა! იარაღითა და სიტყვით. როცა სხეული დაუძაბუნდა, როცა ხელში ვეღარ იჭერდა ხმალს, იარაღი შეცვალა. კალამი ხმალს გაუტოლა. მან შეძლო ცივი იარაღის უკანასკნელი რაინდი, მეოცე საუკუნის უკანასკნელი ვიკინგი ყოფილიყო.

რა უნდა ქნას კაცმა, როცა თითქმის აღარაფერი დარჩენია? რითი გაამართლოს უძლური ლეშის გაძაღლებული სიცოცხლე? რატომ იცხოვროს? მე არ ვიცოდი მაშინ, არც ახლა ვიცი. მაგრამ, პავკა კორჩაგინით არც მე მინდა სიკვდილამდე სიკვდილი. მე უკანასკნელ წუთამდე ვიცოცხლებ, და ვიბრძოლებ. ნელ-ნელა ვაჭერ თითს კომპიუტერის კლავიშებს და სიტყვები გამომყავს. გულმოდგინედ ვჭედავ ჩემს ხიშტს – ჩემს წიგნს. ვიცი, მხოლოდ ერთი დარტყმის უფლება მაქვს, პირდაპირ ხვდება. დიდებული რამეა ხიშტი – საიმედო.

პატარაობისას, ექვს წლამდე, სულ დედაზე ვოცნებობდი. მერე გავიგე, უფრო სწორედ, ამიხსნეს, რომ დედაჩემი «შავტრაკა ჩათლახია», რომელმაც მიმაგდო. ძალიან მერიდება, ამას რომ ვწერ, მაგრამ ზუსტად ასე, ამ სიტყვებით ამიხსნეს.

ვინც ამიხსნა, ისინი დიდები და ძლიერები იყვნენ. ყველაფერში მართალნი, ასეთ წვრილმან ტყუილს ხომ არ მეტყოდნენ? თუმცა იყვნენ სხვა უფროსებიც – მასწავლებლები.

მასწავლებლები მიყვებოდნენ შორეულ ქვეყნებზე, დიდ მწერლებზე, იმაზე, რომ ცხოვრება მშვენიერია და ამ ცის ქვეშ ადგილი ყველას ეყოფა, მთავარია, კარგად ვისწავლო და უფროსებს ყველაფერი დავუჯერო. თურმე მატყუებდნენ, ყველაფერს მატყუებდნენ. მესაუბრებოდნენ ვარსკვლავებზე და პლანეტებზე, ბავშვთა სახლის ეზოს გარეთ კი არ მახედებდნენ. მესაუბრებოდნენ ადამიანთა თანასწორ უფლებებზე, კინოსა და ცირკში კი მხოლოდ ისინი დაჰყავდათ, ვისაც სიარული შეეძლო.

არ ტყუოდნენ მარტო ძიძები. ისინი არასდროს არ ტყუოდნენ. ხანდახან კანფეტებითაც კი გვიმასპინძლებოდნენ. ხან ბრაზიანები, ხანაც ხალისიანები, – ყოველთვის გულწრფელები და პირდაპირები იყვნენ. მათგან ვიგებდით იმას, რაზედაც ადამიანურ და გასაგებ პასუხს მასწავლებლებისაგან ვერასდიდებით ვერ მოვისმენდით. გვადლებდნენ კანფეტს და გვეუბნებოდნენ, «არა ჯობდა, მომკვდარიყავი, არც ჩვენ გაგვაწვალებდი და არც შენ გაწვალდებოდიო». გაჰქონდათ მიცვალებული და ამბობდნენ – «დაისვენა საბრალოდო». როცა გაცივებული სკოლაში არ მივდიოდი და მარტო ვრჩებოდი საძილე კორპუსში, მიძას ტკბილეული მოჰქონდა ხოლმე, კანფეტი ან კომპოტის ნარჩენი, მაჭმევდა და თან ათას საინტერესო ამბავს მიყვებოდა, ფრონტზე დაღუპულ შვილებზე, ლოთ ქმარზე. მე ვუსმენდი და ყველაფერი მჯეროდა ისე, როგორც ბავშვობაში გვჯერა ხოლმე. საწყენია, მაგრამ დიდებს ხომ აღარ შეგვიძლია ასე გვჯეროდეს. და აი, შავტრაკა ჩათლახზეც ისევე უბრალოდ და მარტივად მიამბეს, როგორც წვიმასა და თოვლზე.

ექვსი წლიდან დედაზე აღარ მიოცნებია. ვოცნებობდი, სიარულიშემძლებოდა. მოსიარულეები ყველანი იყვნენ, ისინიც კი, ვინც ძლივს დაჩოჩავდა ყვარჯნებით. მოსიარულეებს გაცილებით უკეთესად ექცეოდნენ, ვიდრე ჩვენ. გაიზრდებოდნენ, დატოვებდნენ ბავშვთა სახლს, გახდებოდნენ ბუღალტრები, მეწაღეები ან მკერავები – საზოგადოებისთვის საჭირო ადამიანები. ბევრი განათლებასაც იღებდა, კაცი ხდებოდა. მერე ძვირფასი მანქანებით მოადგებოდნენ ხოლმე ბავშვთა სახლის ეზოს. ამ დროს ჩვენ დარბაზში შეგვრეკავდნენ ხოლმე, გვიყვებოდნენ, რა თანამდებობა ეჭირათ ჩვენი სკოლის ყოფილ მოსწავლეებს. გამოდიოდა, რომ ეს სქელი ძიძები და დეიდები სულ უჯერებდნენ უფროსებს, კარგად სწავლობდნენ, და ყველაფერს შრომითა და ბეჯითობით მიაღწიეს. მაგრამ მათ სიარული შეეძლოთ! რა ჩემ ფეხებზე მინდოდა ამ ტრაბახა ტიპების ტყუილი რატრატის მოსმენა, ისედაც მშვენივრად ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა იმის მერე, რაც სიარულს შეეძლებოდა. აი, სიარული როგორ მესწავლა, ამაზე არავინ არაფერს მეუბნებოდა.

რვა წლისა ერთ უბრალო რამეს მივხვდი. – მარტო ვიყავი და არავის ვჭირდებოდი. დიდებიცა და პატარებიც ძირითადად ხომ საკუთარ თავზე ვფიქრობთ. რასაკვირველია, ვიცოდი, რომ სადღაც, ცხრა მთას იქით არსებობდნენ დედები, მამები, ბებია-ბაბუები, მაგრამ ეს იმდენად შორეული და დაუჯერებელი რამე იყო, რომ ავდექი და მთელი ეს მონაჭორი ვარსკვლავებისა და პლანეტების სამყაროს მივაკუთვნე.

ცხრა წლისა მივხვდი, რომ სიარულს ვერასოდეს შეეძლებოდა. ეს ძალიან სამწუხარო იყო. დაიბურა შორეული ქვეყნები, ვარსკვლავები და სხვა ასეთი ოცნებები. აღარაფერი დამრჩენოდა, მხოლოდ სიკვდილი – გაწელილი და უსარგებლო.

ათი წლისამ კამიკაძეზე წავიკითხე. ამ ყოჩაღ ბიჭებს სიკვდილი მოჰქონდათ მტრისათვის. ისინი ერთი დაუნდობელი გაფრენით ყველა ვალს უსტუმრებდნენ

სამშობლოს. ყველაფრისათვის იხდიდნენ, შეჭმული ბრინჯისათვის, დასვრილი ჩვრებისათვის, სასკოლო რვეულებისათვის, გოგონების ღიმილისათვის და იმ უფლებისთვისაც, ყოველდღიურად რომ უყურებდნენ დედას. ეს ჩემზე იყო ზედგამოჭრილი. ვიცოდი, თვითმფრინავში მე არავინ ჩამსვამდა. მე ტორპედოზე ვოცნებობდი, ასაფეთქებელი ნივთიერებით გამოტენილ სამართავ ტორპედოზე. ვოცნებობდი, ჩუმად, ჩუმად მივპარვოდი მტრის თვითმფრინავს და წითელ ღილაკზე დამეჭირა თითი.

მას მერე დიდი დრო გავიდა. უკვე დიდი კაცი ვარ და ბევრი რამ ვიცი. შეიძლება, ეს კარგი იყოს, შეიძლება არც იყოს კარგი. მრავლისმცოდნე კაცები ხშირად მოსაწყენები და პრიმიტიულები არიან. არანაირი უფლება არა მაქვს სიკვდილი ვინატრო. მარტო აღარ ვარ. ცოლსა და შვილებს ვუყვარვარ, მეც ძალიან, ძალიან მიყვარს ისინი. მაგრამ ხანდახან, დამდამობით, როცა ვწევარ და ვერ ვიძინებ, ისევ ვფიქრობ ხოლმე წითელღილაკიან ტორპედოზე. ეს გულუბრყვილო, ბავშვური ოცნება ვერ დავივიწყე და ალბათ, ვერც ვერასდროს დავივიწყებ.

### დღესასწაული

პირველი მოგონება. მარტო ვარ. ძალიან პატარა. მანუში ვწევარ. ვყვირი. არავინ არ მოდის. დიდხანს ვყვირი. მანუში ჩვეულებრივი საბავშვო საწოლია მაღალი ბორტებით. ზურგზე ვწევარ. სველი ვარ და მტკივა. მანუჟის კედლებზე თეთრი ტილოა ჩამოფენილი. არავინ არ მოდის. თვალწინ თეთრი ჭერია, თავს თუ მოვაბრუნებ, ისევ თეთრ ზეწარს მივჩერებივარ. ვჯღავი და ვჯღავი. უფროსები განრიგის მიხედვით მოდიან. როცა მოდიან. მიყვირიან, მაჭმევენ, საფენებს მიცვლიან. მე მიყვარს ისინი, იმათ – არა. კარგი, მიყვირონ, თუნდაც მაგარ ტახტზე გადამაწვინონ, სულ ერთია. ოღონდ ვინმე მოვიდოდეს. მაშინ სხვა მანუჟებსაც დავინახავ, დავინახავ მაგიდას, სკამებს, ფანჯარასაც. სულ ესაა. მერე ისევ მანუში მაწვენენ. მაშინვე ტირილს ვიწყებ. მიყვირიან, არ უნდათ, რომ ხელში ამიყვანონ, მე კიდევ მანუში წოლა არ მინდა. რაც თავი მახსოვს, სულ მეშინოდა, როცა მარტოკას მტოვებდნენ, არადა, გამუდმებით მტოვებდნენ მარტოს.

მახსოვს პირველი და ყველაზე სასიამოვნო სურნელი – ერთმანეთში არეული ღვინისა და სუნამოს არომატი. ხანდახან თეთრხალათიანი ქალები მოდიოდნენ და ხელში მიყვანდნენ. ღვინის გემრიელი სუნის ასდიოდათ. ფრთხილად მიჭერდნენ, ისე არა, როგორც ყოველთვის. «დღესასწაულიაო» – ამბობდნენ, სადღაც გავყავდი. მერე დიდ ოთახში შევდიოდით, იქ მაგიდა და სკამები იდგა. ვიღაცას კალთაში ვეჯექი, მერე ხელიდან ხელში გადავდიოდი, გემრიელ რამეებს მაჭმევდნენ. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ყველაფრის დანახვა შემემლო, სულ ყველაფრის, ადამიანთა სახეების, ლამაზი თევშების, ბოთლების, სირჩების. ქალი, რომელსაც კალთაში ვეჯექი, ერთი ხელით ფრთხილად მიჭერდა, მეორით ღვინოს ისხამდა, ყლურწავდა და თან საჭმელს აყოლებდა. საჭმელი ნაირ-ნაირი იყო, ქალი თითოეულ ულუფას პატარა ლუკმას აციცქნიდა და პირში მიდებდა. არავინ არავის არ უყვიროდა. წყნარად და თბილად ვიყავი.



ბავშვთა სახლში ლოთობაა, ჩვეულებრივი ლოთობა, წესის და რიგის მიხედვით. უფროსკლასელები არიან. ბიჭები არაყს სვამენ, საჭმელს აყოლებენ. უცბად მოგროვდნენ გაკვეთილების მერე, კუთხეში მიიყუჩნენ, ერთი «ატანდაზე» დააყენეს, გახსნეს კონსერვები, ჩქარ-ჩქარა ჩამოატარეს არაყი ერთი ტოლჩით, თან ილუკმებოდნენ.

უცებ შემნიშნეს. ოთახის მოპირდაპირე კუთხეში ვიწექი ლოგინის ქვეშ და წიგნს ვკითხულობდი. მოსახეხრებელია ასე კითხვა, ტანი ლოგინის ქვეშაა, თავი და მხრები – გარეთ, წინ წიგნი გიდევს. არავინ წამოგედება, არავინ შეგაწუხებს.

– რუბენ, მოცოცდი აქ.

წიგნს განზე ვდებ და მივფორთხავ. ნელა მიჩოჩავ, მაგრამ მოთმინებით მელოდებიან.

– არაყს დალევ?

რიტორიკული კითხვაა, მშვენივრად ესმით, რომ არაყი ჩემთვის ჯერ ადრეა. არაყს თორმეტი წლიდან სვამენ.

ყველა იცინის. უბოროტოდ იცინიან, კარგ ხასიათზე არიან.

– კარგი, სერიოზა, შეეშვი. ჯობია ვათოხლაოთ.

სერიოზა, უფეხებო ბიჭი, ძეხვიან ბუტერბროდს მიკეთებს, ნივრის კბილსაც მირჩევს.

ბიჭები არაყის სმას ამთავრებენ, ცარიელ ბოთლს მალავენ, ილუკმებიან. მეც მათთან ერთად ვჭამ. მშვენივრად ვართ. დღესასწაულია. დღესასწაული რომ არა, ვერავინ შემამჩნევდა, მით უმეტეს, არც საჭმელს მიწილადებდა ვინმე. მე არავინ არა ვარ.

არაყს ჩეფირს აყოლებენ. დიდ ქილაში ხარშავენ, ნელ-ნელა, რიგრიგობით სვამენ. ჩეფირი არ მესმევა, მარტო იმიტომ კი არა, პატარა რომ ვარ, ყველამ იცის – ავადმყოფი გული მაქვს.

სერიოზა არყის ტოლჩას იღებს, სწრაფად ხტება თავის ურიკაზე და ოთახიდან გადის. მალევე ბრუნდება, ცალ ხელში წყლით სავსე ტოლჩა უჭირავს, მეორით ფრთხილად მოაგორებს ურიკას, ტოლჩას იატაკზე დგამს, ტუმბიდან მურაბის ქილასა და კოვზი იღებს, ცოტა ჩეფირს ამატებს მდულარეს, მურაბასაც ასხამს.

– აჰა, რუბენ, შენ, მურაბიანი ჩაი.

ბიჭები ჩეფირს სვამენ, მე – ტკბილ ჩაის. კარგადა ვარ. დღესასწაულია.

## საჭმელი

ჭამა არ მიყვარდა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, აბებს ვირჩევდი ფანტასტიკური მოთხრობებიდან. დალევ ერთ აბს და მაძლარი ხარ მთელი დღე. ცუდად ვჭამდი. მეხვეწებოდნენ, მაძალებდნენ, კოვზით მაჭმევდნენ. არაფერი გამოდიოდა.

ბედმა გამიღიმა. როცა სულ პატარა ვიყავი, ჩვილ ბავშვთა სახლში ვცხოვრობდი, სოფლად. კარგად და გემრიელად გვაჭმევდნენ, ძიძები კეთილები იყვნენ, თვალი ეჭირათ, რომ ყველას კარგად ეჭამა, ზრუნავდნენ ჩვენზე.

მერე სხვა ბავშვთა სახლებიც ვნახე, – სხვა ძიძები, სხვა საჭმელი. ქერის ფაფა, ჭიანი თაფლაკვერები, ლაყე კვერცხი. ყველაფერი მინახავს. მაგრამ ამაზე არ დავწერ.

უცნაურია, საჭმელთანაა დაკავშირებული ჩემი ბავშვობის საუკეთესო წუთები. ყველაზე ტკბილი მოგონებები საჭმელზეა, უფრო სწორედ, იმ ადამიანებზე, ვინც თავისი კეთილგანწყობის ნიშნად ამ საჭმელს მიყოფდა და მჩუქნიდა. უცნაურია.

\* \* \*

ვერ ვიგონებ, სად მოხდა. თეთრხალათიანები მახსოვს, ბავშვებიც ბევრნი ვიყავით – ყველანი პატარები.

ოთახში ანანასი შემოიტანეს. მაშინ მომეჩვენა, რომ ძალიან დიდი და ლამაზი იყო. მაშინვე არ გაუჭრიათ, ჯერ ყურებით ტკობა გვაცალეს. როგორც ჩანს, უფროსებსაც ენანებოდათ ამ მშვენიერების დაჭრა. ანანასი რუსეთში იშვიათობაა.

მაგრამ ანანასმა ყველას გაუცრუა იმედი, უფრო სწორად, თითქმის ყველას. ბავშვებმა გასინჯეს და არ მოეწონათ ანანასის რაღაცნაირი გემო. არავინ არ შეჭამა. მარტო მე ვჭამდი. უფროსების საუბარი დამამახსოვრდა.

– მოდი, კიდევ მივცეთ.

– არა, რას ამბობ, რომ აწყინოს?

– არ გინახავს ამისი ბარათი? შეიძლება მამამისი სულაც ამ ანანასებზეა გაზრდილი. იქ ანანასი ისეა, როგორც ჩვენთან კარტოფილი.

კიდევ მაძლევდნენ და მაძლევდნენ, მგონი, თვითონაც ახალისებდათ იმის ცქერა, როგორ ჭამდა ეს უცნაური ბავშვი ეგზოტიკურ ხილს. თანაც ხომ არ გადაყრიდნენ? ბლომად ვჭამე ანანასის ნაჭრები და ცუდადაც არ გავმხდარვარ.

\* \* \*

ჩემს პირველ ბავშვთა სახლში მიმიყვანეს. არც თეთრხალათიანები იყვნენ, არც რიგებად ჩალაგებული საწოლები ჩანდა. სამაგიეროდ ტელევიზორი იდგა და ბავშვები ვიყავით ბევრნი.

– რა, ამას სულ არ შეუძლია ჯდომა? მოდი, დივანზე დავსვათ და ბალიშები შემოვუწყოთ.

დამსვეს დივანზე, ბალიშები შემომიწყვეს და კოვზით მაჭამეს მანიფაფა. ფაფა ძალიან გემრიელი იყო. მოულოდნელობისაგან მთელი თეფში გავათავე და დამეძინა. მომეწონა ბავშვთა სახლი.

\* \* \*

საავადმყოფო. ღამეა. ყველას სძინავს. პალატაში ექთანი შემორბის და ჩემი საწოლის თავთან ღამის ნათურას ანთებს. ლამაზი კაბა აცვია, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, თმები დახვეული აქვს და მხრებზე ჩამოშლილი. ჩემკენ იხრება. ძალიან დიდი და ბედნიერი თვალებით დამყურებს. სუნამო ასხია და რაღაც შინაური, არასაავადმყოფოური სურნელი ასდის.

– დახუჭე თვალები და პირი გააღე.

ვემორჩილები. პირში შოკოლადის კანფეტს მიდებს. ვიცი, როგორც იჭმება შოკოლადი. ხელში უნდა დაიჭირო და ნელ-ნელა უნდა წუწნო, თანაც მინდა შევხედო, როგორია.

– დალეჭე და გადაყლაპე, ჰო?

თავს ვუქნევ.

აქრობს ღამის ნათურას და გარბის. ვლეჭავ კანფეტს. პირი რაღაც ტკბილით და მწველით მევსება, თავბრუ მესხმის. ბედნიერი ვარ.

\* \* \*

მორიგ ბავშვთა სახლში გადამიყვანეს. დერეფანში მივფორთხავ. საპირისპირო მხრიდან ძიძა მოდის. დერეფანში ბნელა და მაშინვე ვერ მამჩნევს. როცა სულ ახლოს მოდის და მხედავს, შეშინებული შეჰკვივლებს და უკან ხტება. მერე იხრება, კარგად რომ დამათვალიეროს. კანი მუქი მაქვს, თავი – გადაპარსული. დერეფანის ბინდ-ბუნდში ერთი შეხედვით მარტო დიდი თვალები მოჩანს, იატაკიდან თხუთმეტ სანტიმეტრზე ჰაერში დაკიდული დიდი თვალები.

– რა გამხდარია, ძვალი და ტყავი. გეგონება ბუხენვალდიდან არისო.

მართლაც, მსუქანი არა ვარ. იქ, საიდანაც გადმომიყვანეს, არც ისე კარგად გვაჭმევდნენ, არც მე მქონდა მადა.

მიდის. რამდენიმე წუთში ბრუნდება და პირდაპირ იატაკზე მიდებს პურსა და სალას. პირველად ვხედავ სალას, ჯერ სალას ვჭამ, მერე პურს. რაღაც თბილსა და სასიამოვნოში ვეხვევი და იქვე ვიძინებ.

\* \* \*

აღდგომა. ძიძებს სადღესასწაულოდ აცვიათ. ყველაფერში იგრძნობა საზეიმო განწყობა. ძიძები განსაკუთრებით თბილად გვეპყრობიან, აღმზრდელები დაფაციცებულები არიან. მე ვერაფერს ვხვდები. დღესასწაულების დროს ტელევიზორში ხომ დემონსტრაციებსა და აღლუმებს უჩვენებენ. მარტო ახალ წელს არ არის ხოლმე დემონსტრაციები, მაგრამ ახალ წელს ნამძვის ხე და საჩუქრებია.

საუზმის მერე ძიძა ყველას გვირიგებს წითელ კვერცხებს. შიგნიდან კვერცხი ისეთივე თეთრია, როგორც ყოველთვის. ვსინჯავ სააღდგომო კვერცხს. ისეთი გემრიელია, ბევრად გემრიელი იმ კვერცხებზე, რომლებსაც ჩვეულებრივ ვჭამთ ხოლმე. ბავშვთა სახლში კვერცხი, როგორც წესი, გადახარშულია, მაგარი, ეს რბილია და უცნაურად გემრიელი.

საოცარია, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი – ბავშვთა სახლში, სავადმყოფოში თუ მოხუცთა თავშესაფარში, აღდგომას, ვიღაცის კეთილი ხელი ყოველთვის მიწვდიდა წითელ კვერცხს. და ეს მართლაც მშვენიერია.

\* \* \*

რუსეთში აქვთ ერთი ჩვეულება. მიცვალებულების სახელზე მოწყალებას გასცემენ ხოლმე. გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს ნათესავები უნდა გაუმასპინძლდნენ ყველაზე საცოდავებს, და რაც უფრო უმწეო და უბედურია ის, ვისაც ანაყრებ, მით უფრო აამებ მიცვალებულის სულს. დამსახურებაც უფრო მეტი გაქვს ღვთის წინაშე. სად გინდოდა გეპოვა უბედურები და უმწეოები მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ქვეყანაში? ჰოდა, მოდიოდნენ ეს ბეჩავები ბავშვთა სახლის ჭიშკართან, მოდიოდნენ კალათებით, ჩანთებითა და პარკებით. მოჰქონდათ კანფეტები, ნამცხვრები, ფუნთუშები, მოჰქონდათ ღვეზულები და ბლინები – ყველაფერი, რისი მოტანაც შეეძლოთ. ენერგიული აღმზრდელები მათ გარეთ ერეკებოდნენ, უმეტესად – უშედეგოდ.

ჩვენი ძიძები სამსახურებრივი მდგომარეობით სარგებლობდნენ და, მიუხედავად მკაცრი აკრძალვებისა, სწორედ მათ შემოჰქონდათ «მოსახსენიებელი» ბავშვთა სახლში.

სხვებზე მეტად იმ ძიძებს უმართლებდათ, ვინც ჩვენთან, დავრდომილებთან მუშაობდა. ჩვენ ცალკე გვაჭმევდნენ, აღმზრდელები შორს იყვნენ. ერთმა ძიძამ მოახერხა და მთელი ქვაბი კისელი შემოაპარა. თანაც, ჩვენ ყველაზე უბედურები ვიყავით. ჩვენთვის გადანახული კამფეტები უფრო მეტად ფასობდა.

ჩვენც ვიცოდით, რომ «მოსახსენიებელზე» მადლობის თქმა არ შეიძლებოდა, ჩუმად უნდა გვეჭამა, როცა გვიმასპინძლებოდნენ, არ უნდა გაგველიმა.

ბაღში ვიწექი. «ბაღს» იმ რამდენიმე ვაშლის ხეს ვემახდით, ბავშვთა სახლის ეზოში რომ ხარობდა. დიდხანს მომიხდა ფორთხვა, დავიღალე, ზურგზე დავწექი და ასე ვისვენებდი. ისინი, ვისაც სიარული შეეძლო, შორს იყვნენ, არ მახსოვს, შეიძლება კლუბში ფილმს უყურებდნენ, ან სულაც სადღაც წაიყვანეს. ვიწექი და ველოდებოდი, იქნებ ერთი ვაშლი მაინც ჩამოვარდნილიყო სადმე ახლო-მახლო. მაგრამ ბედმა კიდევ უფრო გამილიმა.

ღობეზე ხმელ-ხმელი მოხუცი ქალი მოცოცავდა. ღობე ორმეტრიანი იყო, მაგრამ ბებია ამას არ შეუშინდა. მარდად ჩამოხტა, მიათვალაიერ-მოათვალაიერა ეზო და ჩემთან მოვიდა. საქმიანდ დამითვალაიერა ხელ-ფეხი და მითხრა – «ობოლი იქნები!» თავი დავუქნიე. ასეთ გამართლებას ნამდვილად არ ელოდა. მოგრეხილი ხელ-ფეხი, თანაც ობოლი! კალათა მიწაზე დადგა, გადახადა ზედ გადაფარებული ტილო, ამოიღო ბლინი, გამომიწოდა და მიბრძანა: –»ჭამე«! ჩქარა ვჭამდი, ის უფრო მაჩქარებდა და მიმეორებდა, – »დეიდა ვარვარა მოიხსენიე, დეიდა ვარვარა«. ყველაფერი კარგი ხომ მალე მთავრდება! არც ჩემი ბედნიერება გაგარძელებულა დიდხანს. ბაღში აღმზრდელი გამოჩნდა.

– რა უნდა უცხოს აქ? ვინ შემოუშვია? რას აკეთებ?

მერე მე მომიბრუნდა.

– შენ რაღას აკეთებ?

რას ვაკეთებდი და მესამე ბლინს ვათავებდი, სწრაფად ვჭამდი, ხელში ნახევარი ბლინი კიდევ მეჭირა, მინდოდა მომესწრო და სულ შემეჭამა.

მარდი ბებია სასწრაფოდ დასწვდა კალათას დატა. მალევე შევჭამე ბლინი. აღმზრდელმა მოიცადა, მერე გაილიმა და წავიდა.

ეს ჩემი პირველი ბლინები იყო.

\* \* \*

კიდევ ერთხელ გადავყავარ ერთი ბავშვთა სახლიდან მეორეში. ზეიმი უკვე ვაგზალზევე იწყება. ნაყინს და სიტროს მაძლევენ. ნაყინი დიდია და შოკოლადითაა დაფარული. მატარებელი დაიძრება თუ არა, ექთანნი და ძიძა გადიან, როგორც თვითონ ამბობენ, სასეირნოდ. წამო გავისეირნოთო – ეუბნებიან ერთმანეთს. მერე ორ ქართველთან ერთად ბრუნდებიან. ერთი ხანშიშესულია, ჭადარა, მეორე – ახალგაზრდა. არაყს სვამენ, მხიარულობენ. ძეხვის დიდ ნაჭერს მიჭრიან, კვერცხსაც მაჭმევენ, სიტროს მისხამენ. ჭადარა ქართველი მიკეთებს და მიკეთებს ძეხვიან ბუტერბროდებს, თან მეუბნება – ჭამე, ჭამე, ბავშვებმა კარგად უნდა ჭამონო. საქმელი ბევრია და არავინ არაფერს არ ითვლის. ბნელდება, შემოდღია ვიჯდე, რამდენიც მინდა ვიყურო ფანჯარაში, ვჭამო ძეხვი. მინდა, სულ ასე ვმგზავრობდე და ვმგზავრობდე, ფანჯარაში ვიყურებოდე. თან ვფიქრობ, რომ თუ უფროსებს მთელ მსოფლიოში ბევრი არაყი და ძეხვი ექნებათ, ყველანი კარგები იქნებიან, ბავშვები კი – ბედნიერები.

\* \* \*

ჩემს უკანასკნელ და მსოფლიოში საუკეთესო ბავშვთა სახლში ვარ. წინ კარტოფილის პიურე, ნახევარი პომიდორი, კარაქიანი ფუნთუშა და ჩაი მიდევს. ზუსტად ვიცი, დღეს დღესასწაული არ არის, მაშ რაღად მოგვცეს კარტოფილი? ჩაის ვსინჯავ – ტკბილია, პომიდორი ხომ საერთოდაც დელიკატესია, ვჭამ ყველაფერს და ვხვდები, რომ წარმოუდგენლად გამიმართლა, სამოთხეში მოვხვდი.

\* \* \*

მე და კატია ნახევარსარდაფში ვცხოვრობთ, რადგან მისი მშობლები არ ცნობენ ჩვენს ქორწინებას. ეს ჩემი რუსულის მასწავლებლის, ძალიან კეთილი ქალის სახლია. თავისი სახლი ჩვენ დაგვითმო, თვითონ აგარაკზე გადავიდა.

უნივერსიტეტიდან მომავალი კატია გზად პელმენს ყიდულობს. მთელ პაკეტს ერთად ხარშავს. ვიცი, რაცაა პელმენი. ბავშვთა სახლში სულზე ოთხ-ოთხ ცალ პელმენს გვაძლევდნენ.

– რამდენ-რამდენი ვჭამოთ? – ვეკითხები.

გაკვირვებული მომჩერებია.

– თქვენ რა, პელმენებს ითვლიდით?

კატია თეფშზე იღებს პელმენს და თეფშს სულ ასუფთავებს, მე ექვს ცალზე მეტს ვერ ვერევი და ვხვდები, რომ ამ საოცარ, თავისუფალ სამყაროში პელმენებს არ ითვლიან.

– ნახარში არ გადაღვარო, სუპის მოხარშვა შეიძლება – საქმიანად ვურჩევ კატიას.

რამდენიმე დღის მერე კატია ახლა თავისი მშობლების სახლში ჭამს პელმენს. დედამისი მაგიდიდან ქვავს იღებს და სამზარეულოში გასვლას აპირებს. კატია დედას ეუბნება:

– დედა, ნახარში არ გადაღვარო, სუპის მოხარშვა შეიძლება.

მეორე დღეს, სანამ კატია ლექციებზეა უნივერსიტეტში, დედამისი ჩუმად მოდის და კარებთან მოსახარშ ქათამს ტოვებს. ყინული გალღვა.

\* \* \*

როცა კატია სამსახურში მიდის, მარტო ვრჩები ქალთა შორის უმშვენიერესთან; კატია და მე ბებიასთან ერთად ვცხოვრობთ.

შემოდის ჩემს ოთახში, წინ მიჯდება და მეუბნება.

– აბა, როდის აპირებ ფეხების გაჭიმვას?

– რას ამბობთ, – ვპასუხობ მე – როცა საჭირო იქნება, მაშინ მოგვკვდები. აი, თქვენ კი, აღარა ხართ ახალგაზრდა, ცას ხომ არ გამოეკერებით?

– ნეტა ვის რაში სჭირდება ასეთი, უხელფეხო, ლურსმნის დაჭედებაც არ შეგიძლია.

– ქიმიური ფანქარი ხომ გაქვთ?

– ჰო.

– მოიარეთ სახლი და სადაც ლურსმანია საჭირო, ის ადგილები ფანქრით მონიშნეთ. გპირდებით, ლურსმნები ჩაჭედებული დაგხვდებათ.

ასე, გულითად საუბრებში ვკლავთ დროს. ბებია თავის ახლობლებზე მიყვება. ნაამბობიდან გამოდის, რომ მთელი მისი ნათესავები პირწავარდნილი არამზადები არიან. ცოტა ხანში სამზარეულოში გადის, ჭურჭელს ახმაურებს. ბრუნდება.

– ბორში მოვხარშე, რუბენ, ჩახეთქავ, თუ გეშინია, არ მოგწამლო?

– მომიტანეთ ბორში, მოწამვლისა არ მეშინია. ეგეთები მიჭამია?

მოაქვს ბორში. ძალიან გემრიელია. თეფშზე იხვის ხორცის დიდი ნაჭერიც დევს.

\* \* \*

ალა ფეხმძიმედ რომ იყო, ძალიან ცუდად ვცხოვრობდით. ალა პურსა და გადამდნარ ცხიმს ჭამდა, ცხიმს მე ვერ ვიტანდი, ზეთსა და პურზე ვიყავი. (ბავშვთა სახლში ზეთმოსხმული და მარილმოყრილი პური კარგ სასუნავად ითვლებოდა). იმ წელს პირველად ამტკივდა კუჭი. კიდევ ბარდის სუპს ვხარშავდით. სუპს ალა ვერ იტანდა, მარტო ვჭამდი. მე კიდევ რა მიშავდა, სუპის ჭამა შემეძლო და არც ფეხმძიმედ ვიყავი.

მაია რომ დაიბადა, ალას უნდოდა, მუძუ ეწოვებინა, ბუნებრივი კვება ხომ ძალიან სასარგებლოა. მაია ჭირვეულობდა. ალას მომწვანო რძე ჰქონდა, მაია მწვანედ გადიოდა. ამ დროს ალა ცარიელ კარტოფილზე იყო. ალა ჯანმრთელი ქალია, ჩემზე ბევრად მეტი საკვები სჭირდება. ის, რასაც ალა ერთ ჯერზე შეჭამს, მე მთელი დღე მყოფნის. გადავწყვიტეთ, მაია ხელოვნურ კვებაზე გადაგვეყვანა, ეს უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ალასთვის ნორმალური კვების უზრუნველყოფა.

\* \* \*

ნაცნობი გვესტუმრა.

– როგორ ცხოვრობ?

– ნორმალურად.

– რას ჭამ?

– ბარდის სუპს.

– კარტოფილით?

– აბა რა...

– აგერ, მეორე კვირა მიდის, ბარდის სუპს ვჭამთ უკარტოფილოდ.

ჯერ მარტო სამი დღეა, რაც ბარდის სუპზე გადავედი. ერთი ტომარა კარტოფილიც მაქვს.

\* \* \*

მაია წლინახევრისაა. ფაფის ჭამა არ უნდა. უარზეა. თეფშს ვიღებ და მშვიდად ვათავებ. მაია ჯერ ძეხვს ითხოვს, მერე თაფლკვერებს. არც ერთი გვაქვს და არც მეორე. მაგრამ ეს არ არის მთავარი. თუ მშიერი ხარ, ყველაფერს შეჭამ (ბავშვთა სახლის კანონი). მაია დადის სახლში, ფიქრობს. ცოტა ხანში ალასთან მიდის და სთხოვს, დედა, კარტოფილი მომიხარშეო. კარტოფილს მარილითა და ზეთით ვჭამთ. ვიხსენებ, როგორ ვხარშავდით კარტოფილს თვითნაკეთი მადულარათი ბავშვთა სახლში. უფლება, რომელსაც თხუთმეტი წლისა ვეღირსე, (ბავშვთა სახლში კარტოფილს მარტო უფროსკლასელები ხარშავდნენ) მაიას დაბადებისთანავე ჰქონდა.

\* \* \*

ალას მაია საბავშვო ბაღიდან მოჰყავს. ალა იცინის. ბაღის მზარეული შეხვედრია. იმას სიამაყით უთქვამს, ბავშვებს სადილად დღეს ქათამი ჰქონდათო. დიდი ქათამი იყო, ცხიმიანი, ყველას შეხვდა თითო ნაჭერიო. ბაღში ასზე მეტი ბავშვია, ქათამი ერთი იყო, უფრო სწორად, ერთ-ნახევარი. მეც ვიციანი.

მიხარია, მაია ბაღში რომ დადის, ბევრი მეგობარი რომ ჰყავს. ყველანი ერთად ძერწავენ, საღებავებით ხატავენ. თანაც, რაც ბაღში დადის, საჭმელზეც აღარ ჭირვეულობს, ყველაფერს ჭამს.

\* \* \*

ბაღიდან რომ ბრუნდებიან მაია, ალას ორცხობილას სთხოვს, ჩვეულებრივ ვანილიან ორცხობილას.

– ახლა ფული მაქვს. გინდა, ნამცხვარს გიყიდი? ან რამეს?

– არა, ორცხობილა მინდა.

ალა ყიდულობს ორცხობილას. მაია მაგიდასთან ჯდება და მთელ საღამო ორცხობილას ხრავს. თურმე ბაღში სამხარზე ორცხობილა ყოფილა, თითო-თითო დაურიგებიათ ბავშვებისთვის. არადა, ჩვენ ბავშვთა სახლში ორ-ორ ორცხობილას გვაძლევდნენ ხოლმე.

\* \* \*

როცა მოხუცთა თავშესაფარში ვცხოვრობდი, ერთმა რამემ გამაოგნა. სასადილოში სადილის მერე ძვლებს არიგებდნენ, ჩვეულებრივ სუპიდან ამოღებულ ძროხის ძვლებს. ძვლები მარტო ომის ვეტერანებს ეკუთვნოდათ. ძვლებიდან ხორცი პირწმინდად იყო ჩამოჭრილი, მაგრამ მონდომებული კაცი მაინც მოძებნიდა საკბილოს. ვეტერანები დიდი ამბით გროვდებოდნენ სასადილოში, სარკმლის წინ. ჩხუბობდნენ, იწყებდნენ დამსახურებებისა და ორდენების ჩამოთვლას. ამასწინათ ერთ ინტერნატელ ნაცნობს შევხვდი და ვკითხე, კიდევ არიგებენ ძვლებს, თუ არა-მეთქი?

– რას ამბობ, სადღა ძვლები. ძვლებისგან, დიდი ხანია, სუპს აღარ ხარშავენ. აღარ არის ძვლები.

## ძიძეები

ისინი ცოტანი იყვნენ. ნამდვილი ძიძეები. მზრუნველნი და მოსიყვარულენი. არ მახსოვს მათი სახელები. უფრო სწორად, ყველა კეთილი ძიძის სახელი არ მახსოვს. ჩვენ მათ კეთილებად და ბოროტებად ვყოფდით. იმ შორეულ, ბავშვურ სამყაროში ზღვარი ბოროტებასა და სიკეთეს შორის ძალიან მარტივი და ნათელი დასანახი ჩანდა. აი, უკვე დიდი ხანია, მინდა და ვერ ვთავისუფლდები ბავშვთა სახლისეული ცუდი ჩვევისაგან – ადამიანებს ჩემიანებად და სხვებად, ჭკვიანებად და სულელებად, კეთილებად და ბოროტებად ვყოფ. რა ვქნა, სადაც მე გავიზარდე, იქ სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ვიწრო ზღვარი იდო, იქ უზნეობა და უნამუსობა ნორმად იყო ქცეული. ასევე იყო გულწრფელობა და სიკეთეც. ყველაფერი არეული იყო ერთმანეთში და, როგორც ჩანს, ყოველდღიურმა

აუცილებლობამ, მეკეთებინა არჩევანი კარგსა და ცუდს შორის, გამიჩინა ეს კატეგორიულობა.

კარგი ძიძები მორწმუნენი იყვნენ. სუყველა. აი, დავწერე და ისევ დავყავი ადამიანები კატეგორიებად. როგორც ჩანს, ამას ვერსად გავექცევი.

რწმენა იკრძალებოდა. გვეუბნებოდნენ, ღმერთი არ არსებობსო. ახლა ამის დაჯერება ჭირს, მაგრამ მაშინ მართლა ასე იყო. არ ვიცი, იყვნენ თუ არა მასწავლებლებს შორის მორწმუნენი. შეიძლება იყვნენ კიდეც, მაგრამ ამ თემაზე ჩვენთან საუბარი ეკრძალებოდათ. პირჯვრის გადაწერის ან წითელი კვერცხის გამო მასწავლებელს სკოლას დაატოვებინებდნენ, ძიძას – არა. ძიძებს მცირე ხელფასი და მძიმე სამუშაო ჰქონდათ, იატაკების ხეხვისა და ბავშვებისთვის შარვლების ცვლის მსურველი ცოტა იყო, ძიძების რწმენაზე თვალს ხუჭავდნენ. და მათ სწამდათ, სწამდათ, მიუხედავად ყველაფრისა. ღამის მორიგეობისას ანთებდნენ შინიდან წამოღებულ სანთლებს და დიდხანს, დიდხანს ლოცულობდნენ, ღამდამოებით გვნათლავდნენ. აღდგომას წითელი კვერცხებითა და ბლინებით გვიმასპინძლებოდნენ. ბავშვთა სახლში საჭმლის შემოტანა იკრძალებოდა, მაგრამ რას გახდებოდა მკაცრი უფროსობა წერა-კითხვის უცოდინარ ქალებთან?

კარგი ძიძები ცოტანი იყვნენ. ყველა მახსოვს. ახლა შევეცდები ერთი ძიძისგან გაგონილ ნამდვილ ამბავს მოვყვე, შევეცდები, მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოგცეთ ის, რაც ბავშვის გონებამ დაიმახსოვრა...

\* \* \*

დიდი ხანია აქა ვმუშაობ. მოვედი, ვხედავ – ბევრი ბავშვია, ზოგი უხელო, ზოგი უფეხო და ყველა ჭუჭყიანი. დაბან, იატაკზე გაფორთხდება და ისევ ჭუჭყიანია. ძალიან ვიღლებოდი. ზოგს ხელით უნდოდა ჭმევა, ზოგი ყოველწუთას უნდა ჩაგებანა. პირველ მორიგეობაზე წუთითაც ვერ მივწექი. თანაც ახალი მოიყვანეს, მთელი ღამე დედას ეძახდა. საწოლზე ჩამოვუჯექი, ხელი მოვკიდე და ასე გავათენე დილამდე. თან სულ ვტიროდი, ვტიროდი. დილით მღვდელთან მივედი კურთხევის სათხოვნელად. ვუთხარი, აღარ შემიძლია ამის ატანა, მეცოდებიან, გული მისკდება-მეთქი. მღვდელმა არ მაკურთხა, მითხრა, შენი ჯვარი ეგ არის და უნდა ზიდო სიცოცხლის ბოლომდეო. ვევედრე, ვეხვეწე, მაგრამ ტყუილად. მერე დავემორჩილე. ვიმუშავე. მივეჩვიე უკვე, მაგრამ მაინც მიჭირს. ყველა ბავშვის სახელი, ვისაც ვუვლიდი, ქაღალდზე მაქვს ამოწერილი. აღდგომას სუყველას ვუნთებ სანთელს. ბევრი გამოდის, ძვირია, მაგრამ მაინც არავის ვტოვებ. «მამაო ჩვენოსაც» ყველასთვის სათითაოდ ცალ-ცალკე ვკითხულობ. თვით უფალმა გვიბრძანა ყველა უმწეო ბავშვისთვის ლოცვა. აი შენ, რაღაც უცნაური სახელი გაქვს, რუბენ – სომეხი ხარ ალბათ. სომეხები ქრისტიანები არიან, ნამდვილად ვიცი. სომეხი არა ხარ? განა არა, ვიფიქრე, რადგან არ აკითხავენ, ურჯულოები იქნებიან-მეთქი. ქრისტიანი თავის შვილს ასე არ მიაგდებს. ძაღლები, მაპატიე ღმერთო, რომ არ გინდოდეს, მაინც შესცოდავ. შენ კი იმ ფურცელზე უგვაროდ მიწერიხარ. რაღაც უცნაური გვარი გაქვს, ვერ ჩავწერე. ყველას გვარი მიწერია, შენ გარდა. ლოცვის დროს მარტო სახელის კითხვა უნდა, მაგრამ მაინც ცუდია, უგვაროდ მაინც ცუდია....

\* \* \*



რაღა უნდა დავუმატო ამ ამბავს? გავიზარდე, უამრავი წიგნი წავიკითხე და ახლა თავი ჭკვიანი მგონია. მადლიერი ვარ მასწავლებლებისა, წერა-კითხვა რომ მასწავლეს, მადლიერი ვარ საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელმაც გამზარდა, მადლიერი ვარ ამერიკელებისა, კომპიუტერი რომ გამოიგონეს, ამ ტექსტის აკრეფა რომ შემძლია მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით. მადლიერი ვარ ყველა ძიძისა, ვინც სიკვითე მიჩვენა, ის სითბო მაჩუქა, რამაც ბევრი განსაცდელისთვის გამაძლებინა, რაც არც სიტყვით ითქმება, არც კომპიუტერით დაიანგარიშება და არც დაითვლება. მადლიერი ვარ სიყვარულისთვის და ქრისტიანული გულმოწყალებისათვის, იმისთვის, კათოლიკე რომ ვარ. ჩემი პატარებისთვის. ყველაფრისათვის.

## პაცანები

პალატაში ათნი ვიყავით, უფრო სწორად, ცხრანი. ვოვოჩკა არ ითვლებოდა, ვოვოჩკა არ ლაპარაკობდა, არაფერი შეეძლო – მარტო ჭამდა და ქაქავდა. ხშირად გვალვიძებდა ხოლმე მისი ყვირილი. სულ შიოდა. უზომო ჭამა იცოდა, შეეძლო იმდენი შეეჭამა, რამდენსაც მისცემდნენ. არადა, იმასაც იმდენივეს აჭმევდნენ, რამდენსაც სხვებს. არ ჰყოფნიდა და ყვიროდა. თორმეტი წლის ჩვილი.

კიდევ მე და ვასილიოკი ვიყავით. ვასილიოკს ოც წელს მისცემდი. ფეხები ჰქონდა დამბლადაცემული. ხარვიით ჯანიანი იყო. ისეთი, როგორებიც ხშირად არიან ხოლმე გონებასუსტები. ერთხელ ისე ჩასჭიდა ხელი ფეხში მისი დაცინვით გართულ ძიძას, რომ საბრალომ ძლივს გაითავისუფლა თავი. მერე დიდხანს იშუშებდა დალურჯებულ ფეხს. ძიძები აწვალებდნენ ხოლმე ამ უწყინარ მოზვერს, დასცინოდნენ, ჩქმეტდნენ, გავლა-გამოვლისას უტყავუნებდნენ ან რამე საწყენს ეუბნებოდნენ. ის მთელი ღამე ხმაურით ანძრევდა და ხელახლა იძლეოდა დაცინვისა და ხუმრობის საბაბს. ისე, ძიძები სულაც არ ექცეოდნენ ცუდად. ორმაგ პორციას დაუმაძლებლად აჭმევდნენ.

ცხრა წლისა ვარ. წარმოიდგინეთ დამბლადაცემული კაცუნა. ის იდაყვებით ეყრდნობა იატაკს და აქეთ-იქით ირწევა. ის რაღაცას აკეთებს, ოღონდ ჯერ ვერ ხვდებით, რას. ის მიფორთხავს. ფორთხვა სწრაფად შემემძლო. ნახევარ საათში ერთი სამას მეტრს მაინც გავივლიდი. ოღონდ ვიღლებოდი, ყოველ ათ-თხუთმეტ მეტრში დასვენება მიხდებოდა. მე ფორთხვა შემემძლო! ფორთხვა ჩვენი პალატიდან მარტო მე და ვასილიოკმა ვიცოდით. ამით განვსხვავდებოდით სხვებისაგან.

ისინი შვიდნი იყვნენ. ყველას სახელი არც მახსოვს. არც მევალებოდა ყველას სახელის ცოდნა. მარტო საშუა პოდდუბნის შეეძლო ჯდომა. დილაობით ძიძები იატაკზე დასვამდნენ ხოლმე დაბალ მაგიდასთან. დანარჩენები დღედაღამ იწვნენ. მათ რატომღაც «პაცანებს» ეძახდნენ და ყველა პატივს სცემდა. ბავშვთა სახლის ყოჩიც კი მოდიოდა ხოლმე ჭკუის საკითხავად. მარტო ჩვენ გვედგა ოთახში ტელევიზორი. და როცა გვინდოდა, მაშინ შეგვეძლო ყურება.

ამ პალატაში სულ შემთხვევით მოვხვდი. მე რომ მომიყვანეს, ერთი ბიჭი მოკვდა. მესამე, თარს საწოლზე იწვა. ჩემამდე ვინც კი იწვა ამ მესამე საწოლზე, ყველა მოკვდა. არავის არ უნდოდა იქ დაწოლა. მე ახალი ვიყავი. მერე მოინდომეს ჩემი სხვა პალატაში გადაწვენა, მაგრამ საშუამ არ დაანება და დამტოვეს. მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია.

ერთხელ საშკას ტუალეტში მოუნდა, ვასილიოკი არ იყო ოთახში. უნდა ამერჩია, – ან ძიძა მომეძებნა, ან თვითონ დავხმარებოდი. მოვინდომე, კბილებით დავიჭირე მისი შარვლის რეზინი და საშკამაც მოფსა. ახლა, ბავშვთა სახლის დაუწერელი კანონით მეც შემემძლო რაღაც მეთხოვა. გავბედე და წიგნი ვთხოვე. საშკას ბევრი წიგნი ჰქონდა, სულ კითხულობდა ან გერმანულიდან თარგმნიდა.

– «სამი მუშკეტერი» .

– «სამი მუშკეტერი» წაკითხული მაქვს, საბავშვოა. «სოლარისი» მომე.

– ვერ გაიგებ.

– გავიგებ.

– ჯიუტი ხარ და ეგ კარგია. მიდი, აიღე «სოლარისი». ვნახოთ ერთი, რას გაიგებ.

კვირას, ერთ დღეში წავიკითხე «სოლარისი». როცა საშკამ მკითხა, როგორ მოგეწონაო, ვუპასუხე, ნეტა რად უნდოდა მთავარ გმირს გაფრენა, ქალთან ურთიერთობა დედამიწაზევე უნდა მოეგვარებინა-მეთქი. პატარა ხარ, ჯერ არაფერი გესმისო, კი მითხრა, მაგრამ ამის მერე სულ მაძლევდა წიგნებს. მოკლედ, ბედმა გამიღიმა, პაცანები კარგი თვალთ მიყურებდნენ.

\* \* \*

შეფები გვესტუმრენ, პედინსტიტუტის სტუდენტები.

ყველანი სააქტო დარბაზში შეგვიყვანეს. შეფებმა რაღაც სიმღერები გვიმღერეს და წავიდნენ. არა, ყველა არ წასულა. საშეფო გემის მიხედვით კიდევ რაღაცეები ევალეზოდათ, უნდა მოგვხმარებოდნენ დავალებების შესრულებაში და ა. შ. უმეტესობა ისე გვიყურებდა, როგორც კეთროვანებს. ეს ფრაზა «როგორც კეთროვანებს» მერე ამოვიკითხე სადღაც და ძალიან მომეწონა. აბა, რა იყო, როგორ ამეხსნა შეუფარავი ზიზღი და გადმოკარკლული თვალები?

ზოგიერთები მაინც მოდიოდნენ. რა უცნაურიც უნდა იყოს, ეს ის გოგონები იყვნენ, ვარსკვლავებს რომ ვერ წყვეტდნენ ციდან. გულკეთილობასა და სიბრაღულს, შეიძლება, უბრალო ცნობისმოყვარეობას, ისინი ისევ და ისევ მოჰყავდა ჩვენთან.

ერთი ასეთი გოგო ჩვენს პალატაშიც შემოვიდა.

– ბიჭებო, რაში დაგეხმაროთ?

– ჩეფირს დალევ?

– რას?

– მაგარ ჩაის.

– დავლევ.

– მაშინ ჩემი საწოლის ქვეშიდან მადულარა გამოიღე, ტუმბიდან ქილა, გადი წყალი მოიტანე და საწოლქვეშ ჩართე.

ეს ვოვკა მოსკვამ თქვა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ასეთი მეტსახელი ჰქონდა – «მოსკვა.»

ეს გოგონა რამდენჯერმე იყო ჩვენთან ნამყოფი. პაცანები შოკოლადით უმასპინძლებოდნენ, ანეგდოტებს უყვებოდნენ, მხიარულად და კარგად ვიყავით იმასთან.

ერთხელ დიდხანს შემორჩა. ბნელდებოდა, მისი წასვლის დრო იყო. რასაკვირველია, ჩვენ ვერ ველეოდით.

– ბიჭებო, ფიზიკა და მათემატიკა მაქვს სამეცადინო, არ გადამაწერინებენ.

– რომელ კურსზე ხარ?

– მეორეზე.

– სახელმძღვანელო თანა გაქვს?

– ჰო, ჩანთაში მიდევს.

– აბა, ამოიღე და წაიკითხე ამოცანა.

ეს გენკა იყო. კუთხის საწოლიდან.

გოგონამ წიგნი ამოიღო და კითხვა დაიწყო.

– არაფერიც არ მესმის.

– არც მე. ჯერ ერთი წელია, რაც უმაღლესის პროგრამას ვსწავლობ. ხმამაღლა წაიკითხე.

– ფორმულები?

– ფორმულებიც. ის კითხულობდა, ჩვენ გვიხაროდა, რომ არ მიდიოდა და ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ გენკა ყველა ამოცანას გამოიყვანდა.

კარგა ხანს იკითხა. მერე გენკამ უბრძანა, დაჯექი მაგიდასთან და წერეო.

– კი, მაგრამ შენ ხომ ვერ ხედავ, რას ვწერ?

– თვითონ ხო ხედავ? ჰოდა, წერე.

ყველა ამოცანის ამოხსნა უკარნახა და გაჩუმდა.

– მოდი რა, პასუხებს შევუდარებ. პასუხები ამოწერილი მაქვს.

– მიიღი, შეუდარე.

– ყველა სწორია! კი მაგრამ როგორ? რვეულშიც არ იყურებოდი, თან ასეთი პატარა ხარ!

გენკა ათი კილო თუ იქნებოდა. იმის გარდა, რომ ვერ დადიოდა, კიდევ რაღაცა სჭირდა ფარისებრ ჯირკვალზე, არ იზრდებოდა. ნიკაპამდე აფარებდნენ ხოლმე საბანს. საბნიდან რვა წლის ბავშვის თვალებით იყურებოდა. ეს კარგიც კი იყო. ხანდახან მაინც გაჰყავდათ გარეთ. მე და ვასილიოკს ეზოში გაფორთხება შეგვეძლო. დანარჩენებს გარე სამყარო სულ არ ენახათ.

– თვრამეტი წლისა ვარ, ისეთივე პატარა, როგორც შენ.

– ვაიმე, ბიჭებო, (ბიჭებოო, თქვა, ასე მათ არავინ ეძახდა.) მე კიდევ მეგონა, რომ სკოლაში სწავლობდით.

– ოფიციალურად ითვლება, რომ ვსწავლობთ. ჩარჩენილები ვართ კლასში. ზოგიერთი ორ-ორ წელს ზის კლასში. ჩვენი დირექტორი კეთილი კაცია, ვეცოდებით, არ უნდა, მოხუცთა თავშესაფარში რომ გადაგვიყვანონ. იქ ჩვენ არავინ მოგვხედავს და მოგვკვდებით.

– ინსტიტუტში? ინსტიტუტში რატომ არ სწავლობთ? ხუთოსნები იქნებოდით!

– ინსტიტუტში მარტო იმათ იღებენ, ვისაც სიარული შეუძლია.

გოგონამ ჩქარ-ჩქარა წამოკრიფა თავისი ნივთები და წავიდა. მედერეფანში გავფორთხდი. წვიმდა. გასასვლელ კართან მინდოდა მისვლა.

ციოდა. გვიანი შემოდგომა იყო ან ადრეული გაზაფხული. შემოსასვლელ კარს არ კეტავდნენ ხოლმე. მიყვარდა იქ მიფორთხება და წვიმის ყურება. შემოდიოდა წვიმის წვეთები და მეცემოდა. ნაღვლიანი და კარგი იყო ირგვლივ ყველაფერი.

მაგრამ ახლა ჩემი ადგილი კარებთან დაკავებული დამხვდა. ჩვენი სტუმარი სტუდენტი გოგონა მძიმედ დაყრდნობოდა კარის სახელურს, და ჩქარა, ღრმა ნაფაზებით ეწეოდა. თან ტიროდა. არ მახსოვს, რა ეცვა, მარტო მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები დამამახსოვრდა. ძალიან ლამაზი იყო. მეჩვენებოდა, რომ ასეთ ლამაზ გოგოს ველარასოდეს ვნახავდი. ეწეოდა და ტიროდა. მერე ჩააქრო სიგარეტი და წავიდა იმ წვიმაში, უსაწვიმროდ და უქოლგოდ.

მერე ის ჩვენთან აღარ მოსულა.

\* \* \*

მოსკოვიდან კომისია ჩამოვიდა. დირექტორს საყვედური მიართყეს და ყველა პაცანის მოხუცებულთა თავშესაფარში გადაყვანა მოსთხოვეს. მათი აღმზრდელი ჩვენთან, მეხუთეკლასელებთან შემოიყვანეს. «ახლა თქვენთან ვიმუშავებ, სანამ არ დაამთავრებთო». მე დაწყებითი კლასები დავამთავრე, მეხუთეში გადავედი და ახლა უკვე «ჩვენი აღმზრდელი» და «ჩვენი» დამრიგებელი გვეკუთვნოდა. მე თქვენთან ვიმუშავებ სკოლის დამთავრებამდეო – გვითხრა მან.

ერთი თვე იყო გასული, რაც პაცანები მოხუცებულთა თავშესაფარში გადაიყვანეს და აღმზრდელი თავისი აღსაზრდელების მოსანახულებლად წავიდა. დაბრუნდა და ყველაფერი გვიამბო.

რვა კაციდან მხოლოდ გენკა გადარჩენილიყო. მოხუცთა თავშესაფარი რამდენიმე ბარაკისგან შედგებოდა. ინვალიდები და მოხუცებულები დახარისხებული ჰყავდათ მდგომარეობისდა მიხედვით. ჩვენები მომაკვდავთა ბარაკში დაეწვინათ. ნესტიან კედლებთან საწოლები იყო ჩარიგებული. საწოლებიდან შარდი მოჟონავდა. მათთან არავინ მიდიოდა. აღმზრდელს ბიჭებისთვის კომპოტი წაუღია დიდი ქილით. გენკაზე გვითხრა, გაბოროტებულიაო, კომპოტი არ დამატოვებინა, მაინც სხვები დალევენო.

– რა მეშველება, როცა გავიზრდები, მეც წამიყვანენ თავშესაფარში და მეც მოვკვდები? – ვკითხე მე.

– აბა რა!

– კი მაგრამ, მაშინ ხომ თხუთმეტი წლისა ვიქნები, არ მინდა ასე ადრე სიკვდილი, გამოდის, რომ ყველაფერი უაზრობაა, რატომღა ვსწავლობ?

– არაფერიც არ არის უაზრობა, სწავლით კი იმიტომ სწავლობთ, რომ უფასოდ გაჭმევენ. მოამზადე დავალებები?

ამის მერე ძალიან შევიცვალე. პატარა მიზეზიც კმაროდა, რომ ცრემლები მომწოლოდა და ავტირებულიყავი. არც დაყვავება, არც მუქარა არ მშველიდა, გაუჩერებლად, ხმამაღლა ვტიროდი.

მერე ექიმი გამოიძახეს. ახალგაზრდა ბიჭი მოვიდა, ჩამომიჯდა საწოლზე, გამიღიმა და რაღაც მკითხა. მეც გავუღიმე, სულ არ მინდოდა მასთან საუბარი, მაგრამ მომიხდა.

– რა გატირებს ასე ხშირად?

– ხშირად არა ვტირივარ.

– გუშინაც ვტირია.

– მივფორთხავდი, თავი დავარტყი და იმიტომ.

– არა მჯერა. აღმზრდელი ყველაფერს მომიყვა. თურმე შენ სულ ტირიხარ. ეს ცუდია. რატომ არ გინდა ჩემთან ლაპარაკი?

– იმიტომ, რომ ფსიქიატრი ხარ. ფსიქიატრები თავიდან თითქოს კარგები ხართ, მაგრამ მერე საავადმყოფოში წამიყვანთ, იქ ნემსებს გამიკეთებენ, რაღაც ისეთ წამლებს დამალევიანებენ, რომ ვასილიოკივით გამოვდებილდები.

– ვინ გითხრა ეგ სისულელე? არსადაც არ წაგიყვან. ვასილიოკი ვინღაა?

– საავადმყოფოზე ვოვკა მოსკვამ მიამბო.

– სადა არის ახლა ეგ შენი ვოვკა?

– მოკვდა. ყველანი დაიხოცნენ. ისეთი ჭკვიანები, კარგები იყვნენ. საშკა წიგნებს მაძლევდა. ისინი აღარ არიან, ვასილიოკი კი ცოცხალია, კარგ ინტერნატში წაიყვანეს, იმიტომ რომ თვითონ შეუძლია ტუალეტამდე გაფორთხება.

– ვინ გითხრა, რომ დაიხოცნენ?

აღმზრდელმა. ისიც მითხრა, თხუთმეტისა რომ გახდები, შენც იქ წაგიყვანენო. ახლა ათისა ვარ.

აღმზრდელი იღიმება, გაოცებული უყურებს ექიმს და ამბობს:

– მერე რა, დიდი ამბავი! ეგ მთელ კლასს მოვუყევი.

ექიმმა სიგარეტს მოუკიდა. პირველად ვხედავდი, როგორ ეწეოდა უფროსი ადამიანი პირდაპირ პალატაში. მე ის რატომღაც მომწონდა.

– გეშინია ჩემი?

– ჰო. სულაც არ იყო ბრაზიანი და საშიში. მოწია სიგარეტი, ერთი შემომხედა და გავიდა.

გენკა კი მალევე მოკვდა.

## ამერიკა

ეს ქვეყანა ყველას უნდა სძულებოდა. ასე იყო დადგენილი. ისე, ყველა კაპიტალისტური ქვეყნის სიძულვილი იყო სავალდებულო, მაგრამ ამერიკისა – განსაკუთრებით. ამერიკაში მტრები, ბურჟუები და მუშათა კლასის სისხლისმსმელები ცხოვრობდნენ. ამერიკული იმპერიალიზმი ატომურ ბომბებს გვიმიზნებდა. მუშები ამერიკაში შიმშილით იხოცებოდნენ. საბჭოთა საელჩოს წინ დაუსრულებელ ნაკადად იდგნენ უბრალო ამერიკელები, ვისაც საბჭოთა მოქალაქეობის მიღება უნდოდათ. ასე გვასწავლიდნენ და ჩვენც გვჯეროდა.

მე ამერიკა მიყვარდა. მიყვარდა ათი წლიდან. სწორედ ათისა ვიყავი, რომ მითხრეს, ამერიკაში ინვალიდები არ არიანო. მათ კლავენო. თუ ოჯახში ინვალიდი ბავშვი დაიბადება, ექიმი მაშინვე უკეთებს სასიკვდილო ნემსსო.

– ხომ ხვდებით, ბავშვებო, როგორ გაგიმართლათ, საბჭოთა კავშირში რომ დაიბადეთ. ჩვენთან ინვალიდ ბავშვებს არ კლავენ, მუქთად გასწავლიან, გმკურნალობენ და გაჭმევენ. კარგად უნდა ისწავლოთ და დაეუფლოთ რაიმე პროფესიას.

არ მინდა, რომ მუქთად მაჭამონ. ვერანაირ პროფესიას მე ვერ დავეუფლები. მე ნემსი მინდა, მომაკვდინებელი ნემსი. მე ამერიკაში მინდა.

## დებილი

დებილი ვარ. ეს დასაცინი სახელი სულაც არ არის, მხოლოდ ფაქტის კონსტატაციაა. ჩემი ინტელექტი არ არის საკმარისი დამოუკიდებელი არსებობისათვის, ელემენტარული თავის გატანისათვისაც კი. ბავშვობიდან ვიცი, რომ ორნაირი სიდებილე არსებობს – კომპენსირებული და არაკომპენსირებული. კომპენსირებული სიდებილე გონებრივი ჩამორჩენილობის ფორმაა, როცა ადამიანს საზოგადოებაში ცხოვრება სხვის დაუხმარებლადაც შეუძლია. ამის მაგალითად, ჩვეულებრივ, ის ადამიანები მოჰყავთ

ხოლმე, ვინც მღებავის ან მეეზოვის პროფესია შეისწავლა. მასწავლებლებმა რთული მათემატიკური განტოლებების ამოხსნა მეც მასწავლეს, ექიმები წამალებით მჭყეპდნენ, გულმოდგინედ მადებდნენ თაბაშირის მაგარ სახვევებს, მაგრამ მათი გარჯა ამაო გამოდგა. ფუნჯის აღება და ხელში დაჭერა დღესაც არ შემოიძლია.

ბავშვობის ერთ-ერთი პირველი მოგონება. ჩუმი დაყურადებული საუბრის ნაწყვეტი.

– ამბობ, ჭკვიანიაო, მაგრამ სიარული რომ არ შეუძლია!

ამის მერე არაფერი შეცვლილა. მთელი ცხოვრება ჩემს ინვალიდობაზე ისე საუბრობდნენ, როგორც მექანიკური მოქმედების – სიარულის, ტუალეტში გასვლის, ჭამა-სმის შესაძლებლობაზე ან შეუძლებლობაზე. მაგრამ უმთავრესი მაინც ეს იყო – სიარული არ შემეძლო. დანარჩენი უფროსებს არ აინტერესებდათ. არ შეგიძლია სიარული, ესე იგი დებილი ხარ.

ისევ ბავშვთა სახლი. ისევ ახალი გარემო. იმ ბავშვთა სახლში კლინიკიდან მიმიყვანეს. კლინიკაში ორი წელი ამაოდ ცდილობდნენ ჩემს ფეხზე დაყენებას. მკურნალობა მარტივი იყო. მუხლებში მოხრილ ფეხებზე თაბაშირის სახვევებს მადებდნენ. მერე დროდადრო ჭრიდნენ თაბაშირს, მაწვებოდნენ მუხლებზე და ახალ მდგომარეობაში აფიქსირებდნენ. წელიწადნახევრის მერე ფეხები გამისწორდა. სცადეს, ყავარჯნებზე დავეყენებინე, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ არაფერი გამოუვიდათ და თავი დამანებეს. მკურნალობის დროს ფეხები გამუდმებით მტკიოდა, ვეღარ ვაზროვნებდი. კანონით ყველა საბჭოთა ბავშვს უნდა მიეღო განათლება. ვისაც შეეძლო, კლინიკასთან არსებულ კლასებში დადიოდა. მწოლიარეებს მასწავლებელი პალატაშივე აკითხავდა. ჩემთანაც მოვიდა ერთი-ორჯერ, მაგრამ მალევე დარწმუნდა ჩემს შეუვალ სიჩლუნგეში და შემეშვა. მასწავლებლებს ვეცოდებოდი და ყველა საგანში სამებს მიწერდნენ. ასე გადავდიოდი კლასიდან კლასში.

კლინიკაში მეორეკლასელი დამაწვინეს, მეოთხეში – გამომწერეს. სწორად, კანონიერად მოხდა ყველაფერი. შემიყვანეს კლასში და იატაკზე დამაწვინეს.

მათემატიკის გაკვეთილი იყო. ბედმა გამიღიმა, იმ დღეს კლასი საკონტროლოს წერდა. საკონტროლო მათემატიკაში საპასუხისმგებლო რამაა, და ამ სერიოზული ღონისძიებისათვის პედსაბჭომ ორი გაკვეთილი გამოყო. ორი ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილი.

მასწავლებელმა ერთი-ორი შეკითხვა დამისვა, გაარკვია, რომ ისევ მეორე კლასში ვიყავი დასაბრუნებელი და დამშვიდდა. ძიძას დაუმახა და მოსთხოვა, ისევ საძინებელ კორპუსში გავეყვანე.

შემოვიდა ძიძა, დამხედა. – ახლა არ მოვიყვანე? სად წავიყვანო? სახედარი ვარ? მეც მაქვს უფლებები! დიდი რამე, თუ ნასწავლები ხართ! ვერ გაგირკვევიათ, რა გინდათ და წელი მე უნდა ვიწყვიტო? ომი რომ არა, მეც მასწავლებელი ვიქნებოდი!

უწევდა და უწევდა ხმას. მასწავლებელმა ყურადღებით მოუსმინა და ბედს შეურიგდა. ძალიან კორექტულად სთხოვა ძიძას, გასულიყო, მოუბოდიშა კიდეც. ძიძა გავიდა. უკვე შეიძლებოდა საკონტროლოს დაწყება.

მასწავლებელმა ჩქარ-ჩქარა დაწერა დავალება დაფაზე. მორჩა წერას და მაგიდას მიუჯდა.

ვუყურებდი დაფას და არაფერი მესმოდა. ციფრებთან ერთად მაგალითებში ასოები ეწერა. მიმატება-გამოკლება კარგად ვიცოდი. კლინიკამდე კლასში ყველაზე უკეთ ვსწავლობდი. გამრავლების ნიშანი კი უბრალო შეცდომა მეგონა.

– აქ შეცდომაა მაგალითებში – დავიწყე პირდაპირ, გაუფრთხილებლად. რატომ დაწერეთ ასოები რიცხვებთან ერთად? ასოებს ხომ არ შევკრებთ?

– არ არის შეცდომა. ეს ასოები სინამდვილეში ციფრებს აღნიშნავს, რომელი ციფრებია ამ ასოებით აღნიშნული, სწორედ ეს უნდა გავიგოთ. ამას განტოლების ამოხსნა ეწოდება.

– გამოდის, რომ თუ ერთს მივუმატებთ იქს-ს და ეს სამის ტოლია, იქსი ორს უდრის? ჟურნალებში რომ თავსატეხებია, იმასა ჰგავს.

– იქს-ს – იქსი ჰქვია. ისე მართალი ხარ.

– და იქსი ორ რიცხვს შორის რაღად წერია?

ეს არაა, იქსი, ეს გამრავლების ნიშანია. ის ან წერტილით აღინიშნება, ან რუსული ასო იქს-ით. დაფაზე იმიტომ დავწერე ასე, რომ უკანა მერხებიდან კარგად გამოჩენილიყო

მე არ ვიცოდი, რა იყო გამრავლება. საავადმყოფოში ექიმებს რატომღაც ძალიან აინტერესებდათ, რამდენი იყო ორჯერ ორი, სამჯერ სამი. თუ არასწორად ვუპასუხებდი, ხმამაღლა იცინოდნენ, სწორ პასუხს მეუბნებოდნენ, იშვიათად კამფეტსა და ნამცხვარს მაძლევდნენ. მაშინ ვინმეს რომ აეხსნა, გამრავლება თანმიმდევრობითი შეკრებააო, ჩემთვის ნამდვილად არ იქნებოდა შეღავათი – ფეხები ძალიან მტკიოდა. ექიმები არ მიყვარდა.

მასწავლებელი გამრავლებას მიხსნის და თან ამბობს:

– ნეტა რატომ გიხსნი, მაინც ვერაფერს გაიგებ. გამრავლების ტაბულაც კი არ იცი.

– ვიცი, ოღონდ ხუთამდე. კიდევ მახსოვს, რომ ექვსჯერ ექვსი ოცდათექვსმეტია.

– შვიდჯერ რვა?

– ახლავე.

ხმამაღლა ვუმატებ ციფრებს, სწორად ვპასუხობ.

– ყოჩაღ! – მაქვს მასწავლებელი.

– ადვილია, როცა მიხსნით, სულ ადვილია. კიდევ მომიყევით.

– ვერ გაიგებ.

– გავიგებ. თქვენ თვითონ არ მითხარით, «ყოჩაღო?!».

მასწავლებელი მხნედ მიდის დაფასთან და გაკვეთილს იწყებს. წერს და წერს. დროდადრო ჩერდება, მეკითხება – გაიგე? ყველაფერი მესმის. ის ლაპარაკობს, მე შეკითხვებით ვაწყვეტინებ, კიდევ, ვთხოვ მე, კიდევ მომიყევით! ვუღიმიტ ერთმანეთს. ყველაფერი კარგადაა.

– მორჩა. სულ ესაა, რაც მეოთხეკლასელმა უნდა იცოდეს.

– დავწერო საკონტროლო?

– არა მგონია, გამოგივიდეს, მაგრამ სცადე.

მე ვწერ.

ორი საათი ძალიან მალე გადის. კლასი საკონტროლო ნამუშევარს აბარებს. მასწავლებელი მოდის ჩემთან, იხრება. იღებს ფურცელს. სწრაფად ათვალიერებს. ცივი და უცხო გამოხედვა აქვს. ისეთი არა, როგორც წელან, დაფასთან. მე ყველაფერს ვხვდები.

დებილი რომ იყო, სულ არაა ძნელი. ყველა განზე იყურება, არავინ გამჩნევს, ადამიანი არა ხარ, არავინ არა ხარ. მხოლოდ ხანდახან, როცა ვიღაცა გულკეთილობის თუ პროფესიონალური მოვალეობის გამო არკვევს, რომ შიგნით შენც ისეთივე ხარ, როგორც სხვები, ერთ წამში განურჩევლობას აღტაცება ცვლის, აღტაცებას – სასოწარკვეთა სასტიკი სინამდვილის წინაშე.

არ ვუყურებ მასწავლებელს. ისინი ყველანი ერთნაირები არიან. ვიცი, ამ წუთას ისიც იმაზე ფიქრობს, რაზედაც ნებისმიერი იფიქრებდა – ჩემს უძლურ ფეხებზე. ფეხები მთავარია, მათემატიკა – ეს ისე, გართობაა, სისულელე.

საშა

ჩვენ ხუთი წლიდან ვიცნობთ ერთმანეთს. მჩაგრავდა ხოლმე. მერე დავმეგობრდით. დედამისი ხშირად მიმასპინძლდებოდა კანფეტებით, ერთხელ მოსამართი სათამაშოც კი მაჩუქა. ძლიერი და ძალიან კეთილი ქალი, შვილსაც კარგად ზრდიდა. სულ ახლახან, ასე ხუთი წლის წინგავიგე, რომ ჩემი შვილად აყვანა ნდომია. არ დაუნებებიათ. ამასწინათ, როცა უკვე დიდმა კაცმა ვკითხე «რატომ» – ის ყველაფერს მიხვდა და მარტივად მიპასუხა:

– საშა აღარ იქნებოდა მარტო, ერთად ითამაშებდით. მერე შენ ინსტიტუტში ჩააბარებდი, ჩემს ჩურჩუტს ხომ არა ჰგავხარ! ნამდვილ პროფესორად გაქცევდი!

თვალეებში შეეყურებდი ამ ჭკვიან რუსის ქალს და მჯეროდა, რომ დაენებებინათ, ყველაფერს გააკეთებდა, ყველა დაბრკოლებას გადალახავდა, ხელში აყვანილს მატარებდა ლექციებზე, და იმ შავთვალა ესპანელ ბიჭუნას მათემატიკის პროფესორად აქცევდა. არც ექიმი იყო და არც პედაგოგი, მაგრამ შეძლო და ხუთი წლის ბავშვის თვალეებში დაინახა ის, რის გარკვევასაც აუარებელი სამედიცინო კომისიები ამაოდ ცდილობდნენ მრავალი წლის მანძილზე. ვიცი, ის სულ არ დაიწყებდა ჩემი დიაგნოზების კითხვას «ტვინის ჩამორჩენილი მუშაობის» ან «სიდებილის» შესახებ. ის ჩემს თვალეებში კითხულობდა ყველაფერს.

მაგრამ ახლა საშაზე ვწერ, ბიჭზე, რომელსაც დედა ჰყავდა.

\* \* \*

ცუდად მახსოვს ის შორეული ბავშვობა, როცა სულ პატარები ვიყავით. კარგად მაშინ გავიცანი საშა, როცა ბედმა ერთ-ერთ მორიგ ბავშვთა სახლში ისევ შეგვყარა.

დერეფანში მიფორთხავდა და მღეროდა:

საშა ძალიან განსხვავდებოდა ჩვენგან. დედამისს რაღაც დიდი თანამდებობა კი ეჭირა ვაჭრობაში, მაგრამ შვილს უბრალოდ ზრდიდა. სამსახურშიც დაჰყავდა და ნამდვილ ცხოვრებასაც უჩვენებდა. საშამ ყველაფერი იცოდა ზედდებულების, გადახარჯვების, დეფიციტის განაწილებისა და იმის შესახებ, საუზმეზე ასე ცოტა ფაფას რატომ გვამლევენ.

დერეფანში მიფორთხავდა და მღეროდა. ხმა ძლიერი ჰქონდა, შორს ისმოდა. ხმამაღლავე ესაღმებოდა დერეფანში მომავალ ძიძებსა და მასწავლებლებს. მათ «პერსონალს» უწოდებდა.

გვიან შეიყვანეს სკოლაში, დედამისმა ბევრი დრო და ენერჯია დახარჯა, რომ ფეხზე დაეყენებინა. როგორც ყველა დედას, მასაც უნდოდა, შვილი ჯანმრთელი და ბედნიერი ჰყოლოდა. საშა თანაკლასელებზე ბევრად უფროსი იყო.

მისი სიმღერის მანერა ცოტა მეხამუშებოდა. არც ძიძებთან მისი საუბრის ტონი მომწონდა. «შენობით» ელაპარაკებოდა ხოლმე. ასე მიმართავდა, – «მანია, შენ ნუ ძუნწობ, მეტი ფაფა გადმომიღე, პაცანსაც დაუმატე. რატო გგონია, ობოლი როა და ვერავინ გამოესარჩლება, ჭამაც აღარ უნდა?» მაშინ ჯერ კიდევ არ მესმოდა, ამ უხეშობით უხერხულობის დაფარვას რომ ცდილობდა. მე ძიძებს ლამის ღმერთებად ვთვლიდი, მას კი შეეძლო, თავხედობასა და დედის გინებაზე საკადრისი პასუხი გაეცა.

\* \* \*



საშას ამანათი ჩამოუვიდა. დედამისს მშვენივრად ესმოდა, რაც იყო ბავშვთა სახლი და სურსათის დიდ ამანათებს უგზავნიდა ხოლმე. მოსიყვარულე დედას უნდოდა, საშას მეგობრები ჰყოლოდა, სკოლაში ესწავლა, ამიტომაც მოიყვანა ბავშვთა სახლში. არდადაგებზე და ზაფხულობით ყოველთვის შინ მიჰყავდა, ბავშვთა სახლის ცხოვრებასაც ულამაზებდა, როგორც შეეძლო – ამანათებს უგზავნიდა, ფულს უტოვებდა.

დედები სხვადასხვანაირები იყვნენ. სულელ დედებს შვილებისათვის კანფეტები ჩამოჰქონდათ, ჭკვიან დედებს – სალა, ნიორი, სახლში დამზადებული კონსერვები, ერთი სიტყვით – კარგი საჭმელი.

საშას დედა მარტო ჭკვიანი ქალი კი არ იყო, დიდ ხელმძღვანელადაც მუშაობდა. ის მდიდრულ ამანათებს აგზავნიდა შოკოლადითა და ხორცის კონსერვებით, დაკოსერვებული ანანასითა და ავოკადოს წვენი.

იმ დღეს საშას ორი ამანათი ჩამოუვიდა ერთად, ორი თერთმეტკილოიანი ამანათი. ამ წონით საშა ძალიან ამაცობდა.

– საბჭოთა ფოსტის კანონით კერძო პირებს ათკილოიანი ამანათების მიღების უფლება აქვთ, მაგრამ... (აქ პაუზას აკეთებდა) გამონაკლის შემთხვევაში თერთმეტკილოიანი ამანათების მიღებაცაა დაშვებული.

ფოსტის კანონებისა ჩვენ მაშინ არაფერი გაგვეგებოდა, საშას სიხარულს კი ვიზიარებდით. თანაც ვხვდებოდით – რაც უფრო დიდი იქნებოდა ამანათი, მით უკეთესი იყო ჩვენთვის.

აღმზრდელმა ქშენა-ქშენითა და შვილების მეტისმეტად მოყვარული მშობლების ლანძღვით შემოათრია ამანათები.

– საშა, ბავშვთა სახლის წესდების მიხედვით ერთ ჯერზე მხოლოდორასი გრამი პროდუქტის მოცემა შემიძლია. თქვენი რაციონი გათვლილია, ზედმეტი ჭამა – მავნებელი. თანაც სურსათის ხარისხი წინასწარ უნდა შევამოწმო.

ეს სულ ტყუილად თქვა.

– როგორ შეამოწმებთ, რაიმე სპეციალური ხელსაწყოთი, თუ, უკაცრავად და, გემოს გაუსინჯავთ? ხელსაწყოს რაღაც ვერა ვხედავ. ასე მოვრიგდეთ. ხორცსა და დაკოსერვებულ ანანასს გაგასინჯებთ, დანარჩენი დამიტოვებთ. მოსულა?

– ეს რამ გაფიქრებინა? რაში მჭირდება შენი ხორცი? ამოირჩიე, რაც მოგწონს, დანარჩენი მიმაქვს.

– კარგი მაშინ. ახლა არაფერს არ ამოვირჩევ. ამანათებს წაიღებთ, ხვალ კი ისევ მომიტანთ, ხვალაც არაფერს არ მოვკიდებ ხელს. და ასე ყოველდღე მოგიხდებათ ამანათების ზიდვა, ორი თვე მაინც, სანამ დედაჩემი არ ჩამოვა. მერე დედაჩემს ელაპარაკეთ ზედმეტ ჭამასა და პროდუქტების ხარისხზე. დამიჯერეთ, ვაჭრობაში მუშაობს და ხარისხის კონტროლის შესახებ ყველაფერი იცის.

საშას დედასთან საუბრის პერსპექტივა აღმზრდელს არ ახარებს.

საშა ჭკვიანი ბიჭია, იცის, მოწინააღმდეგეს უკან დასახევი გზა რომ უნდა დაუტოვოს.

– მოვიფიქრე! ახლა თქვენ ქილებზე და კოლოფებზე ვადებს შეამოწმებთ, ვადაგასულ პროდუქტებს ამოიღებთ. ორას გრამზე კი ნუ იდარდებთ, ერთბაშად და მარტო არ ვაპირებ ჭამას.

აღმზრდელი საქმის ასეთი შემობრუნებით კმაყოფილია. საშას დედასთან ჩხუბი არავის არ უნდა. ისიც ესმის, რომ დედა შვილს ვადაგასულ ნაყარნუყარს არ გამოუგზავნის. კეთილსინდისიერად ამოწმებს პროდუქტს – ვადაგასული არაფერი არ

არის. ამანათები საშას რჩება და ისიც ბატონკაცურად სთავაზობს აღმზრდელს ხორცის კონსერვს. აღმზრდელი უარზეა. მაშინ საშა ყუთიდან ანანასის ქილას იღებს.

– შვილები ხომ გყავთ. იმათ წაუღეთ.

აღმზრდელი ყოყნამობს, როგორ არ უნდა შვილებს ანანასი მიუტანოს, მაგრამ საშაზეა გაბრაზებული, უფროსთან მისი საუბრის ტონზე. «ბავშვებს, ბავშვებს» – უმეორებს საშა და თვალებში შეჰყურებს. მერე აღმზრდელი იღიმება, იღებს ანანასს და გადის. კეთილი დეიდაა და ესმის, საშა არ ბრაზობს.

\* \* \*

საბჭოთა კავშირი საყოველთაო დეფიციტის ქვეყანაა. დეფიციტი იმას ნიშნავს, რომ დახლებიდან რაღაც ქრება და ვერანაირი ფულით ვერ იყიდი. ბავშვთა სახლის თანამშრომლები ხშირად სთხოვენ საშას «უშოვოს» დეფიციტი. როგორც წესი, საშა უარს ამბობს. არ უნდა უფროსების თამაშებში ჩართვა. არც ბოროტია და არც ძუნწი, უბრალოდ, იცის, დედამისი ყველას ვერ მოამარაგებს დეფიციტით. ამჯერად აღმზრდელი საშას წიწიბურას ბურღულის «შოვნას» სთხოვს. ბურღული დიაბეტიანი დედისთვის უნდა, დედა ვერაფერს ვერ ჭამს, უფრო სწორად, მკაცრი დიეტა სჭირდება. წიწიბურას ფაფა ეჭმევა. საშა წერილს სწერს დედამისს. ის წიწიბურას უგზავნის.

აღმზრდელს საშასთვის ამანათი მოაქვს. ამანათში ორი კილო წიწიბურაა. აღმზრდელი საშას უყურებს. ელოდება.

– წიწიბურას ბურღული, პირველი ხარისხი, – ამბობს საშა, – ფასი, – კილო ორმოცდარვა კაპიკი. აქ ორი კილოა. ოთხმოცდათექვსმეტი კაპიკია თქვენზე.

– კარგი საშა, ჩავიწერ, რომ ოთხმოცდათექვსმეტი კაპიკი გაქვს.

საქმე იმაშია, რომ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ეკრძალებოდათ ნაღდი ფულის ქონა.

სულები დედიკოები და მამიკოები ფულს აღმზრდელებს აბარებდნენ. ბავშვთა სახლის აღსაზრდელს შეეძლო რაიმე დაებარებინა და შემდეგ მორიგეობაზე აღმზრდელი მოუტანდა. ასე კანფეტის ან ფანქრის ყიდვა შეიძლებოდა. მაგრამ აღმზრდელს ვერ მოსთხოვდი რაიმე აკრძალულს. ღვინისა და სიგარეტის გარდა, აკრძალული იყო თევზის კონსერვები, კვერცხი, ნამცხვრები და სახლში მომზადებული საჭმელი. თქმაც არ უნდა, ნაღდი ფული ძალიან ფასობდა.

– არ გამოვა ეგრე, ეგ არ არის ბიზნესი. თქვენ ისედაც გაქვთ ჩემი ორმოცდაათი მანეთი. მაინც არ მაძლევთ.

– არ მოგცემ, არ შეიძლება. თანაც უმ ბურღულს რას უზამ?

– დეიდა დუსიას მივყიდი, ძიძაა, ეგ შენი აკრძალვები სულ ჰკიდა.

– წიწიბურა დედასთვის მინდა. ხომ შემპირდი?

– არაფერი მაქვს დედათქვენის საწინააღმდეგო. მიირთვას წიწიბურას ფაფა. მე ბურღულის მოყიდვას შეგპირდით და არა ჩუქებას.

– კარგი, აჰა, მანეთი და გასწორებულები ვართ.

– არა, ზუსტად ოთხმოცდათექვსმეტი კაპიკი მერგება. ოთხი კაპიკი კი არა მაქვს.

აღმზრდელი თამაშში ერთვება. ხურდისათვის გადის.

გარიგება შედგა.

\* \* \*

საუზმეზე წიწიბურას ფაფას გვაძლევენ. წიწიბურა იშვიათადაა ბავშვთა სახლში. ორ-ორ კოვზს გვიდებენ, ჩვენ გვიხარია. მხოლოდ საშაა უკმაყოფილო. დედას იგინება, კისრის ძარღვები ებერება, მოკლედ ჭრის – «ახვრები!» იღებს თავის თეფშს და იმ ოთახისაკენ მიფორთხავს, სადაც ძიძები ჭამენ.

ძიძების ოთახში მაგიდას ძიძა და მისი ქმარ-შვილი უსხედან. წინ ყველას წიწიბურას ფაფით სავსე თეფში უდგას.

კაცი თავს მაღლა სწევს. ხედავს საშას და მისი სიტყვები ესმის. საშას იმის თქმა უნდა, რომ ძიძა მარტო ლუკმას კი არ ართმევს ბავშვებს, მარტო თვითონ კი არ სივდება ღორივით, თავის დინგიან გოგოსა და კუროსაც ასუქებს. რა თქმა უნდა, საშა ამ სიტყვებით არ ამბობს. ყველაფერს საუკეთესო, შვიდსართულიანი გინებით შემკული რუსულით გამოთქვამს. ახლა ნამდვილად ვერ გავიმეორებ იმ სიტყვებს. კაცი კოვზს თეფშში აგდებს, ეუბნება, «წავედით, მანიაო». საშა უკან-უკან მიფორთხავს, ისინი კი გადიან.

მანია დაღურჯებული თვალით და ფაფით სავსე ვედროთი ბრუნდება, თურმე ფაფა კი ყოფილა საკმარისი, მაგრამ სავსე ვედროს თრევა ეზარებოდა.

\* \* \*

საშას დააბრალებს, სიგარეტს ეწევას. ფული სულ ჰქონდა, ძვირიანი სიგარეტის ყიდვაც კი შეეძლო, მაგრამ არ ეწეოდა. პრინციპულად არ ეწეოდა.

იმ დღეს წინასწარ მოიმარაგა სიგარეტი, სამასწავლებლოსთან მიფორთხდა და გააბოლა. კარგად ეწეოდა, ღრმა ნაფაზებით. მასწავლებლები მიმოდდიოდნენ, ხედავდნენ თავხედს, მაგრამ ვერაფერს ამბობდნენ. დერეფანი სიგარეტის კვამლით გაიბუღა, სამასწავლებლოშიც შეაღწია. ბოლოს სკოლის დირექტორიც მოვიდა.

კარგი დირექტორი გვყავდა.

წინ ჩაუცუცქდა საშას.

– ჩააქრე სიგარეტი.

საშამ ჩააქრო.

– მეღირსა, უკვე მეგონა, მთელი კოლოფის მოწევა მომიხდებოდა.

– რას ეწევი?

– «კოსმოსს», ნაგავია, მაგრამ ფილტრიანია.

– რატომ ეწეოდი სამასწავლებლოს წინ?

– თქვენ გელოდებოდით.

– კი მაგრამ, რატომ? ხომ იცი, სიგარეტი მავნებელია, ფილტრიანიც კი.

– არ ვეწევი. სულელი კი არა ვარ, თავი მოვიწამლო, თან კიდე ფულიც ვიხადო? უბრალოდ, დამაბრალებს, ეწევიო, ჩემთვის სულერთია, მაგრამ აღმზრდელი დარწმუნებულია, რომ ვატყუებ. მოწევას თუ გადავწყვეტ, არ დავიმალები. ჯანმრთელობა ჩემი პირადი საქმეა. მაგრამ ტყუილად რომ დამაბრალონ რამე, ამას ვერაფრით ვერ მოვითმენ. თუ ასე ძალიან უნდა, რომ ვეწეოდე, პირდაპირ იმათ თვალწინ მოვწევ.

– ანუ შეურაცხყოფა მოგაყენეს და გადაწყვიტე, ასე გაგეპროტესტებინა?

– ჰო.

– კარგი, დაველაპარაკები აღმზრდელს. დაგრჩა სიგარეტი?

– ორნახევარი კოლოფი.

– მომცემ?

– ისე, ეს ძვირიანი სიგარეტია.

დირექტორი ილიმება, ჯიბეს იქექავს, საშას სიგარეტს ართმევს, ფულს აძლევს და სამასწავლებლოში შედის.

იმ ბავშვთა სახლში ძალიან კარგი დირექტორი გვყავდა.

\* \* \*

თავის საქმეზე შეყვარებული, საუკეთესო მასწავლებლები გვყავდა. რასაკვირველია, მათ ისე არ უჭირდათ, როგორც ძიძებს. ისინი ხომ არ გვივლიდნენ. რას ფიქრობდნენ მასწავლებლები ჩემზე, სულ არ მაინტერესებდა, ისინი საზოგადოებისათვის საჭირო უფროსები იყვნენ, მე – უსარგებლო ხორცის ნაჭერი. საშა ასე არ ფიქრობდა.

ერთხელ რუსული ლიტერატურის ახალი მასწავლებელი შემოვიდა კლასში. შემთხვევითი ხალხი ჩვენთან ვერ ძლებდა, ვერაფერი აჩერებდათ, ვერც ხელფასზე დამატებები «მავნე სამუშაოსთვის». ისიც «შემცვლელი» იყო, ანუ დროებით ცვლიდა ავადმყოფ პედაგოგს.

კარნახი. მოსწავლეები მერხებთან ვსხედვართ. საშა იატაკზე წევს. ავადმყოფ ხელს ეყრდნობა და ჯანმრთელით დიდი, უშნო ასოები მონდომებით გამოჰყავს. სხეული ეკრუნჩხება, მაგრამ მაინც პატიოსნად ცდილობს. – უკაცრავად, არ შეიძლება ცოტა ნელა რომ გვიკარნახოთ?

– იმ სისწრაფით ვკარნახობ, რაც დადგენილია საშუალო სკოლის მეექვსეკლასელებისათვის.

საშა ილიმება.

– იცით, მეც რომ ისეთი ხელები მქონდეს, როგორც მეექვსეკლასელებისთვისაა დადგენილი, ნამდვილად არ შეგაწუხებდით.

– მაშინ სპეციალურ სკოლაში უნდა გესწავლა.

საშა არ ბრაზობს. კალამს დებს და ჩანთიდან წიგნს იღებს.

– რას აპირებ?

– წავიკითხავ. წერას მაინც ვერ ვასწრებ. სხვებსთვის ხელის შეშლა აკრძალულია.

– მორჩი ახლავე!

– უფრო ნელა გვიკარნახებთ?

მოთმინების ფიალა ევსება. ეს ბიჭი დიდი უზრდელი ვინმეა. ხომ შეეძლო კიდეც ერთხელ ზრდილობიანად ეთხოვა. ასარჩევად არა აქვს საქმე. უნდა დაისაჯოს. დიდხანს წერს რაღაცას საკლასო ჟურნალში.

– მშობლებს დავიბარებ.

– ლენინგრადიდან? დედა მაინც ვერ ჩამოვა, უკეთეს შემთხვევაში დირექტორს დაურეკავს.

– კარგი. მაშინ თვითმომზადებაზე აღარ დაგიშვებ, ხვალ ყველა საგანში ორებს მიიღებ.

სწორედ იმ საღამოს უწევდა მორიგეობა.

მასწავლებელი ძიძებს ეძახის. სამი ჯანიანი ქალი საშას ინვალიდის ეტლში სვამს და საძინებელი კორპუსისკენ მიაგორებს.

– რატომ თვითონ არ წამიყვანთ? თუ გემინიათ წელი არ მოიწყვიტოთ?

მერე ძიძებს ეუბნება:

– კარგი, გოგოებო, წავედით.

ეტლის ბორბალს ჯანმრთელი ხელით ეჭიდება. სხეული ეკრუნჩხება, ძალიან სტკივა, მაგრამ ბორბლის რკინებიდან ხელს ვერ აგლეჯენ. მიძებს ეტლის გაჩერებული ბორბლით წათრევა უწევთ. ხმამაღლა ლანძღავენ მასწავლებელს, მაგრამ ეტლს მაინც ეწევიან, თან საშასაც აგინებენ დედას. საშა კი მღერის. რუსულ ხომალდზე მღერის, მტერს რომ არ ნებდება.

საშა საძინებელ კორპუსში მიჰყავთ. იატაკზე სვამენ. მასწავლებელი კმაყოფილია. ხვალ საშას ორიანები გარანტირებული აქვს.

სალამოს, ბავშვები რომ ივახშმებენ და ბავშვთა სახლის თანამშრომლები დასხდებიან, საშა გარეთ გაცოცდება და სკოლისაკენ მიფორთხავს.

ზამთარი. თოვლი. სალამო.

სკოლამდე შორი არ არის, ასე, სამასი მეტრი თუ იქნება. ჯანმრთელი ხელით თოვლს თავისკენ მიიხვეტავს და ავადმყოფი ხელით ფრთხილად მოძრაობს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ თოვლი ცოტა დადო და ავადმყოფი ხელი გაყინულ ასფალტზე უცურავს, სწრაფად ფორთხვა არ გამოსდის.

ისე აცვია, როგორც ჩვენ ყველას, ვინც ვერ დავდივართ, პერანგი და რეიტუზი. პერანგი გაღელილი აქვს, მხარზე უცურდება და ღილები აწყდება.

სკოლაში შეფორთხდება, მერე თავის კლასში შედის და სახელმძღვანელოებს კითხულობს.

მიძები ხვდებიან, ბავშვი რომ დაიკარგა, კვალს მიჰყვებიან, მასწავლებელს ეძახიან.

– მიდი და თვითონ გაერკვიე.

მასწავლებელი კლასში შედის, საშას უყურებს.

– აქ რას აკეთებ?

– ჩემს კონსტიტუციურ უფლებას ვიცავ – გაკვეთილებს ვამზადებ.

– რატომ გამოფორთხდი თოვლში?

– სხვა რა გზა მქონდა, უნდა მეჩვენებინა თქვენთვის, რომ უხეში ძალით ვერ მომერევით, და გთხოვთ, განკარგულება გასცეთ, ტრანსპორტი მოიყვანონ, უკან ვეღარ გავფორთხდები.

მასწავლებელი გარბის. მერე გავიგეთ, ისტერიკა დამართნია, დიდხანს უტირია. მაგრამ ჩვენ არა გვჯერა, მასწავლებლებს ამნაირ უბრალო რამეზეც თუ შეუძლიათ ტირილი.

\* \* \*

რამდენიმე წლის შემდეგ საშასთან ჩავდივარ სტუმრად.

– დედა, არაყი მოიტა, დავლევთ ცოტას.

– შენ ხომ ახალ წელსაც კი არ დაგილევია.

– ახალი წელი ყოველ წელსაა, რუბენი კიდევ ექვსი წელია არ მინახავს.

არაყს ვსვამთ, ვსაუბრობთ და მე ყველაზე მთავარ შეკითხვას ვუსვამ:

– საშა, როგორ გაგონდება ბავშვთა სახლი?

– იმის მერე სხვა ადამიანი გავხდი. ჯობდა სულ არ მენახა ბავშვთა სახლი.

– მაგრამ იქ მეგობრები გყავდა, მეც ხომ იქ გამიცანი.

საშა ფიქრობს.

– მაპატიე, რუბენ, კარგი ბიჭი ხარ, ჩემი მეგობარი ხარ, მიხარია, შენ რომ შეგხვდი, მაგრამ მაინც, ბავშვთა სახლი სულ რომ არ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა.

ნიუ-იორკი

კლასის დამრიგებელი კიდევ ერთხელ გვიტარებს პოლიტმეცადინეობას. დასავლური ცხოვრების საშინელებებზე გვიყვება. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ და აღარაფერი გვიკვირს. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკელთა უმეტესობა ქუჩებში გამოდგმულ მუყაოს ყუთებში ცხოვრობს, რომ უკლებლივ ყველა ამერიკელი თავშესაფარს აშენებს და ქვეყანაში მორიგი კრიზისია.

ამჯერად ნიუ-იორკის შესახებ გვიყვებიან. მაგალითად მოჰყავთ სტატია «ნიუ-იორკ თაიმსიდან» უმუშევართათვის ყველის უფასოდ დარიგების შესახებ. რამდენიმე ათასი ტონა ყველი დაურიგებიათ, სულზე 100 გრამი. მასწავლებელი განსაკუთრებით იმას აღნიშნავს, რომ ეს საცოდავები მთელ თვეს ვედარაფერს მიიღებენ.

ვეკითხები, შიმშილით ხომ არ დაიხოცებიან-მეთქი.

– რა თქმა უნდა, დაიხოცებიან. მპასუხობს მასწავლებელი. მაგრამ მათ უმუშევართა ახალი არმია შეცვლის.

მე მჯერა.

\* \* \*

მარტონი ვართ კლასში – ისტორიის მასწავლებელი და მე. ის რაღაცას წერს კლასის ჟურნალში. მე იატაკზე ვწევარ მასთან ახლოს.

– ძალიან დაკავებული ხართ?

– რა გინდოდა?

თავს მაღლა სწევს. მასწავლებელს კეთილი და ჭკვიანი თვალები და ჭადარაშერეული თმა აქვს. პიჯაკზე რაღაც ნიშანი უკეთია.

– შეკითხვა მაქვს.

– მკითხე.

– პოლიტინფორმაციაზე გვითხრეს, რომ ხალხი კაპიტალისტურ ქვეყნებში საშინელ სიღარიბეში, შიმშილით სიკვდილის ზღვარზე ცხოვრობს. აი, მე ცოტა ვიანგარიშე და ყველაფერი დაემთხვა. მილიარდერები ამერიკაში არიან, მაგრამ ძალიან ცოტანი. ასეა?

– ეგრეა.

– მილიონერებიც არიან, ისინიც ცოტანი, მაგრამ მილიარდერებზე ბევრად მეტნი. საშუალო შემოსავლების მქონენი – ვაჭრები, პარიკმახერები – ბევრად უფრო მეტნი უნდა იყვნენ, ვიდრე მილიონერები. მუშები – უფრო მეტნი, ვიდრე ვაჭრები, უმუშევრები – უფრო მეტნი, ვიდრე მუშები. ასეა?

– ეგრეა. არაფერია გასაკვირი. იქ ხალხი ძალიან ცუდად ცხოვრობს.

– მეთანხმებით? მაშინ მიახლოებითი გამოთვლებით გამოდის, რომ ყოველდღიურად, ვთქვათ, ნიუ-იორკის ქუჩებში რამდენიმე ასეული ათასი უმუშევარი კვდება. არაფერი აქვთ საჭმელი. რომ არ ჩავთვალოთ შიმშილით დახოცილი მუშები. ნიუ-

იორკი უბრალოდ წალეკილია გვამებით! ვიღაცას გამუდმებით უნდა გაჰქონდეს ისინი. არ მესმის ამ ამერიკელებისა. როგორია ქუჩებში სიარული, სადაც მკვდრები და შიმშილისაგან მომაკვდავები ყრია. ამდენ ხანს რატომ არ დაამხეს თავიანთი მემამულეები და კაპიტალისტები?

მასწავლებელი დგება, ჩემთან მოდის. ჩემს წინ ცუცქდება. რაღაც უცნაურად მიყურებს და ილიმება. ლამის დასცინის ჩემს სერიოზულ საფიქრალს. როგორც ჩანს, დღეს უბრალოდ კარგ ხასიათზეა.

– რამდენი წლისა ხარ?

– ხომ იცით, ათისა.

– ვიცი, ვიცი, – უკვე სულ გამხიარულებული მეუბნება. ადრე ხომ არ არის შენთვის ასეთ რამეებზე ფიქრი?

მე ჩუმადა ვარ.

– არ გამიბრაზდე. უბრალოდ, ეს ძალიან ძნელია შენთვის.

მასწავლებელი დგება, მაგიდიდან კლასის ჟურნალს იღებს, გასასვლელისაკენ მიდის. კარების წინ ტრიალდება, სერიოზულად და მკაცრად მიყურებს, თითქოს პირველად მხედავდეს.

– არავისთან, გესმის? არავისთან არ ილაპარაკო ამაზე. უკვე დიდი ბიჭი ხარ, უნდა გესმოდეს.

მეორე დღეს ჩემთან მოდის, იხრება. იატაკზე სქელტანიან ლამაზ წიგნს მიღებს.

– წაიკითხე. სერიოზული ისტორიული რომანია. ვიცი, მოგეწონება.

## კატლეტი

დამჯერი და ჭკვიანი ბიჭი ვიყავი. სულ ვუჯერებდი უფროსებს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს საზეიმო ვითარებაში გადმომცემდნენ ხოლმე სიგელს «წარმატებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევისთვის». სწავლით, მართლაც, კარგად ვსწავლობდი, ტერმინი «სანიმუშო ყოფაქცევა» კი ჩემს შემთხვევაში იმას ნიშნავდა, რომ არასდროს არ ვეკამათებოდი მასწავლებლებლებს. მასწავლებლებთან ურთიერთობა არ იყო ძნელი. ზერელები და ზედაპირულები იყვნენ. საათობით გვიამბობდნენ სრულიად უსარგებლო და გამოუსადეგარ რაღაცეებს. მერე გვთხოვდნენ, გაკვეთილი მოგვეყოლა. მეხსიერება კარგი მქონდა, გაკვეთლის მოყოლა სულ ადვილად შემიძლო. იმათ ეგონათ, ძალიან ცდილობსო. მართლა ადვილი იყო. გვირიგებდნენ ლამაზსურათებიან წიგნებს, ხაზიან და უჯრებიან რვეულებს. იყო ასეთი თამაში – სკოლა. მეც დიდი ხალისით ვთამაშობდი.

მაგრამ მარტო მასწავლებლებლებისთვის არ უნდა დაგეჯერებინა. სხვა უფროსებიც იყვნენ. ყველაზე ძნელი ძიძებთან ურთიერთობა იყო. ის, რაც ლამაზსურათებიან ჭკვიანურ წიგნებში ეწერა, იმათ სულ არ აინტერესებდათ. არც ზეპირად ნათქვამი პუშკინის ლექსი ან რთული მათემატიკური ფორმულა ცვლიდა ვითარებას. ჩემგან მარტო ერთს ითხოვდნენ – ნაკლებად შემეწუხებინა. ხუთი წლიდან სულ მეუბნებოდნენ, მძიმე ხარ, ბევრს ჭამო. «სულ ჭამს და ჭამს, უსინდისო. დააჩინეს ზანგებმა და ჩვენ უნდა ვათრიოთ მთელი სიცოცხლე. ჩვენ რა, რუსის ქალები კეთილები ვართ და აგე, ვიტანთ, ვპატრონობთ. მშობლები კიდევ ძალიანაც ჭკვიანები არიან, გაიქცნენ თავიანთ აფრიკაში».

და ასე. ყოველდღე ვისმენდი იმათი სიკეთის, გულმოწყალების და ჩემი შავკანიანი მშობლების ამბებს.

ცოტათი სასაცილოც კია, მაგრამ ეს ტექსტი საბჭოეთის ყველა დაწესებულებაში მაქვს მოსმენილი – ბავშვთა სახლებში, საავადმყოფოებში, მოხუცებულთა ინტერნატებში. თითქოს რაღაც უხილავი, საიდუმლო შპარგალკიდან კითხულობდნენ, კითხულობდნენ როგორც გაკვეთილს, როგორც წყევლას.

მეც ვცდილობდი, როგორც შემემლო. მაგრამ ერთადერთი, რაც შემემლო, ის იყო, რომ ცოტა მეჭამა. სულ უჭმელ-უსმელად როგორ მეცხოვრა, არ ვიცოდი. ვერც ვერავის ვეკითხებოდი. მასწავლებლებს ნამდვილად ვერ ვკითხავდი, იმათ რა იცოდნენ, იმათ ხომ არ გაჰქონდათ ჩვენი ქოთნები. ძიძებისგან ვიცოდი, რომ მასწავლებლებს შრომა უფრო იოლია, ხელფასი – დიდი. ძიძები ფიქრობდნენ, რომ მასწავლებლებს ხელფასს სულ ტყუილად უხდიდნენ. მეც სრულიად ვეთანხმებოდი ძიძებს, მშვენივრად მესმოდა, რომ ლამაზი ზღაპრის მოყოლა იოლია და ქოთნის გატანა – ძნელი.

მაგრამ ხანდახან მასწავლებლებისაგანაც იყო რაღაც ხეირი. გულკეთილ მასწავლებლებს ჩემთვის სახლიდან წიგნები და ჟურნალები მოჰქონდათ. ერთ ქალთა ჟურნალში დიეტის შესახებ წავიკითხე. ეწერა რომ არ გასუქდე, ფქვილეული და ხორცეული უნდა ამოიღო რაციონიდანო. და შევწყვიტე პურისა და მაკარონის ჭამა. ხორციტ ხშირად არ გვანებივრებდნენ. ათასში ერთხელ კატლეტი იყო ხოლმე. კატლეტზე უარის თქმა ძალიან ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ მე შევძელი. აქაც წიგნი დამეხმარა. მშვენიერი წიგნი მზვერავებზე. წიგნში ეწერა, ნამდვილმა მამაკაცმა ნებისყოფა ყოველდღიურად უნდა ავარჯიშოსო. ჰოდა, მეც ვავარჯიშებდი. თავიდან მიჭირდა, მერე მივეჩვიე. დავხედავდი საჭმელს და მექანიკურად ვირჩევდი იმას, რისი ჭამაც შეიძლებოდა, და თუ შემემლო, ვჭამდი. ხშირად კომპოტსა და ერთ-ორ კოვზ ფაფას ვჯერდებოდი. გუნება გამომიკეთდა. ახლა ყველაფერს სწორად ვაკეთებდი, მაგრამ ეს იყო, სულ მეძინებოდა. სკოლაში მესამე გაკვეთილზე უკვე აღარაფერი მესმოდა. თავბრუ მეხვეოდა. რამდენჯერმე შუა გაკვეთილზე წამივიდა გული.

იმ დღეს მუცელი ამტკივდა. ვერ მოვასწარი ტუალეტამდე გაფორთხება. ძიძამ ხელში ამიყვანა, გამიყვანა ტუალეტში, იატაკზე დამაგდო და აღზრდა დამიწყო. ღრიალებდა, წარამარა «შავ ჩათლახს» ახსენებდა, თავის გულკეთილობაზე და ჩემს უმადურობაზე ლაპარაკობდა. ხმას ვერ ვიღებდი. ანკი რა აზრი ჰქონდა. პირველად ხომ არ ვისმენდი. ტირილი და ბოდიშები ნამდვილად ვერ უშველიდა ჩასვრილ შარვალს. ძიძა უწევდა და უწევდა ხმას. ჩემსკენ იხრებოდა, მოფლამული ლოყები უთახთახებდა და დორბლებს ისროდა. მე ჩუმად ვუსმენდი. რა უნდა მეთქვა? მართალი იყო. მსუქანიც ვიყავი და სულ ჭამაზე ვფიქრობდი. თერთმეტი წლისა უკვე ჩვიდმეტ კილოს ვიწონიდი. ვერაფრით ვერ ვიმართლებდი თავს. მძულდა ჩემი თავი, მძულდა იმიტომ, რომ ორი დღის წინ კატლეტი შევჭამე. სულ არ მინდოდა, მართლა არ მინდოდა. მარტო დავყნოსავ-მეთქი, გავიფიქრე, მერე ერთი პატარა ლუკმა მოვაგლიჯე, მერე სულ შემომეჭამა.

ხმის ამოღება ვერაფრით ვერ შევძელი. ჩუმად ვიყავი. ძიძამ თავში წამავლო სქელი თითები და სახე პირდაპირ ჩასვრილ შარვალში ჩამაკვრევინა.

– ხმასაც არ იღებს, სიტყვასაც არ ამბობს! მთხოვე პატიება, შემპირდი, რომ მეტს აღარ იზამ, ბოდიში მოიხადე, ამოიღე ხმა!

ცხვირს ისევ და ისევ ქაქში მაკვრევინებდა და უკვე ჩუმად მიმეორებდა – ხმა ამოიღე! ხმა ამოიღე! რა უნდა მეთქვა? მშვენივრად ვიცოდი, რაც იყო საჭირო. არა, სიტყვები აღარ მშველოდა, სიტყვები უკვე ბევრჯერ მქონდა გამოცდილი. ძიძას ერთადერთი რამ უნდოდა, მხოლოდ ერთს მოითხოვდა ჩემგან – თვითონ მევლო



ტულეტში. ამას ნამდვილად ვერ შევპირდებოდი. ჰოდა, ვერ ვიღებდი ხმას, ჩუმად ვიყავი.

– ხმა ამოიღე, თქვი, თქვი, თქვი! არ იტყვი?! მიმეორებდა და მიმეორებდა მონოტონურად.

და გამახსენდა, ზუსტად ისევე მეუბნებოდა, თქვიო, როგორც ერთ ფილმში, ვილაც ოფიცერი ეუბნება მამაც რუს მზვერავს. გერმანელი ოფიცერი. გ ე რ მ ა ნ ე ლ ი!

უცებ უბრალო გერმანული ფრაზა ამომიტივტივდა – რუსიშ შვან.

– დუ ბისტ რუსიშ შვან! ვყვირი გამწარებული, სასოწარკვეთილი.

– დუ ბისტ რუსიშ შვან, რუსიშ შვან, რუსიშ შვან! ძალიან კარგი, თუ შენი მშობლები გერმანელებმა დახვრიტეს, შენც, შენც უნდა მოეკალი!

ეს სიტყვებია, ეს ხომ მარტო სიტყვებია, არადა, მოქმედებს. ქალი იბნევა. ბავშვობაში გერმანელთა ოკუპაცია გადაიტანა, მერე ომისშემდგომი შიმშილი და გაჭირვება. ვიცი, ვამწარებ, ყველაზე მტკივნეულ ადგილას ვურტყამ.

მე მიჩვეული ვარ ჩემს მდგომარეობას. მხოლოდ ხანდახან, წამით მიჩნდება ხოლმე ფეხზე დადგომის დაუძლეველი სურვილი. ეს უცბად ხდება ხოლმე, თითქმის სპონტანურად, სადღაც სიღრმიდან. მაშინაც მომინდა ადგომა, მომინდა დანა მჭეროდა მარჯვენაში და მერტყა და მერტყა მსუქან მუცელში, მერტყა და მერტყა, სულ გამეფატრა. შურისძიება მომინდა.

მერე ავტირდი. გაუჩერებლად ვტიროდი და ვყვიროდი. ხმამალლა, დაუნდობლად ვუყვიროდი ამ სულელ რუსის ქალს საზიზღარ, ბილწ, უსამართლო სიტყვებს, ვიგინებოდი, მინდოდა, რაც შეიძლება მაგრად გამემწარებინა.

ამ დროს მასწავლებელმა გამოიარა. გაიგონა ხმაური. შემოვიდა, დამინახა ტიტველი, მტირალი, ცემენტის იატაკზე დაგდებული და ყველაფერს მიხვდა. ატეხა განგაში. მერე ვილაცეებმა დამბანეს, ჩამაცვეს, საწოლში ჩამაწვინეს. მერე ექთანიც მოვიდა შპრიცით.

– დამშვიდდი, ყველაფერი კარგადაა, ნემსს გაგიკეთებ და დაგეძინება.

– შენც მომშორდი, რუსო ბოზო, მეზიზღებით, რუსები ყველანი მეზიზღებით, ფაშისტები, ძაღლები. ნემსი? გამიკეთე ნემსი, ოღონდ ეგ არა, ნამდვილი, რომ მოვკვდე, დავისვენო. მე – შავი ვარ, თქვენ რუსები, მომკალით და ნულარ მაწვალეთ. მაგრამ თქვენ სიკვდილიც გენანებათ, რუსებო, ფაშისტებზე უარესები ხართ, ფაშისტები ინვალიდებს ხოცავდნენ, თქვენ – დამცინით.

გამიკეთეს ნემსი. მაინც ვერ ვჩერდებოდი, ისევ ვღრიალებდი, ვტიროდი, ვყვებოდი ყველაფერს – დიეტაზე, სიმსუქნეზე. ვდებდი პირობას, რომ ლუკმასაც აღარ შევჭამდი. ექთანი და მასწავლებელი გაოგნებულები მისმენდნენ და ვერაფერს ხვდებოდნენ.

წამალმა იმოქმედა. მალევე დამეძინა და მეორე დღის შუადღემდე მეძინა. დავმშვიდდი. სადილად ისევ კატლეტი იყო. გადავწყვიტე, ყველაფერი მეჭამა, კატლეტიც ვჭამე, პურიც, ბორშჩიც. უკვე აღარ ვდარდობდი – დაე, ვყოფილიყავი მსუქანი და მძიმე.

## გერმანელი

ის კლასში ჩქარი, ოდნავ არეული ნაბიჯებით შემოვიდა. გამოსწია სკამი. დაჯდა. ჩვენ არ გვიყურებდა. ხმამალლა და გამოთქმით კითხულობდა ლექსებს. დიდხანს იკითხა, მერე ადგა, კლასი შეათვალიერა.

– ეს გოეთეა, მე გერმანულად ვკითხულობდი. შეიძლება ოდესმე თქვენც შეძლოთ გოეთეს ორიგინალში წაკითხვა. მე თქვენი უცხო ენის მასწავლებელი ვარ – მაგიდასთან მივიდა, სახელმძღვანელო გადაშალა და განაგრძო – ჯერ რუბენს უნდა მოვუბოდიშო, ძალიან ვწუხვარ, რომ ესპანურს ვერ გასწავლი. არ ვიცი ესპანური. ჯერჯერობით გერმანული ისწავლე. თუ გერმანულის სწავლას შეძლებ, მაშინ ნებისმიერ უცხო ენას დაეუფლები. დაიმახსოვრე ეს.

მე დავიმახსოვრე.

უცნაური მასწავლებელი იყო, ძალიან უცნაური. ხანდახან გამოითიშებოდა, მთელი გაკვეთილი ლექსებს გვიკითხავდა. გატაცებით და ცოცხლად გვიამბობდა გერმანიის შესახებ. გაბრწყინებული დადიოდა, თუ გერმანიის ნაკრები მატჩს მოიგებდა. ყველაფერ გერმანულს საუკეთესოდ თვლიდა. ნამდვილი მასწავლებელი იყო, შერეკილი, ფანატიკოსი.

\* \* \*

გერმანულის გაკვეთილია. კლასი გართულია. მასწავლებელს ვეკამათებით. კამათის თემა უცვლელია, – გერმანიის უპირატესობა. ყველაფერზე შეიძლება საუბარი, გარდა მეორე მსოფლიო ომისა. ომს თუ ვუხსენებთ, მასწავლებელი ჩუმდება, იწყებს ფაციფუსს, სათვალის წმენდას. ცივი, მშრალი ხმით გვთხოვს გადავშალოთ სახელმძღვანელო რომელიღაც გვერდზე. ჩვენც მეტი რა გზა გვაქვს, ვიმეორებთ უსასრულო გერმანულ ზმნებს.

თვალეები ანთებული აქვს, ლოყები შეფაკლული, მოზეიმე ხმით ისვრის კლასში გერმანელი კომპოზიტორების, მწერლების, ფილოსოფოსების გვარებს. ლამის ყვირილით ყვება გერმანული გემთმშენებლობის უპირატესობის შესახებ. ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო. გადავდივართ სოფლის მეურნეობის განხილვაზე. ისევ პირღები ვისმენტ მის მონაყოლს ჰექტარებსა და ცენტნერებზე, არნახულ მოსავლებზე. ყველაფერს ვილაცის ჩუმი შეკითხვა აფუჭებს:

– კი, მაგრამ ფინიკი?

– რა ფინიკი?

– გერმანიაში იზრდება ფინიკი?

ყურები ჩამოყარა, ხასიათი წამხდარი აქვს. ჩვენ ისევ ხმამღლა ვკითხულობთ დაუსრულებელ გერმანულ ზმნებს.

\* \* \*

მომიახლოვდა. ჩამოჯდა. ხელში ფინიკებით სავსე ქაღალდის პარკი უჭირავს.

– გინდა?

– გმადლობთ.

ჩუმად ვჭამთ. შევჭამეთ. ის მძიმედ ადგა იატაკიდან, დაიფერთხა შარვალი და თქვა:

– გერმანიაში ფინიკი არ ხარობს, მართლა არ ხარობს.

## მუსიკა

მუსიკა ჩვენებური კი არა, უცხო იყო. მას რენტგენის ფირებზე წერდნენ. ბავშვთა სახლელებს საავადმყოფოებში თავიანთი დაუსრულებელი მოგზაურობებიდან სუფთა რენტგენის ფირები ჩამოჰქონდათ, მერე მაგნიტოფონის ფირებზე ცვლიდნენ, ორი – ერთზე იცვლებოდა. ბიზნესი იყო.

უწყინარი დასავლური შლაგერები შიშის ზარს სცემდა აღმზრდელებს.

– იცით მაინც, რაზე მღერიან?

ჩვენ არ ვიცოდით. ფირფიტებს გვართმევდნენ, დამრღვევთა საქციელი სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე ირჩეოდა, ყველგან მიდიოდა ბრძოლა კაპიტალისტურ ზეგავლენასთან. უაზრო ბრძოლა.

ბიჭებმა თმა მოუშვეს. მოსკოვიდან ინსტრუქცია გამოგზავნეს «გადამდებ სენტან» საბრძოლველად. აღსაზრდელების თმები ყურების ნახევარს არ უნდა ჩამოსცილებოდა. ყურებს სახაზავით ზომავდნენ, ნახევარს – თვალზომით განსაზღვრავდნენ. მიდიოდა დაუსრულებელი ბრძოლა იმისათვის, რომ ცოტათი უკეთესი ვარცხნილობა გქონოდა, ვიდრე შენს ამხანაგს.

დავა თმის სიგრძის შესახებ მე არ მაღელვებს. მე ყოველთვის გადახოტრილი ვარ, იმიტომ, რომ სიარული არ შემეძლია.

ძალიან მინდა, გავიგო, რაზე მღერიან ადამიანები ფირფიტებიდან. მე მინდა მათი ენა ვისწავლო.

## წერილი

ეს ცუდი ბავშვთა სახლი იყო, ძალიან ცუდი. ცუდი საკვებით. ცუდი უფროსებით. ცუდი. ბავშვთა სახლები, ციხეებისა არ იყოს, სხვადასხვანაირია. ეს განსაკუთრებით ცუდი გახლდათ. ყველაზე ძნელი სიცივის გამღება იყო, ბავშვთა სახლი არ თბებოდა. განსაკუთრებით ზამთარში გვიჭირდა. კალმებში მელანი იყინებოდა. კლასებში ციოდა, საძინებლებში ციოდა, სადაც არ უნდა შევფორთხებულყავი, ყველგან ციოდა. სხვა ბავშვთა სახლებში მარტო დერეფნებში ციოდა, აქ – ყველგან. სხვა ბავშვთა სახლებში დერეფნებშიც კი შეიძლებოდა გათბობის მიღებთან მიფორთხება, აქ გათბობის მიღები რკინის ცივი უსარგებლო ნაჭრები იყო. ცუდი ბავშვთა სახლი იყო, ძალიან ცუდი.

ახალი მოიყვანეს. ცერებრალური დამბლა. ჩასკვნილი, ღონიერი ბიჭი საშინლად იკრუნჩხებოდა. ასეთი ძლიერი, მუდმივი კრუნჩხვები იშვიათობაა. მხრებში შეუდგნენ, საძინებელში წაიყვანეს. საწოლზე დასვეს.

სახე მოღრეცილი, მეტყველება გაუგებარი, თითქმის გაუგებარი. მეყველაფერი მესმოდა. ის ჭკვიანი არა, მაგრამ არც მთლად ისეთი დებილი იყო, როგორადაც ყველა თვლიდა, თითქმის ყველა, აღმზრდელებით დაწყებული, თანატოლებით დამთავრებული. საწოლზე იჯდა და განუწყვეტლივ, შელოცვასავით იმეორებდა რაღაც ჩიტის ჭივჭივის მსგავს უცნაურ ბგერებს – «ტლ», «ტლ». რუსულ ენაში არ არსებობს მხოლოდ თანხმოვნებისაგან შემდგარი სიტყვები. ვიცოდი ეს და ხმოვნებს ტუჩების, უფრო კი, სახის კუნთების მოძრაობის მიხედვით ვკითხულობდი. ბიჭი შეშლილი არ იყო. დღედაღამ ერთ უბრალო სიტყვას იმეორებდა – ეტლი. ისიც ძნელი იყო, ნორმალურად ჩაგეთვალა. ის ჯერ

ვერ ხვდებოდა. ვერაფერსაც ვერ ხვდებოდა, ამ ბავშვთა სახლში ჩასახეთქი არაფერი იყო, რა ეტლი?

ბავშვთა სახლელებს მშობლებთან მიმოწერის უფლება ჰქონდათ. ყოველ კვირა აღმზრდელი დაჟინებით მოითხოვდა, ბავშვებს წერილები დაეწერათ. ყოველ კვირა ბავშვები ჯიუტად იდგნენ უარზე. სულელი ბავშვები. მათ ხომ უფასო კონვერტს და სუფთა ფურცელს აძლევდნენ.

უმცროს კლასებში წერილებს თითქმის ყველა წერდა. ბავშვები ნაწერ ფურცლებს აღმზრდელს აძლევდნენ, ის გრამატიკულ შეცდომებს ასწორებდა, ფურცელს კონვერტში დებდა და გზავნიდა. ყველამ კარგად იცოდა, რაც უნდა დაეწერა წერილში. ყველანი სკოლის ნიშნების, მზრუნველი უფროსებისა და მეგობრული კლასის შესახებ წერდნენ. ყოველ დღესასწაულზე ბავშვებს ლამაზ ბარათებს ურიგებდნენ, ყველას ერთნაირს, რომ მშობლებისათვის მიელოცათ. ღია ბარათები უფროსებს განსაკუთრებით მოსწონდათ. თითოეული ბარათი ჯერ სახაზავითა და ფანქრით უნდა დაგეხაზა, შემდეგ ტექსტი დაგეწერა შავად. აღმზრდელი შავ ნაწერში გრამატიკულ შეცდომებს ასწორებდა. ახლა შეიძლებოდა ტექსტის ფანქრით გადაწერა ბარათზე. თუ უშეცდომოდ იყო გადაწერილი, მერე ნებადართული იყო ფანქრით ნაწერის მელნით გაფერადება.

ყველამ იცოდა ისიც, წერა რაზე არ შეიძლებოდა. ცუდზე არაფერზე არ უნდა დაგეწერა. აკრძალული იყო საჭმელზე წერა. განსაკუთრებით საჭმელზე. მაგრამ ეს სულელი მშობლები თავიანთ წერილებში მაინცდამაინც საჭმლის ამბებს კითხულობდნენ. ამიტომაც ყველა წერილი სტანდარტულად იწყებოდა. «გამარჯობა დედა! ჩვენ კარგად გვაქმევინ». კარგი წერილებისათვის ბავშვებს აქებდნენ, ცუდისათვის – უწყობდნენ. განსაკუთრებით ცუდ წერილებს მთელი კლასის გასაგონად კითხულობდნენ.

უფროსკლასელები წერილებს არ წერდნენ. რაცაა ბავშვთა სახლი, მშობლებმა ისედაც მშვენივრად იციან. რატომ უნდა აღელვებულიყვნენ კიდევ ერთხელ? თუ ვინმეს წერილის დაწერა სჭირდებოდა, ფული ყოფილიყო და კონვერტის ყიდვა ყოველთვის შეიძლებოდა. აღმზრდელს წერილს მართო არც თუ ისე ჭკვიანი ბავშვები თუ მისცემდნენ. ყველამ იცოდა, რომ ინსტრუქციის მიხედვით მას წერილი ჯერ სახლში უნდა წაეღო, წაეკითხა, და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეწვიტა, გაეგზავნა თუ არა. წერილის ყუთში ჩაგდება ნებისმიერ უფროსს შეეძლო. ყველაზე ხშირად ამ იოლ საქმეს ძიძებს სთხოვდნენ ხოლმე. ერთმა ბიჭმა მოახერხა და წერილებს პურის მანქანის მძღოლებს ატანდა. ბავშვთა სახლის ტერიტორიაზე პური ყოველდღე შემოჰქონდათ. ის მიდიოდა მძღოლთან და ჩურჩულით ეუბნებოდა: «ძალიან გთხოვთ, წერილი საფოსტო ყუთში ჩააგდეთ». მძღოლი მიმოიხედავდა, უსიტყვოდ იღებდა წერილს და მანქანაში ჯდებოდა. ამ ბიჭის წერილები იმავე დღეს იგზავნებოდა. მისი მშობლები ამას ფოსტის შტამპით ხვდებოდნენ. ბიჭი გვიმტკიცებდა, მძღოლები კარგი ხალხიაო. მამამისიც მძღოლი იყო.

შეიძლება აღმზრდელს მართლა ეგონა, უფროსკლასელები წერილებს არ წერენო, შეიძლება რაღაცას ეჭვობდა კიდევ, მაგრამ ყოველ კვირა დაჟინებით არწმუნებდა ყველას წერილები დაეწერათ. ის ლაპარაკობდა, ყველანი ჩუმად იყვენენ, ასე იყო მიღებული. თუკი აღმზრდელი ვინმეს ძალიან ამოუღებდა ტვინს, ბავშვი ისე იქცეოდა, ვითომ წერილს მართლა წერდა. ქალაქზე ჩქარ-ჩქარა დაწერდა «ვგიჟდები ქერის ფაფისთვისო», ფურცელს კონვერტში დებდა და თვითმფრინავების მოდელების ასაწყობი წებოთი აწებებდა. არც ერთი ასეთი წერილი ადრესატამდე არ აღწევდა. სამაგიეროდ ამ ბავშვს მერე აღარ აწუხებდნენ.

ახალი სულ თავის საწოლზე იჯდა, ყვიროდა, ტიროდა. თავიდან ძიძები ცუდად არ მოჰქცევინ: დილით საწოლიდან ძირს ჩამოსვეს, ჰკითხეს, როგორ დაგაწვინოთ, რომ გაფორთხდეთ. ინვალიდი ზურგზე იწვა, ხელ-ფეხს ჰაერში აქნევდა. რაღაცას გაუგებრად

ბლაოდა. როცა მუცელზე გადააბრუნეს, უფრო აყვირდა. ძიძებმა ისევ საწოლზე დააწვინეს და წავიდნენ. რალა უნდა ექნათ?

ბურდღუნებდა და ტიროდა. დღედამ. თანაკლასელებს ჯერ უნდოდათ ეცემათ, რომ ხმა ჩაეწყვეტინებინათ. მერე გადაიფიქრეს. დებილებს არ სცემდნენ. უბრალოდ ადმინისტრაციას მოსთხოვეს, სხვა პალატაში გადააწვინეთო. არავის არ უნდოდა მის ყვირილში ძილი. სანამ უფროსები გადაწყვეტდნენ, სად გადაესახლებინათ ეს საცოდავი, ბიჭებმა სულელის გართობა სცადეს. მოჰქონდათ გასაბერი ბუმტები, საბავშვო სათამაშოები – არაფერი არ შველოდა. ბიჭები არ ნებდებოდნენ, ხომ უნდა მოსწონებოდა რამე. ვიღაცამ რვეული შესთავაზა, სქელი, უჯრებიანი რვეული. სულელს გაუხარდა, თავი დაიქნია. ჩაეჭიდა რვეულს, დამშვიდდა და უცებ გარკვევით თქვა: «მომე». მოულოდნელმა წარმატებამ ყველა გაახალისა. სთხოვდნენ კიდევ ეთქვა «მომე», ის იმეორებდა და ილიმებოდა. სიტყვა «მომე» კარგად გამოსდიოდა. თითქმის დაუბრკოლელად, გარკვევით ამბობდა: «დედა», «მამა», «მომე», «კი», « არა». სიტყვას «არა» – ძლივს ამბობდა, თავიდან თითქმის გაუგებარ «ა-»ს მერე ჩერდებოდა და მერე «რ-რა». ესეც საკმარისი იყო. ის კალამს ითხოვდა. მისცეს კალამი, არც უკითხავთ, ისე მიუტანეს მაგიდა, მიუდგეს საწოლთან. კალამი მაგიდაზე დაუდეს. ერთი წუთით გაშეშდა, მოულოდნელად ყოჩაღად ჩასჭიდა მარჯვენა ხელი კალამს, გადააწვა მაგიდას მთელი ტანით, რვეული ქვეშ მოიყოლა, ნიკაპით გადაშალა და კალამი სუფთა ფურცელს ატაკა. დაჯდა, აქეთ-იქით გადაყრილი ხელები უაზროდ უთახთახებდა, მაგიდის ქვეშ ფეხები არარიტმულ ხმებს გამოსცემდნენ. იცინოდა. ბიჭებიც მასთან ერთად იცინოდნენ.

ახლის ცხოვრება შეიცვალა. ღამდამობით ღრმად ეძინა, დილაობით ძიძები ხელში კალამს აჩეჩებდნენ. წინ რვეულს უდებდნენ. მთელი დღე საწოლზე იჯდა, ხან ეცემოდა რვეულს მთელი ტანით და ცდილობდა, როგორმე კალამი ფურცლისათვის მოეხვედრებინა, ხან იცინოდა, თავისი დახატულით ტკბებოდა. ორი კვირა ბიჭებს პალატაში მშვიდად ეძინათ. ორი კვირა სულელს მოთმინებით გამოჰყავდა რვეულში უცნაური ხვეულები, რაღაც ხაზები, მხოლოდ მისთვის ხილული სახეები და ნიშნები. როცა რვეულში აღარ დარჩა სუფთა ადგილი, აყვირდა, ისევ აყვირდა. ბავშვთა სახლში რვეულები ძალიან ფასობდა, განსაკუთრებით უჯრებიანი. მაგრამ სულელს ხატვა უნდოდა, ბიჭებს – მშვიდი ძილი. ახალი რვეული უყიდეს, ოღონდ ხატოსო. არც კი შეხედა ახალ რვეულს. კალამი ძირს მოისროლა, რვეული საწოლში გვერდით მოიღო, – გაქეპილი, უსარგებლო სათამაშო და ისევ აყვირდა.

ახლა რასაც ყვიროდა, უკვე ყველას ესმოდა. ყვიროდა «დედაო», ხმამალა ყვიროდა. ბიჭები უკვე ცოტათი მიეჩვივნენ მის მეტყველებას. ყველა ცდილობდა, როგორმე გაეგო, რა უნდოდა, ეხვეწებოდნენ არ ეყვირა, ჰპირდებოდნენ, ბევრ ახალ რვეულს მოგიტანთო – არაფერი არ აწყენარებდა. ერთიმეორის მიყოლებით უსახელებდნენ სიტყვებს, ყველაფერზე «არას» პასუხობდა. მერე ასოების დასახელება დაიწყეს, თუ ასო მოსწონდა, «ჰოს» პასუხობდა. გამოვიდა სიტყვა «წერილი». ყველა მიხვდა. უნდოდა, რომ ნახატები დედამისისათვის გაეგზავნათ. დაუძახეს აღმზრდელს. აღმზრდელი დიდხანს ათვალიერებდა რვეულს. დაქმუჭნული ფურცლები სულ რაღაც ნიშნებით იყო მოხატული. ნიშნები ზოგან მიმოფანტული იყო ფურცელზე, ზოგან მჭიდროდ ირეოდა და გაურჩეველი მელნის ხლართები კომტებად იკვრებოდა. ზოგი ფურცელი სულ წრეებით იყო მოხატული. წრეები სხვადასხვა ზომისა იყო, ხანდახან პირმეუკრავი, გაჭირვებით, მაგრამ შეიძლებოდა ასო «ო-დ» ჩაგეთვალა. მაგრამ ვინ წერს ერთ ასოს მიყოლებით ორ გვერდზე?

აღმზრდელმა წერილის მშობლებისათვის გაგზავნა იუარა, ასე თქვა, ეს წერილიაო, მე მისი შინაარსი უნდა ვიცოდეთო. სკანდალი მწიფდებოდა. რა შინაარსი უნდა

ჰქონოდა უაზრო ნაჩხაპნებს? მკაცრი აღმზრდელი ცვლას დაამთავრებს, წავა სახლში, კარგად გამოიძინებს, ბიჭებმა კი რა ქნან, ისევ ვერ უნდა დაიძინონ ამ სულელის ყვირილში? აღმზრდელს სასწრაფოდ უნდა მოეფიქრებინა რამე. ის ახალთან მივიდა.

– ეს წერილია?

– არა.

– შენი ნახატებია?

– კი.

– გინდა რომ დედას გავუგზავნო?

– კი

– მოდი, მთლიან რვეულს ნუ გავაგზავნით? ყველაზე ლამაზი ნახატები ამოვირჩიოთ და ისინი გავაგზავნოთ.

– არა, არა.

ორჯერ გამოთქვა «არა», სიტყვა, რომელსაც ძლივს ამბობდა. მერე აყვირდა. ყვიროდა «დედაო», ფეხებს აბაკუნებდა და ცდილობდა კიდევ ერთხელ ეთქვა «არა». არ გამოსდიოდა.

– კარგი, კარგი. ყველაფერი მესმის. დედას ძალიან მოსწონს, როცა ხატავ. ყველა ნახატს გავუგზავნი. წერილს მივწერ დედაშენს. მივწერ, რომ აქ მოგწონს, რომ ბევრი მეგობარი გყავს და ძალიან გიყვარს ხატვა. ხომ მოგწონს ჩვენთან?

– კი.

ასე მოილაპარაკეს. აღმზრდელმა ახალის წერილი მშობლებს გაუგზავნა. ახალი დამშვიდდა. ღამით ეძინა, დღისით თავის საწოლზე იჯდა და სიცარიელეს მიმტერებოდა...

ერთი თვის მერე ბავშვთა სახლში ინვალიდის ეტლები ჩამოიტანეს. ბევრი იყო, ყველას ეყო. ახალსაც მისცეს. ძიძვები მხრებში შეუდგნენ, წამოაყენეს. ადგა. ეტლთან მიიყვანეს, დასვეს. შეეცადნენ ფეხები საყრდენზე დაედებინებინათ, არ დაანება. ფეხების ჩამოსადებები სულაც მოაშორეს. მან ფეხები ჰკრა იატაკს და გაქანდა. ჩქარ-ჩქარა ურტყამდაფეხებს იატაკს და დერეფანში მიგორავდა.

კლასის მორიგ კრებაზე აღმზრდელი ახალს ლანძღავდა. ასეთ შემთვევაში მიღებულ სისულელეებს ლაპარაკობდა: როგორ წყდება წელში ქვეყანა, უკანასკნელ პურის ლუკმას როგორ გვიყოფს, და ის კი ასეთი უმადურია. ამტკიცებდა, ადამიანურად მოვექეცი ახალს, მისი რვეული მშობლებს გავუგზავნე, რვეულში კი, თურმე ლაფში ამოგვსვარა მთელი ბავშვთა სახლის კოლექტივი, ბავშვთა სახლის ცხოვრება შავ ფერში აღწერა, უსაფუძვლოდ გავგვითხა პედაგოგთა საბჭო და მომსახურე პერსონალიო. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ახალი არ უსმენდა. როცა ასეთ შემთხვევებში მიღებულ ბრალდებებზე გადავიდა და გულქვაობასა და უგულოებაში დაადანაშაულა, მან სკოლის მერხი ფეხით გასწია და დერეფანში გაგორდა.

მეტად აღარ მიუციათ წერილის წერის უფლება. არც უთხოვია. გაკვეთილების შემდეგ დერეფანში დაგორავდა. საათობით თამაშობდა გასაბერი ბუმბით. სადილზე რეგულარულად ითხოვდა დამატებას. მისთვის კოვზით უნდა ეჭმიათ. ძიძვებს არ უნდოდათ დამატებით ეკვებათ. შეეცადნენ, აეხსნათ, მაგრამ ამაოდ. მანამდე დასდევდა ძიძვას ეტლით, სანამ ის არ დანებდებოდა. ძიძვები ცდილობდნენ, თავიანთ ოთახში დამალვოდნენ. ის კი ოთახის წინ იჯდა და ყვიროდა. როცა ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდოდათ, გამოდიოდნენ ოთახიდან და აჭმევდნენ კიდევ ერთ თევზს სუპს ან ფაფას.

თანდათანობით ყველა მიეჩვია და ყოველთვის ორმაგ ულუფას აძლევდნენ ხოლმე, ოღონდ როგორმე თავი დაეღწიათ აბეზარი ინვალიდისაგან.

როცა მარტო ვრჩებოდით, მე ველაპარაკებოდი ხოლმე. ნელ-ნელა ამბობდა თითოეულ სიტყვას, ფრაზას გამოთქვამდა, თან ეჭვითა და ურწმუნოდ მომჩერებოდა. მე მის სიტყვას ვიმეორებდი. თანდათანობით მომეჩვია და აღარ მიხდებოდა სიტყვების გამეორება. ჩვენ ვსაუბრობდით. ვკითხე, კონკრეტულად რა ეწერა-მეთქი წერილში.

– რუბენ. მე დიდხანს ვიფიქრე.

– ვიცი, რომ დიდხანს იფიქრე და კარგი წერილი დაწერე. რა დაწერე?

«დედა, ცუდად მაჭმევენ და ეტლს არ მამლევენ».

მისი პირველი წერილის პირველ გვერდზე სულ ასო «დ» ეწერა. დიდი და პატარა. იმედი ჰქონდა, ერთი ასო მაინც იქნება გასაგები მთელ გვერდზეო. ხანდახან ერთი ასოს წერა რამდენიმე გვერდზე უწყევდა. სქელი, ოთხმოცდაცხრამეტფურცლიანი რვეული მთლიანად იყო მოხატული.

– პირველი ოთხი ასო ზედმეტია – ვცდილობდი მეკამათა.

– დიდხანს ვიფიქრე.

– მაინც, პირველი ოთხი ასო ზედმეტია. შეიძლება, ადგილი არ გყოფნოდა. დაფიქრდა. მერე გამიღიმა და ნელა და ძალიან გარკვევით წარმოთქვა: «დე-და».

## ღვეზლები

ბავშვთა სახლი. სახლი ბავშვებისათვის. აღსზრდელებს მომავალი ცხოვრებისათვის ამზადებენ. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გარდა პატარებს იმ რთულ სამყაროში თავის გატანის საფუძვლებსაც ასწავლიან, ბავშვთა სახლის ჭიმკარგად აღმა რომ იწყება. ბიჭებს, ასწავლიან ელექტრიკოსობას, ხერხვას, ავეჯის აწყობასა და შეკეთებას, გოგონებს – კერვას, ქსოვას, საჭმლის კეთებას. არ არის ადვილი – უხელებო ბიჭს ელექტროჩამრთველის გამოცვლა ასწავლო. თითქმის წარმოუდგენელია ქსოვა ასწავლო ცალხელა გოგოს. ძნელია. მართლაც ძნელი. ჩვენი პედაგოგები იმის გაკეთებას ახერხებდნენ, რაზედაც ინვალიდი ბავშვის მშობლებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ.

საკლასო ოთახში იატაკზე ვწევარ. შემოდის გოგონა ხელში ლანგრით. ცალი ფეხის ნაცვლად პროთეზი აქვს. ჩვენი, ბავშვთა სახლისეული საზომით თითქმის ჯანმრთელია. ლანგარზე ღვეზლებია. ცხელი, დაბრაწული.

– ბიჭები სად არიან? – გოგოებმა, – ამბობს ის, – ღვეზლები დავაცხვეთ. შეგვპირდნენ, სამზარეულოში მოვალთ და გავსინჯავთო.

– კინოში არიან.

– როგორ თუ კინოში?

– დღეს ისინი წაიყვანეს, ხვალ თქვენი ჯერია. დღეს ხომ მეცადინეობა გქონდათ კულინარიაში.

– ჩვენ რატომ არ გვითხრეს? რა ვუყოთ ახლა ღვეზლებს?

ლანგარს მასწავლებლის მაგიდაზე დგამს, მერხთან ჯდება, მერე ერთ ღვეზელს იღებს და მიწვდის.

კარტოფილის ღვეზელია ხახვით. ვჭამ ღვეზელს.

– გემრიელია, – ვეუბნები, – კარგი ღვეზელები გამოგსვლიათ.

გოგონა არც მისმენს. წინ სივრცეში იმზირება ჩაფიქრებული.

– რა უცნაურია.... სად არიან ბიჭები?

## ჩხუბი

ბავშვთა სახლში იშვიათად, მაგრამ სასტიკად ჩხუბობდნენ. წესების დაცვით ჩხუბობდნენ. მოდიოდა კბენა, თმების დაწიწკნა. ბავშვთა სახლის კანონებით იკრძალებოდა დანები და კასტეტები. არათანაბარი ინვალიდობის შემთხვევაში, ნებადართული იყო შურისძიება. დროის ფაქტორი შურისძიებაზე არ მოქმედებდა. ვიცნობდი ერთ ბიჭს, რომელიც სიამაყით ყვებოდა, როგორ შეუგდო მანქანას თავისი მჩაგვრელი წლინახევრის წინანდელი წყენისათვის. წარუმატებლად შეუგდო, მანქანა ისიც იყო იძვრებოდა და დარტმა ძლიერი არ აღმოჩნდა. საღამოს საქმის გარჩევაზე დამნაშავე გაამართლეს. შურისმაძიებელი ცალხელა იყო, ვინც შეაგდეს, იმას ორივე ხელი და ცალი ფეხი ჰქონდა. პატიოსნად მოხდა ყველაფერი. ჩხუბი შეუძლებელი იყო. ბიჭმა შური იძია, ანუ კარგად მოიქცა. როცა დაზარალებული საავადმყოფოდან გამოწერეს, ბავშვები დამეგობრდნენ კიდევ. ძალას პატივს სცემდნენ. ყველას ჰქონდა უფლება, ძლიერი ყოფილიყო.

მიყვარს შემოდგომა. შემოდგომობით შინიდან საზაფხულო დასვენების შემდეგ ბრუნდებოდნენ ის ბედნიერები, რომლებიც არდადეგებზე შინ მიჰყავდათ. შემოდგომობით ხმაური და მხიარულება იყო, გემრიელი საჭმელი, საინტერესო ამბები სახლზე, ზაფხულზე, მშობლებზე. მძულს გაზაფხული. არც არასდროს მყვარებია. გაზაფხულობით არდადეგებზე მიდიოდნენ საუკეთესო მეგობრები. გაზაფხულობით იმედი გვქონდა, რომ სწორედ ამ გაზაფხულზე წაიყვანდნენ სახლში იმას, ვინც შარშან დატოვეს. ყველას სჯეროდა. იმათაც, ვისი მშობლებიც ძალიან შორს ცხოვრებდნენ, ობლებსაც კი. ცდილობდნენ, მთელი დღე ბავშვთა სახლის ეზოში გაეტარებინათ, ჭიშკართან ახლოს. ამაზე არ ლაპარაკობდნენ, უბრალოდ ელოდნენ, უბრალოდ სჯეროდათ. მე – არა. ვიცოდი, ჩემთან არასდროს არავინ არ ჩამოვიდოდა.

იმ გაზაფხულზე სერიოგა მოწყენილი დაბრუნდა. უცნაური იყო მოწყენილი სერიოგა. რა თქმა უნდა, ცოტათი ყველა დარდობდა არდადეგების შემდეგ, სახლი ენატრებოდათ. მაგრამ ამ დარდს მეგობრებთან შეხვედრა, ახალი შთაბეჭდილებები, ახალი სახელმძღვანელოები აქარვებდა. გადავდიოდით კლასიდან კლასში, ვიზრდებოდით.

სერიოგა, უფეხებო ბიჭი, ჩვენს პალატაში თავისი ურიკით მოვიდა. პაცანებთან სათათბიროდ. ძირითად გენკას ელაპარაკა.

– ჩხუბი მომიწევს.

– სერგეი, შენ ყველაზე ღონიერი ხარ ბავშვთა სახლში. ეს ყველამ იცის. შენთან ჩხუბს ვინ გაბედავს?

– საქმეც იმაშია, რომ ბავშვთა სახლში კი არა, იქ, გარეთ.

– რისთვის უნდა იჩხუბო?

– ქალის გულისათვის. მითხრეს, მიწაში ჩაგდებთ, დაგმარხავთო. ერთი დღით ადრე, სანამ ბავშვთა სახლში წამოვიდოდი. დამემუქრნენ, თუ გაზაფხულზე სახლში გამოჩნდები – მოგკლავთო.

ყველამ იცოდა, სერიოგას გარეთ გოგონა ელოდებოდა. ჯანმრთელი. ნორმალური ლამაზი გოგონა. ჩვენი გოგოები ვერც ბედავდნენ მასთან გაკეკლუცებას. იცოდნენ, როცა სერიოგა სკოლას დაამთავრებდა, თავის გოგონას მოიყვანდა ცოლად.

გოგოზე გენკას არაფერი უკითხავს. არ იყო მიღებული. თუ უნდოდა, ბიჭი თვითონვე მოყვებოდა. არ უნდოდა და – თავისი საქმე იყო.



- არც კი ვიცი, რა გირჩიო. გარეთ არასდროს არ ვყოფილვარ. ღონიერია?
- აბა რა? ერთი წლით უფროსია ჩემზე, პროფში სწავლობს.
- მაშ დაგრხევია. მოგკლავს. წიხლს ჩაგარტყამს და მიგასიკვდილებს.
- თვითონაც ვიცი. მაგრამ უნდა ვიჩხუბო.

გენკა ჩაფიქრდა. ბავშვთა სახლში გენკაზე ჭკვიანი არავინ იყო. გენკამ ეს თვითონაც იცოდა. ეს ბავშვთა სახლია. სიმართლე არ იმალება. ყველამ ყველაზე ყველაფერი იცოდა. ვიცოდით, ვინ იყო ბავშვთა სახლში ყველაზე ღონიერი, რომელ კლასში სწავლობდა ყველაზე ლამაზი გოგონა.

- იცი, სერგეი, მე მგონია, მაინც გაქვს შანსი, პატარა შანსი. უნდა წააქციო. თუ წაიქცა, ეცი და მოახრჩვე. ორი ფეხით მეტი აქვს, უფრო ღონიერია. სხვა გზა არა გაქვს.

სერიოგამ ისედაც იცოდა, სხვა გზა რომ არა ჰქონდა. იმ დღის შემდეგ ვარჯიში დაიწყო. იმ წელიწადს ყველა ვარჯიშობდა. სკოლის ეზოში ტურნიკები დადგეს. ფიზკულტურის მასწავლებელმა და ელექტრიკოსმა რკინის მილებისაგან რამდენიმე პრიმიტიული ტრენაჟორი დაამონტაჟეს. ლოთობამ საგრძნობლად იკლო. მასწავლებლები გახარებულები იყვნენ – თითქმის მთელ თავისუფალ დროს ბავშვები სკოლის ეზოში ატარებდნენ. სერიოგამ, ავტორიტეტმა, სიგარეტს დაანება თავი. ვინც ვარჯიში გადაწყვიტა, იმათაც დაანებეს, თუმცა ბევრმა ვერ გაუძლო, ისევ მოწია. სერიოგამ გაძლო.

ყოველდღე, თითო საათს დილით, ორ საათს საღამოს, ოთხ-ოთხ საათს შაბათ-კვირას, ცხრა სასკოლო თვის განმავლობაში ბავშვთა სახლი ვარჯიშობდა.

ისინი, ვისაც ერთი ხელი ჰქონდა, მხოლოდ ცალ ხელს ავარჯიშებდნენ. მოულოდნელად პროთეზების ხმარება დაიწყეს. ხელების უსარგებლო პლასტმასის იმიტაციები მართლაც აუცილებელი გახდა. თანდათანობით პროთეზებში ტყვიას ასხამდნენ, ზურგი რომ არ გამრუდებოდათ, ხერხემალი რომ არ გადახროდათ ჯანმრთელ მხარეს. თანაც პროთეზი ურიგო იარაღი არ იყო ჩხუბის დროს.

ბავშვთა სახლში ცხოვრობდა ერთი უხელებო ბიჭი. არც ერთი ხელი არა ჰქონდა. ისინი, ვისაც, მხოლოდ ხელის მტევანი აკლდა, ტაკვს\* ავარჯიშებდნენ. მას სულ არ შეეძლო პროთეზების ხმარება. პროთეზები – ეს უსარგებლო სათამაშოები მხოლოდ ხელს თუ შეუშლიდა, და საერთოდ არ ატარებდა. ის ყველაზე მეტს ვარჯიშობდა, სერიოგაზე მეტსაც კი. ტაბურეტზე ჯდებოდა, ფეხებს კარადის ქვეშ ამოაწყო და უკან იხრებოდა, კეფით იატაკს ეხებოდა. სულ ვარჯიშობდა, გაკვეთილების სწავლის დროსაც კი. ლექსებს იზეპირებდა, განვლილ მასალას იმეორებდა და თან ვარჯიშობდა, ამბობდა, ასე უფრო კარგად ვიმახსოვრებო. საღამოობით დიდხანს ურტყამდა ქუსლებს კედელზე ჩამოკიდებულ გაზეთების დასტას. შეხტებოდა, გაზეთს ქუსლს ურტყამდა, მერე უკან გადმოხტებოდა და ისევ ურტყამდა. ყოველდღე სიამაყით აკლებდა შეკვრას თითო გაზეთს. ერთხელაც, ერთ-ერთი ვარჯიშის დროს, როცა გაზეთების შეკვრა საგრძნობლად შეთხელდა, კედლიდან საღებავი ჩამოცვივდა, გაზეთების შეკვრა მოსძვრა ლურსმანს და ჩამოვარდა. ის ისევ გამწარებული ურტყამდა ქუსლებს შიშველ კედელს. მოვიდნენ უფროსები, კედელი შეღებეს, არ გაუწყენენ, იცოდნენ, ძალით რომ არ უქნია. სიცილით ურჩიეს, გარაჟის ბეტონის კედელზე ევარჯიშა. უხელო ყველაზე ადრე დგებოდა, გარეთ გადიოდა და ურტყამდა უდანაშაულო ბეტონის კედელს. ახლა უკვე შეეძლო, ფეხები ევარჯიშებინა და არც დილის ძილი დაეფრთხო დანარჩენებისათვის.

სერიოგას ხელები ჰქონდა. ის კარგად ავარჯიშებდა სხეულს. ოღონდ, როცა ტურნიკზე იწეოდა, ზურგზე ზურგჩანთას იკიდებდა. თავიდან ზურგჩანთაში ცოტაოდენი ტვირთი ედო, არარსებული ფეხების წონის საკომპენსაციოდ, მერე სერიოგამ ჰანტელების ჩაწყობა დაიწყო. მძიმე ზურგჩანთითაც კი შეეძლო ორმოცზე მეტჯერაც კი აწეულიყო ერთ ჯერზე.

ზურგჩანთის იდეა თვით ფიზკულტურის მასწავლებელსაც კი მოეწონა. ფიზკულტურის მასწავლებელს მხოლოდ დილის ვარჯიშის ჩატარება ევალებოდა, ფიზკულტურის გაკვეთილებს მაინც არავინ არ ესწრებოდა. მაგრამ იმ წელს ფიზკულტურის მასწავლებელი ლამის ყველაზე მთავარი ვინმე გახდა სკოლაში, თვით მათემატიკის მასწავლებელზე მნიშვნელოვანიც კი. ძალიან ეხმარებოდა ბიჭებს, თვითონ იგონებდა ტრენაჟორებს ინვალიდებისათვის, კითხულობდა გრძელ ლექციებს ანატომიაში. კარგი მასწავლებელი იყო.

სერიოგა ძალიან ამაყობდა თავისი საგორავებით. საგორავებს ხის პატარა, სახელურიან დაფებს ემახდნენ, რომლებსაც უფეხებო ინვალიდები მიწას ჰკრავდნენ და დაბალი ბურთულებიანი ურიკებით ასე გადაადგილდებოდნენ. სერიოგამ თვითონვე გააკეთა თავისი საგორავები შრომის გაკვეთილზე მსუბუქი ალუმინის მილებისაგან. რეზინისლანჩებიანი ალუმინის საგორავები დიდხანს არ დარჩენილა მსუბუქი. ყოველ საღამოს სერიოგა პატარა კოცონს აჩაღებდა სკოლის ეზოში, ტყვიას ადნობდა და ცოტ-ცოტას ასხამდა თავის საგორავებში. საგორავები ყოველდღიურად მიმდებოდა. ის მათ ჩვეულებრივად ხმარობდა. ჩვეულებისამებრ დასეირნობდა ბავშვთა სახლის ტერიტორიაზე თავისი ურიკით, მაგრამ ახლა სულ თან ჰქონდა მოსახერხებელი ჰანტელები. გაზაფხულზე თითოეული საგორავი ზუსტად ხუთ კილოს იწონიდა. სერიოგამ გადაწყვიტა, ხუთ კილოზე გაჩერებულიყო.

ჩუმიად გავაცილეთ სერიოგა საზაფხულო არდადაგებზე. ვხედავდით, რომ ზამთრის ვარჯიშმა ის ძალიან გააკაჟა, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავდა. როცა სერიოგა რაიმე შედეგს აღწევდა, ჩვენ გვესმოდა, რომ ეს მაინც ცოტა იყო, ძალიან ცოტა. სერიოგა ყოველდღე ვარჯიშობდა, მაგრამ ნათელი იყო, რომ სადღაც იქ, მის მშობლიურ ქალაქში ვარჯიშობდა მტერი, ავარჯიშებდა თავისი საღი სხეულის თვითოეულ კუნთს. აი, სერიოგამ პირველად შეძლო და ტურნიკზე ორმოცდაათჯერ აიწია. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ მისი მოწინააღმდეგე, სულ ცოტა, ასჯერ მაინც იწეოდა. სერიოგა მარცხენა ხელით გირს რვაჯერ სწევდა, მისი მოწინააღმდეგე – ასე, ოცჯერ მაინც.

სწრაფად გავიდა ზაფხული. კიდევ ერთი ბავშვთა სახლისეული ზაფხული. შემოდგომაზე, როგორც ყოველთვის, მშობლებმა ბავშვები ბავშვთა სახლში ჩამოიყვანეს. სერიოგაც ჩამოვიდა. ჩხუბის შესახებ არავის არაფერი უკითხავს. არც სერიოგას მოუყოლია რამე. მხოლოდ ერთხელ, როცა სერიოგა პაცანებთან მივიდა, გენკამ ჰკითხა, სიტყვა გადაუკრა. ზაფხულის არდადაგებზე ჩამოაგდო ლაპარაკი. სერიოგა მაშინვე მიუხვდა, შეიშმუშნა, თვალები დახარა. გენკას უარს ვერ ეტყოდა.

– არ გვიჩხუბია, – ჩუმიად დაიწყო სერიოგამ, – არა. პირველივე საღამოს, როცა სახლში ჩავედი, მოვძებნე. ვიღაც ბიჭთან ერთად იდგა, ეწეოდა. ვკითხე, თუ გახსოვარ-მეთქი, მიპასუხა, კიო. მაშინ მთელი ძალით დავარტყი საგორავი მუხლში. ფეხი მოსტყდა, უკან გადაუბრუნდა. წაიქცა. ყვირილი დაიწყო. დედას ემახდა. რამდენჯერმე დავარტყი მუცელში. ახრიალდა. იმის მეგობარს მოვუტრიალდი, მეგონა, ორთან მომიწევდა ჩხუბი, ის კიდევ უფროსების დასაძახებლად გაიქცა. ჩამშვები. მოირბინეს, ექიმი გამოიძახეს. მეკითხებოდნენ, როგორ მოვალამაზე ასე, ვუპასუხე, ხელით-მეთქი. დიდი ხმაური ატყდა. მართლაც დანა ჰქონია ჯიბეში.

– მერე?

– მერე არაფერი. მამამისი ჩვენთან მოვიდა სახლში. დასხდნენ, დალიეს. მამამისს ყველაფერი პატიოსნად მოვუყევი. მერე ის ბიჭიც გავიცანი. კარგი ბიჭია, ოღონდ სუსტი. მთელი ზაფხული ყავარჯნებით დადიოდა. გასაკვირია, სათევზაოდ დავპატიჟე და ასე მიპასუხა, ყავარჯნებით შორს სიარულის ნებას არ მამლევენო. მშობლებიც უცნაური

ჰყავს. ვეცადე ამეხსნა, რომ ჩვენთან ნახევარი ბავშვთა სახლი ყავარჯნებით დადის, მაგრამ ვერ გაიგეს. კარგად ვითევზავე ამ ზაფხულს. ქარიყლაპია დავიჭირე. კარგი იყო თევზაობა.

სალამოთი ბიჭები დიდხანს კამათობდნენ. ვერ გაეგოთ, რატომ არ იჩხუბა იმ ფეხმოტეხილმა ბიჭმა, მას ხომ ორი სალი ხელი, ჯანმრთელი ფეხი და დანაც ჰქონდა ჯიბეში. უცნაურია და მეგობარიც უცნაური ჰყოლია.

## ველოსიპედი

ძილის დროა. უფროსები შუქს გვიქრობენ და გადიან. ბავშვებმა უნდა დაიძინონ. ეს დღე-ღამის საუკეთესო დროა – დაწოლის მერე რამდენიმე საათი. ჯერ არ გვეძინება. ბნელა. თუ რამე დღესასწაული არ არის, რა საჭიროა შუქის ანთება. დღესასწაული – სხვა საქმეა. ამ დროს გადანახულ კონსერვებს ვხსნით, ღვინოს ვსვამთ, თუ ღვინო არა გვაქვს – ჩაის. თუ დღესასწაული არ არის და მაინც არ გვეძინება, ვსაუბრობთ. ღამით, რაზედაც გინდა, იმაზე ილაპარაკებ, არავინ დაგცინებს. ღამით იხსენებენ სახლს, დედ-მამას. ღამით – შეიძლება. არ გეტყვიან, ლაყე ხარ და დედიკოს ბიჭო. ღამით – არ გეტყვიან.

იმ ღამითაც მშობლებზე ვლაპარაკობდნენ. მე ჩუმად ვიყავი. როცა არაფერი ჰქონდათ სალაპარაკო, მთხოვდნენ, რამე საინტერესო მომეყოლა წიგნებიდან. მეც ვყვებოდი. იმ ღამით არაფერი მქონდა მოსაყოლი. მხოლოდ ვისმენდი.

როგორც ყოველთვის, შემოდგომობით, ბავშვები კამათობდნენ, ვისა ჰყავს საუკეთესო მშობლები. დღესავით ნათელია, რომ მშობლები ყველას კარგი ჰყავდა. ამქვეყნად ყველაზე კეთილი დედიკოები, ყველაზე ღონიერი მამიკოები. მამა ყველას არ ჰყავდა. ვისაც ჰყავდა, ხომ – ყველაზე საუკეთესო.

– კარგი მამა მყავს – დაიწყო ბიჭმა. – ყველაზე კარგი.

– აბა, რომ ამბობდი, სვამსო?

– მერე რა, რომ სვამს? მაინც კარგია. ამ ზაფხულს ჩვენმა მეზობელმა შვილს ველოსიპედი აჩუქა დაბადების დღეზე, სადილო ველოსიპედი, ორბორბლიანი. ყველას გვსვამდა. ეზოში ყველა რიგ-რიგობით ვჯდებოდით. მამას სამი დღე არ დაუღევია. ფიქრობდა. გაბრაზებული მიდი-მოდიოდა სახლში. დედამ ლუდი მოუტანა – არ დაუღევია. კალამი და რვეული გამომართვა და რაღაცა დიდხანს იანგარიშა. ბულალტერიას მიაკითხა. მერე პროფკავშირის კომიტეტს. შაბათს რაიონში წავიდა, ფხიზელი დაბრუნდა. რადიომიმღები მომიტანა. აიო, თქვა, მეზობელი თუ დაბადების დღეზე შვილისათვის ველოსიპედს ყიდულობს, მე კიდე, როცა მომინდება, მაშინ შემიძლია საჩუქრები მოვიტანო ოჯახშიო. ორი კვირა არ დაუღევია, ღამის ცვლაშიც იმუშავა, მეტი რომ გადაეხადათ. დიდი რადიომიმღები მომიტანა, ძვირიანი, ეგეთი არავის არა ჰქონდა. სკალაზე მსოფლიოს ყველა ქალაქი აწერია. რასაც გინდა, იმას დაიჭერ. მუსიკასაც, საბავშვო გადაცემებსაც. ერთი გადაცემაა, დიქტორი ბრძებს წიგნებს უკითხავს. ყოველდღე ვუსმენდი. კარგი რადიოა. მეზობლის ბიჭს ველოსიპედი მაინც მალე გაუფუჭდა. ჭკვიანია მამაჩემი, იცის, რა იყიდოს. რადიო არა სჯობია ველოსიპედს?

არავინ შეჰკამათებია. გასაგებია. რადიო სერიოზული ნივთია, ველოსიპედი, კი, აბა, რა არის ველოსიპედი? ორბორბლიანი რკინაა, მეტი არაფერი..

## ესპანელი

საავადმყოფო. წელამდე თაბაშირში ვწევარ. ზურგზე ვწევარ. ვწევარ უკვე წელიწადზე მეტია. უკვე წელიწადზე მეტია ერთსა და იმავე ადგილს მივჩერებივარ ჭერში. სულ აღარ მინდა სიცოცხლე. ვცდილობ, რაც შეიძლება ნაკლები ვჭამო და ვსვა, კარგად გამომდის, გამომდის იმიტომ, რომ ვიცი, რაც უფრო ნაკლებს ჭამ, დახმარებაც ნაკლებად გჭირდება. დახმარების თხოვნა ყველაზე საშინელი, უსიამოვნო რამეა ცხოვრებაში.

შემოვლა. ახალგაზრდა სტუდენტების თანხლებით პალატებში ექიმი დადის. ჩემს საწოლთანაც მოდის. იხედება ავადმყოფობის ისტორიაშიდა ხმამაღლა კითხულობს იმას, რასაც უკვე წელიწადზე მეტია, ვისმენ. ლაპარაკობს ჩემს ხელებზე, ფეხებზე და გონებრივ ჩამორჩენილობაზე. მივეჩვიე უკვე. შემოვლები ხშირია. უკვე ბევრ რამეს მივეჩვიე ამ საავადმყოფოში. უკვე თითქმის სულ ერთია.

ექიმი ზეწარს მხდის, იღებს საჩვენებელ ჯოხს და მოწყენილ სტუდენტებს ჩემს სხეულს უჩვენებს. თან მკურნალობის მეთოდებზე და სხვა ამგვარ სისულელეებზე ელაპარაკება. სტუდენტებს სძინავთ.

– რამდენია ორს მივუმატოთ ორი? მეკითხება მოულოდნელად.

– ოთხი.

სამს მივუმატოთ სამი?

– ექვსი.

სტუდენტები დაინტერესდნენ, ლამის გამოფხიზლდნენ. ექიმი მოკლედ და დამაჯერებლად უხსნის, რომ მე ტვინის ყველა ნაწილი არა მაქვს დაზიანებული – ბიჭმა თავისი სახელიც იცის და ექიმებსაც გვცნობს – ამბობს და მიღიმის. ვიცნობ ამ ღიმილს, ვიცნობ და მძულს. ასე ან ძალიან პატარებს ან ცხოველებს უღიმიან, უგულოდ და ნამძალადევად.

– და ორი რომ ორზე გავამრავლოთ, რამდენი იქნება?

სიტყვა «გამრავლებას» განსაკუთრებით უსვამს ხაზს. ეს კი უკვე მეტისმეტია, მეტისმეტია, აქაც კი, ამ წყეულ საავადმყოფოში.

– ორჯერ ორი ოთხია, სამჯერ სამი – ცხრა, ოთჯერ ოთხი – თექვსმეტი. მცირა. დამაფარეთ ზეწარი ან სარკმელი მაინც დახურეთ. კი, დებილი ვარ, მაგრამ დებილსაც შეიძლება სციოდეს. რა, მე თქვენი «საცდელი ბაჭია» ვარ?

ამ სიტყვებს, «საცდელი ბაჭია» გადასახვევ ოთახში მოვკარი ყური და ძალიან მომეწონა. ექიმი გაკვირებული დგას და ძალიან უცნაურად მიყურებს. გოგონა მისი ამალიდან სწრაფად იხრება, ზეწარს მახურავს და სწრაფადვე მშორდება.

შემოვლა დამთავრდა.

სალამოს ჩემთან ქალი მოდის. ლამაზი კაბა აცვია, ახალგაზრდაა და მომხიბლავი. უხალათოდაა. უკვე წელიწადზე მეტია უხალათო ადამიანი არ მინახავს. ჩემკენ იხრება და მეკითხება

– ესპანელი ხარ?

– დიახ.

– მეც ესპანელი ვარ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ვსწავლობ. «იგორის ლაშქრობის» შინაარსი დაგვავალეს. ძნელი ტექსტია. თითქმის არაფერი არ მესმის. მომეხმარები?

– მე ჯერ პატარა ვარ, თქვენ ინსტიტუტში სწავლობთ.

– შენობით მელაპარაკე.

– კარგი, მოგეხმარები.

ჩანთიდან წიგნს იღებს, სკამს საწოლთან მოიდგამს. ჯდება და კითხულობს. ნელა კითხულობს, თითქმის მარცვლავს. «გაუგებარი» სიტყვების უმეტესობა მესმის. რასაც ვერ ვიგებ, სქოლიოშია განმარტებული, მშვენიერი წიგნია.

ბნელდება. მისი წასვლის დროა. წიგნს ხურავს და დგება.

– ჯერ არ დაგვიმთავრებია. ხვალ კიდევ მოვალ. ლოლიტა მქვია.

– მე – რუბენი.

იღიმება.

– ვიცი შენი სახელი, ხვალ მოვალ, რუბენ!

ღამით არ მიძინია. ჩემთან არასდროს არავინ არ მოდიოდა. ყველას ჰყავდა გარეთ ვიღაც: მშობლები, ბებია-ბაბუები, და-ძმები. ერთ ქართველ ბიჭს ბიძაშვილმა ჩამოაკითხა. მშობლები არა ჰყავდა და ბიძა ზრდიდა. ქართველმა ამიხსნა, ბიძაშვილი სისხლით ნათესავია, სისხლით ნათესავი კი ამქვეყნად ყველაზე ახლობელი ადამიანიაო. მას ბევრი ნათესავი ჰყავდა, მე – სულ არავინ.

მეორე დღეს შეფები გვესტუმრნენ, პედაგოგიურმა ინსტიტუტმა მოულოდნელად აიღო შეფობა ჩვენი საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაზე. ფორმალურად ალბათ, მანამდეც ჰქონდა აღებული, მაგრამ იმ დღეს სწორედ ჩვენს პალატაში შემოვიდნენ. ლოლიტაც იყო. კაბაზე ხალათი ჰქონდა მოგდებული.

მომიახლოვდა.

– ხომ ხედავ, მოვედი, რალა გატირებს?

\* \* \*

შეფები ხშირად მოდიოდნენ ხოლმე. თითქმის ყოველკვირა. ლოლიტა ხან მოდიოდა, ხან – არა, მაგრამ როცა მოდიოდა, დიდხანს იჯდა ხოლმე ჩემს საწოლთან. ჩვენ ვსაუბრობდით, უბრალოდ ვსაუბრობდით. ადამიანთან საუბარი – ეს ჩემი ბავშვური ცნობიერებისათვის ძალიან დიდი რამე იყო, წარმოუდგენელი ფუფუნება. მაგრამ ლოლიტა მარტო ამას – ავადმყოფ, ეულ ბავშვთან სტუმრობას და საუბარს არ სჯერდებოდა, უფრო მეტი უნდოდა. ერთხელ სტუდენტებმა საავადმყოფოში კინოპროექტორი მოიტანეს. როგორც ყოველთვის, დასასვენებელ ოთახში მულტფილმებს უჩვენებდნენ. მარტო მე დავრჩი ოთახში. ლოლიტა შემოვიდა, დამხედა, რალაც მკითხა, მეც რალაც ვუპასუხე და ცუდხასიათზეა-მეთქი, ასე ვიფიქრე. სწრაფად გავიდა ოთახიდან. შემდეგ კვირას უკვე ჩვენს პალატაში შემოიტანეს კინოპროექტორი, ჩემი საწოლი კედლისაკენ მიაბრუნეს. საავადმყოფოს თეთრ კედელზე სასაცილო მგელი ამაოდ ცდილობდა ეშმაკი კურდღლის დაჭერას. ათივე სერია, ათი სერია ყველაზე ცნობილი რუსული მულტფილმისა. პირველად ვუყურებდი ამ მულტფილმს.

ლოლიტასთან ერთად ყველაფერი პირველად ხდებოდა. პირველად გადამაწვინეს საწოლიდან ურიკაზე და ქუჩაში გამიყვანეს. საავადმყოფოში წოლის მანძილზე პირველად ვხედავდი ცას, ლურჯ ცას დაუსრულებელი თეთრი ჭერის ნაცვლად.

\* \* \*

დღესასწაული. საავადმყოფოში ზეიშია. დღესასწაულები მე არ მეხებოდა. არც მაინტერესებდა. სადღაც ვიღაც მხიარულად ატარებდა დროს.

ოთახში ძალიან ლამაზმა ლოლიტამ შემოირბინა. ესპანურ კაბაში გამოწყობილმა, თვალეშეღებილმა, უხალათომ.

– ახლავე, რუბენ, ახლავე მოიტანენ ურიკას და დასასვენებელ ოთახში გაგიყვანთ. დღეს ვცეკვავ.

გახარებული და ლამაზი. თვითონ იყო ნამდვილი, ცოცხალი დღესასწაული.

პალატაში ექთანს შემოვიდა. ჩვეულებრივი, თეთრხალათიანი ექთანი.

– ავადმყოფის განძრევა არ შეიძლება. ახლახანს ოპერაცია გაუკეთდა.

ლოლიტას მოსვლამ ოპერაცია სულ გადამავიწყა. ექიმებმა კიდევ ერთხელ გადაჭრეს თაბაშირები. კიდევ ერთი უაზრო ტკივილი. არ შეიძლება, არასდროს არაფერი არ შეიძლება. თუმცა, უკვე მივეჩვიე, თითქმის მივეჩვიე ამ დაუსრულებელ «არ შეიძლება». მე მივეჩვიე, ლოლიტა – არა. გაიქცა პალატიდან. წავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხმაურით შემოლაგდნენ. ესპანურად ლაპარაკობდნენ. ლოლიტა, პაბლო და ვიღაც დაბალი, უღვაშა ბიჭი. პაბლოს გიტარა ეჭირა, პაბლოს ვიცნობდი. უღვაშა რუსულზე გადავიდა.

– ღონისძიებაზე უნდა იყო. ახლავე. დაუყოვნებლივ.

– არა, აქ ვიცეკვებ. აქ და ამწუთას.

– იცეკვებ იქ, სადაც გეტყვიან. გიტარა მიმაქვს. პაბლო, წავედით.

– გაჰყვები, პაბლო?

ლოლიტა თვალებში შეჰყურებდა მაღალ ბიჭს. გამომწვევად, ხალისით, მოლოდინით შეჰყურებდა. პაბლომ თავი დახარა.

უღვაშა გავიდა. საბრალო პაბლოც გაიყოლა. მარტონი დავრჩით პალატაში.

ლოლიტა ცეკვავდა. რიტმი თითების ტკაცუნით გამოჰყავდა.

ლოლიტა ცეკვავდა. თავისთვის ცეკვავდა, დამაბულად და მკაცრად ატკაცუნებდა რაღაც შორეულ, უცნაურ მელოდიას. ცეკვავდა უგიტაროდ, პაბლოს გარეშე. მთელი არსებით ცეკვავდა.

ჩვენთან, ბავშვთა სახლში ხანდახან მოცეკვავეთა კოლექტივები მოდიოდნენ ხოლმე. ახალგაზრდა, ჩერჩეტი გოგონები გულმოდგინედ უბაკუნებდნენ ფეხებს სცენას. მერე კონფერანსიე გამოდიოდა. გოგონები ახლა სხვანაირად აბაკუნებდნენ ფეხებს. მოსაწყენი იყო.

ერთხელ დაირღვა ეს ჩვეული წესრიგი. გამარჯვების დღეს ბავშვთა სახლს მორიგი ანსამბლი სტუმრობდა. უკვე მერამდენედ დაუკრეს ნაცნობი მუსიკა და უცებ სცენაზე ჩვენი ისტორიის მასწავლებელი გავარდა. რაღაც წაუჩურჩულა დაბნეულ მეგარმონეს, მერე ჩაბუქნა, ხელები გაშალა, ააჟღარუნა ორდენები. გოგონები გაჩერდნენ, მიიწ-მოიწიეს, არ შეუშლიათ ხელი. დალია კაცმა, უხარია და ცეკვავს. მასწავლებელმა მართლა დალია იმ დღეს, გამარჯვების დღეს. კარგად ბუქნაობდა, ჯანსაღად და თავისუფლად. უცნაურად ახლობელი მეჩვენა მაშინ ის. თავისუფლებასა და ძალას აფრქვევდა. ასეთი რამ მერე არასდროს მინახავს. მაგრამ პირველი ნამდვილი, ცოცხალი ცეკვა ჩრდილოეთში, რუსულ საავადმყოფოში ვნახე. ნამდვილი, ესპანური ცეკვა.

\* \* \*

დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ლოლიტა მიდიოდა.

– გიპოვი. აუცილებლად მოგწერ. მელოდე.

შემპირდა, მოგწერო, მე კი არ მჯეროდა, ისევ არ მჯეროდა.

– ვერ მიპოვი. ისიც კი არ ვიცი, რომელ ბავშვთა სახლში გადამიყვანენ.

არ მჯეროდა.

რამდენიმე წლის შემდეგ წერილი მივიღე. ჩვეულებრივი წერილი. სულ პირველი წერილი. კონვერტში ლამაზი ბარათი იდო. ბარათზე მოცეკვავე ესპანელი გოგო ეხატა. ლამაზი ჭრელკაბიანი გოგო. კაბა ფერადი ძაფებით იყო ამოქარგული. ასეთი ბარათები რუსეთში არ გამოდიოდა.

წერილი აღმზრდელმა გადმომცა. წინ დამიჯდა. გახსნილი კონვერტი დამიღო.

– რუბენ, სერიოზულად უნდა დაგელაპარაკო. წავიკითხე წერილი. შიგ არაფერია საშიში, ჯერ არაფერი. იმედია, ხვდები, პასუხს ვერ მისწერ. ესპანეთი კაპიტალისტური ქვეყანაა. კაპიტალისტებთან მიმოწერა არ არის რეკომენდებული. ყოველი უცხოელი შეიძლება ჯაშუში აღმოჩნდეს. ჭკვიანი ბიჭი ხარ და მიხვდები, ბავშვთა სახლის ადმინისტრაცია ასეთ საფრთხეში ვერ ჩაგაგდებს.

აილო კონვერტი და გავიდა.

დიდხანს ვათვალიერე ბარათი. მერე მათემატიკის წიგნში შევიწინახე.

დილით ბარათი წიგნში აღარ იდო.

## ვოლგა

ვოლგა რუსეთის დიდი მდინარეა, მანქანაც არის ეგეთი, «ვოლგა» ჰქვია, მანქანები ბევრნაირი არსებობს. პატარა რომ ვიყავი, მეგონა, რომ ამქვეყნად მხოლოდ «ვოლგები», «მოსკვიჩები» და «ზაპოროჟეცები» არსებობდა. წიგნებში სხვა მანქანებზეც წერდნენ, მაგრამ ისინი არასდროს მენახა.

ყოველწლიურად მაისში ბავშვთა სახლში გამოსაშვებ საღამოს აწყობდნენ. ამ საღამოზე ჩვენი სკოლის ყოფილ მოსწავლეებს იწვევდნენ. ბევრი მანქანით მოდიოდა. მოსწავლეები ყველას სიხარულით ხვდებოდნენ, იმათი მოსვლაც უხაროდათ, ვინც «ინვალიდებით» – მოტორიანი ეტლებით მოდიოდა, განსაკუთრებული სიხარულით მაინც იმათ ეგებებოდნენ, ვისაც «ვოლგა» ჰყავდა. «ვოლგა» ძვირფასი მანქანაა. თუ ყოფილი მოსწავლე «ვოლგას» იყიდდა, ის განსაკუთრებული ვინმე ხდებოდა. იმას საზეიმო კრებაზე პრეზიდენტობა სვამდნენ, მისასალმებელი სიტყვის თქმას ავალებდნენ.

ხანდახან მანქანებზე ვლაპარაკობდით. ბავშვები კამათობდნენ, ვის მამას უფრო მაგარი მანქანა ჰყავს. ყველას მშობელს არა ჰყავდა მანქანა, რა თქმა უნდა, ყველას არა. ზოგიერთს მოტოციკლი ჰყავდა, მაგრამ მოტოციკლები არ ითვლებოდა, მხოლოდ მანქანებზე იყო ლაპარაკი. ბაბუებისა და უფროსი ძმების მანქანებიც გადიოდა. ერთ ბიჭს მამა არა ჰყავდა, სამაგიეროდ, დედა ჰყავდა მანქანისა და ძალიან ამაცობდა დედიტაც და მანქანითაც. თუ მშობლები ახლოს ცხოვრობდნენ და ბავშვთა სახლში მანქანით მოდიოდნენ – არაფრის მტკიცება აღარ იყო საჭირო. იმათი საქმე კიდევ, ვინც შორს ცხოვრობდა, უფრო რთულად იყო. შეიძლებოდა მანქანასთან გადაღებული მთელი ოჯახის ფოტო ეჩვენებინათ, მაგრამ ფოტოს ვინ დაუჯერებდა? თუ წერილში მამა მანქანას ახსენებდა – ეს სხვა საქმე იყო. თუ იწერებოდნენ, მანქანას ბორბალი გაუფუჭდაო, ესე იგი, მანქანა ნამდვილად არსებობდა.

მაშინ არ ვიცოდი, ჰყავდა თუ არა მამაჩემს მანქანა, არც ახლა ვიცი. თუ შევხვდები – ვკითხავ. არც ის ვიცოდი, ამქვეყნად ყველაზე უკეთესი ბაბუა რომ მყავდა, ყველაზე უკეთესი. რომ ბაბუაჩემი კომპარტიის გენერალური მდივანი იყო. მე არ ვიცოდი, ესპანელების თავისუფლებისთვის რომ იბრძოდა, დიდხანს არალეგალურად რომ ცხოვრობდა. არც ის ვიცოდი, პიკასოსთან რომ მეგობრობდა, არც ის, რომ მას რუსეთში შავი «ვოლგით» დაატარებდნენ.

ერთხელ მაინც ჩამოსულიყო ჩემთან. ის აუცილებლად «ვოლგით» ჩამოვიდოდა ჩვენს პატარა ქალაქში. ყველა დაინახავდა, როგორი მანქანა ჰყავდა ჩემს ბაბუას. იქნება პიკასოს ბაბუასთვის პატარა ნახატი გამოეტანებინა, პატარა, დიდს ალბათ ვერც გაიმეტებდა. იქნებ მართლა გამოეგზავნა? ნახატს კლუბში დაკიდებდნენ სხვა სურათებთან ერთად პოლიტიბუროს წევრების პორტრეტების თავზე. იქ უკვე ეკიდა სურათები, რომლებიც ერთი ბიჭის მამამ დახატა. მამამისი ქარხანაში მუშაობდა მხატვარ-გამფორებლად, ბიჭი ძალიან ამაყობდა თავისი მამით და სურათებით. არა, პიკასოს ნახატს ალბათ სამასწავლებლოში ან დირექტორის კაბინეტში დაკიდებდნენ. პიკასო უფრო მაგარია, ვიდრე მხატვარ-გამფორებელი.

ის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანთან ერთად მოვიდოდა. ჩვენ კლუბში შეგვიყვანდნენ. იქ ჯერ დირექტორი იტყოდა მისასალმებელ სიტყვას, მერე ბაბუა გამოვიდოდა. ყველა გაიგებდა, რომ ბაბუაჩემი მსოფლიოში საუკეთესო საბჭოთა მზვერავია, როგორც რიჰარდ ზორგე ან შტირლიცი. მერე რა მოხდა, თუ შტირლიცი მარტო კინოში არსებობდა? გვიყვებოდნენ, ნამდვილი შტირლიცი დღესაც ცოცხალია და საიდუმლო მისიასაც ასრულებსო.

ყველა დაინახავდა, როგორი ბაბუა მყავდა. კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, – უფრო მთავარი, ვიდრე მასწავლებლები, ბავშვთა სახლის დირექტორზე მთავარიც. გამოვიდოდა ტრიბუნაზე მოხსენების წასაკითხად საერთაშორისო ვითარების შესახებ და ყველა მაშინვე მიხვდებოდა, რომ ის იქ, თავისთან, ესპანეთში, დიდი კაცია, ისეთი დიდი, მეტი რომ არ შეიძლება. ლამის ისეთივე, როგორც ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი.

ბაბუა ნახავდა ჩემს ხუთიანებით სავსე დღიურს, ჩემს ფოტოს საპატიო დაფაზე, მაშინვე შემეყვარებდა, თავის შვილიშვილს. ის ხომ კეთილი იყო, ბაბუაჩემი, ყველაზე კეთილი ბაბუა იყო ამქვეყნად, ისეთივე, როგორც ბაბუა ლენინი, როგორც ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი. ყველამ ვიცოდით, რომ ლეონიდ ილიჩს ძალიან უყვარს ბავშვები და ყოველდღე ზრუნავს, რომ საბჭოეთში ყველა ბავშვს ბედნიერი ბავშვობა ჰქონდეს.

შეიძლება დრო არ ჰქონდა, რომ ჩამოსულიყო. შეიძლება ამერიკელი ჯაშუშები უთვალთვალებდნენ. შეიძლება იძულებულიც იყო, კონსპირაცია დაეცვა. მაგრამ, ხომ შეეძლო, წერილი მოეწერა ჩემთვის, ან ამანათი გამოეგზავნა. მივიღებდი ამანათს, დიდ ამანათს ჩორისოთი. მარტო კი არ შევჭამდი. ყველას ვარგუნებდი ესპანური ძეხვის თითო ნაჭერს, მასწავლებლებს, პიძებს. ჩვენს სამფეხა ძაღლსაც ვაჭმევდი ცოტას.. ყველა გასინჯავდა, გაიკვირებდნენ, ერთმანეთს ეტყოდნენ, რა უცნაური ძეხვი სცოდნიათ ამ ესპანელებსო! ძაღლსაც გაუკვირდებოდა, ოღონდ ვერაფერს იტყოდა, ძაღლები არ ლაპარაკობენ.

იქნება არც ჰქონდა ძეხვის ფული. შეიძლება ისიც ბაბუა ლენინით ქოხს აფარებდა თავს. და როგორც ბაბუა ლენინი, ისიც არაფერს ჰამდა, მარტო სტაფილოს ჩაის სვამდა. როცა მუშები და გლეხები სურსათს უგზავნიდნენ, პირს არაფერს აკარებდა, უკანასკნელ ლუკმამდე ბავშვთა სახლის ბავშვებს უგზავნიდა. შეეძლო დაერეკა. შეეძლო პირდაპირ ბავშვთა სახლის დირექტორისათვის დაერეკა საიდუმლო ტელეფონით. ჩვენი ბავშვთა სახლის დირექტორი კომუნისტი იყო, კომუნისტები კიდე სულ ეხმარებოდნენ ერთმანეთს. დირექტორის კაბინეტში გამომიძახებდნენ და ამქვეყნად ყველაზე საუკეთესო ბაბუის შესახებ ძალიან საიდუმლოდ მომიყვებოდნენ. ყველაფერს გავიგებდი. ჰკვიანი ბიჭი ვიყავი. ერთადერთი, რაც მჭირდებოდა, ის იყო, მცოდნოდა, რომ არსებობს, რომ საიდუმლო დავალებებს ასრულებს და ვერ ჩამოდის. ვირწმუნებდი, რომ ვუყვარდი და ოდესმე მომაკითხავდა. მე ის უძეხვოდაც მიყვარდა.

იქნება საიდუმლოს გამჟღავნებისაც ეშინოდა. მაგრამ, ხომ შეიძლებოდა გაეგო, რომ ჩვენს პატარა, პროვინციულ ქალაქში ამერიკელი ჯაშუშები იშვიათად ჩამოდიოდნენ.



ხომ შეიძლებოდა, ნება დაერთოთ ჩემთვის, ყველასათვის მომეყოლა საიდუმლო ბაბუის შესახებ. სულ ცოტა რამ მაინც. მაშინ ჩემი ცხოვრება სხვანაირად აეწყობოდა, აღარ დამიძახებდნენ «შავკტრაკას», მიძები აღარ მიყვირებდნენ. როცა მასწავლებლები კარგი ნიშნებისათვის შემაქებდნენ, მათ ეცოდინებოდათ, რომ უბრალოდ საუკეთესო მოსწავლე კი არა ვარ, ისეთივე საუკეთესო ვარ, როგორც ჩემი გმირი ბაბუაა. ვირწმუნებდი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ სასიკვდილოდ აღარ წამიყვანდნენ. ბაბუა მომაკითხავდა და წამიყვანდა. მაშინ ყველაფერი შეიცვლებოდა. აღარ ვიქნებოდი ობოლი. კაცს თუ ნათესავები ჰყავს, ის ობოლი არ არის, ჩვეულებრივი ადამიანია, ისეთივეა, როგორც ყველა.

\*

იგნასიო არ ჩამოვიდა.

\*

იგნასიომ არ მომწერა.

\*

იგნასიომ არ დამირეკა.

\*

არ მესმოდა მისი. არც ახლა მესმის. ვერც ვერასდროს გავუგებ.

## ფსიხი

ბავშვთა სახლი კარგი ადგილია. თუ ბავშვთა სახლში მოხვდი – ნამდვილად გაგმართლებია. სკოლას დაამთავრებ – შინ სულ სხვა ადამიანად დაბრუნდები, სულ სხვა. ჯიბეში სიმწიფის ატესტატი გიდევს, წინ – მთელი ცხოვრება. მთელი ცხოვრება წინ გიდევს. თუ ხელი ან ფეხი გაკლია, ეგ არაფერია. აი, შენი მეზობელი, მია პეტია, ომიდან უფეხებოდ დაბრუნდა, მაგრამ მშვენივრად ცხოვრობს. ლამაზი ცოლი ჰყავს, ნასწავლი ქალიშვილი – უცხო ენებს სწავლობს ინტიტუტში. ყველაფერი კარგადაა აქვს მის პეტიას. იმას ომმა ასწავლა ცხოვრება, შენ – ბავშვთა სახლმა.

შინ დაბრუნდები, შენ და მამაშენი ორასორმოცდაათ გრამ არაყს დალევთ, გააბოლებთ. მამა ყველაფერს გაგიგებს, თვითონაც ჯარში მსახურობდა, იცის ცხოვრება. მარტო დედა იტირებს. ცუდია. ყოველთვის ცუდია, როცა ქალები ტირიან. ნუ იტირებ დედა, ყველაფერი კარგად მექნება, ისევე, როგორც სხვებს. ყოველ შემთხვევაში მია პეტიაზე უარესად არა.

ბავშვთა სახლი მარტო ინტერნატი კი არ არის, სკოლაცაა. კარგი სკოლა, კარგი მასწავლებლებით, ჭკვიანი წიგნებით, სამჯერადი კვებით. ბავშვთა სახლი – კარგი ადგილია. მეგობრებიც კარგი გყავს, ნამდვილი, მთელი ცხოვრების მეგობრები.

\* \* \*

ბავშვთა სახლში ახალი მოიყვანეს. სიარული შეუძლია, ბავშვთა ცერებრალური დამბლა სჭირს. მეც ბავშვთა ცერებრალური დამბლა მაქვს, მაგრამ ახალს ასე თუ ისე ყველაფერი წესრიგში აქვს. არათანაბრად დადის, ხელები განზე აქვს გაწეული. ნერწყვის

შეკავების განუწყვეტელი მცდელობისაგან სახე უთრთის. ჭკვიანია თუ სულელი, ერთი შეხედვით ვერ მიხვდები. ახალი – გამოცანაა, ახალი ყოველთვის გამოცანაა, ყოველთვის გასართობია.

ბავშვთა სახლში სასაცილო ჩვეულება არსებობს. როცა ცერებრალურდამბლიანი გატაცებულია, ჩაფიქრებულია, ან რამეზე ძალიან არის კონცენტრირებული, ჩუმად უნდა მიეპარო და ყურში ჩაჰყვირო. ის მაგრად შეხტება, და თუ გონზე მოსვლას დროზე ვერ მოასწრებს, შეიძლება სკამიდანაც ჩამოვარდეს. თუ მარტო შეხტება და ხელიდან კალამს გააგდებს, ძალიან სასაცილო არ არის. სეირი მაშინ იქნება, როცა ცხელი ჩაის ან ღვინის სმის დროს მიეპარები. ღვინით არის ყველაზე სასაცილო, ჩაი შეიძლება კიდეც დაუსხან, აი, ღვინოსთან ასეთი ხუმრობა არ გადის. თვითონვეა დამნაშავე, ყურადღება მოადუნა, მოეშვა.

ვიცოდი ჩემი ეს სისუსტე, მაგარ ჯახუნზე ან ყვირილზე რომ შევკრთებოდი ხოლმე და ამიტომ უცნობ გარემოში ყოველთვის მომგებიანი პოზიციის დაკავებას ვცდილობდი, – კუთხეში მივიკუნჭებოდი ან მაგიდის ქვეშ ვძვრებოდი. წინდახედულება ნორმაა – აბა რა? ბავშვთა სახლია და...

ახალი თავისუფლად, ძალიან თავისუფლად შემოვიდა ოთახში. მოიხსნა ზურგჩანთა, იქვე საწოლს დაასკდა. ფეხები კარებისკენ გაიშვირა. ხელით ჩვეულებისამებრ ცხვირსახოცს დაუწყო ძებნა. ცხვირსახოცი ამოიღო, არარსებული ნერწყვი მოიწმინდა.

უცებ ყველანი ერთად შემოცვივდნენ, ახარხარდნენ. მეგობრები. მომავალი მეგობრები.

– ეი შენ, ახალო, რას გაწოლილხარ ჩემს საწოლზე?

– მ-მაცალე. ახლავე ავდგები. ცერებრალური დამბლა. სიტყვა – «დამბლას», გარკვევით ამბობს, გააზრებულად. აშკარაა, არ ხუმრობს, ცუდადაა და იმიტომაც დაეცა საწოლზე.

– ადე, ნუ წევხარ. გაკვეთილები დამთავრდა. უნდა ვითოხლაოთ. ჩაის დალევ?

არ იძუნწეს, მთელი ფინჯანი გაუვსეს ჩაით. შაქარიც ბლომად ჩაუყარეს. ეგრევე ეტყობათ, კარგი ბიჭები არიან. მიიღეს, თავისიანად ჩათვალეს. გაიჭირვა, წამოჯდა, ნელ-ნელა ადგა, სკამზე გადაჯდა. ორივე ხელით აიღო მეტალის ჯერ კიდეც ცხელი ტოლჩა, შეეცადა დაელოა.

– ჰა!!!! ძალიან ხმამაღლა, მეტისმეტად ხმამაღლა ჩაჰყვირა ყურში ყავარჯნებიანმა ბიჭმა.

დაეცა. ხელმა უნებურად ისროლა ფინჯანი მოწინააღმდეგის მხარეს. ვერ მოახვედრა. აი, თვალში რომ! კარგია ოცნება. ლატარიის ბილეთი ყოველთვის არ იგებს. ფინჯანი ოხერს პირდაპირ საფეთქელში მოხვდა. დიდი-დიდი ჩაულურჯდეს. წუთი, მხოლოდ ერთი წუთია, რაც ყველანი ერთად ხარხარებენ.

ერთი, ორი, სამი...

გაიხსენე, ყველაფერი გაიხსენე, რაც კასიუს კლეისა თუ მუჰამედ ალის შესახებ წაგიკითხავს – ეს არაა მთავარი. მათ ჯერ არ იციან. ვერც კი წარმოიდგენენ, რომ შენ, იქ, ჩუვაშეთში, ქალაქის ჩემპიონი ხარ კრივში ჯანმრთელთა შორის. «ჯანმრთელთა შორის» – ამ ტიტულით თვითონვე დაიჯილდოვე თავი. ყველა დანარჩენი ტიტული, პირიქით, გზღუდავს. მსოფლიო ჩემპიონი ჯანმრთელთა შორის – პირად შეურაცხყოფასავით ჟღერს. მაგრამ შენ არავისთვის არ მიგიყენებია შეურაცხყოფა. მსაჯმა ვერაფერი მოიმიზეუა. ნერწყვი გდის შლემის ქვეშიდან, მაგრამ ეს სიბრაზისაგან ხდება. ხელები გიკანკალებს, ფეხები გიხტუნავს – ასეთია მწვრთნელის ტაქტიკა. სულ ფორმაში უნდა იყო. ფორმაში. ყოველთვის ჯანმრთელის როლი უნდა ითამაშო. თავს უნდა გადაახტე. სინამდვილეში უკვე იცოდი, რომ ჯანმრთელები ყოველთვის საღები არ არიან, რომ ისინი მხოლოდ

ხანდახან იძაბებიან კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. შენ სულ დამაბული ხარ. სულერთია, მარჯვენით ურტყამ თუ მარცხენით, ხელები არ გივარგა. მაგრამ, თუ საჭიროა, თუ მართლა ძალიან საჭიროა, მაშინ შეიძლება დაიძაბო, ტკივილით, მომეტებული ნერწყვდენისადმი ზიზღით. მაშინ შეიძლება. ყველაფერი შეიძლება და ვერც ვერავინ დაგიშლის. მაშინ ზუსტად დაარტყამ მოწინააღმდეგეს. კარგად დაარტყამ. როგორც ყოველთვის. მთელი ცხოვრება. ჩვეულებრივი ამბავია. ხომ არავინ არ გიკრავს ტაშს, როცა ხვანჯარს იკრავ. ისინი ყოველდღე იკრავენ ხვანჯარს. ამისათვის მათ ჩინ-მენდლებს არავინ ჰკიდებს. არც ქალაქის მერი ართმევს ხელსოფიციალურ მიღებაზე.

ოთხი, ხუთი, ექვსი....

უნდა ადგე. სველი პერანგი და დამდულრული მხარი არაფერია. შეიძლება უარესიც მომხდარიყო. ყველაფერი შეიძლებოდა. შეიძლება ღამით დაგცემოდნენ თავზე, ზეწარი გადაეფარებინათ და ეცემე. მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი ხარ და შენს ადგილზე უნდა მოგსვან. ან ერთად ჯგროდ დაგცემოდნენ თავს, ღიად. ყოველთვის ჯობია, როცა აშკარად მოდიან. თანაც ჯერ არც მოსაღამოვებულა, დაღამდება და გცემენ. ამიტომაც უნდა ადგე. ძლიერი და სასტიკი უნდა იყო. არ გინდა ჩხუბი, სულ არა, მაგრამ საჭიროა.

ადგა. უცნაურია, ისინი ისევ იცინიან. ვერ გაიგეს. სწრაფად მიმოიხედა. მივიდა იმ ბიჭთან, რომელმაც ყურში ჩაჰყვირა. პატარა ბიჭია, ერთი-ორი წლით უმცროსი იქნება, გამხდარი, ყავარჯნებიანი. ნეტა რატომ მოიქცა ასე? დაარტყა. ბიჭი წაიქცა, ყავარჯნები გადაუვარდა. ცემა დაუწყო. დიდხანს ცემა არ დაანებეს. ზურგიდან დაეცნენ, გააშველეს.

– რა მოგივიდა? გაგებუმრა. ხუმრობა არ გესმის?

– მ-მესმის.

ჯანდაბა! ენაც ებმის ყველაზე ცუდ დროს. ახლა იფიქრებენ, შეშინდაო.

გაუშვეს. ისევ ადგა. ნელა ადგა და იატაკზე მწოლიარისაკენ წავიდა. უნდა სცემოს. დიდხანს სცემოს, მაშინ დაიჯერებენ, რომ მართლა გაბრაზდი, მაშინ ჩაგთვლიან კაცად

– მოიცა. აღარ გინდა. გეყოფა.

წინ ბიჭი დაუდგა. შესახედავად ჯანმრთელი, თითქმის მისი კბილა. ინვალიდობა აშკარად არც ეტყობა. ისე, როცა მიდიოდა, ცალ ფეხს ითრევდა.

– გეყოფა. დაწყნარდი. ხამიდი მქვია.

დაეტოლა ხამიდს. ასე, ჯერ ყბაში დაარტყამს, წააქცევს. მერე მთელი ტანით დააწვება და გალახავს. დიდხანს ცემას არ დაანებებენ, რა თქმა უნდა, ჩაერევიან. მერე ყველასთან მოუწევს ჩხუბი. სხვა რა გზაა, დავიწყოთ.

ხამიდი ყველაფერს მაშინვე მიხვდა. ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, გაუღიმა.

– შენ რა, ფსიხი ხარ? ახლა მე უნდა მცემო? მე რაღა დაგიშავე? კოლკა გაგებუმრა, მართლა გაგებუმრა, შენ დაარტყი. ბარი ბარში ხართ. გეყოფა.

– კარგი. გვეყოფა. ღამით მოვკლავ. ან ის მომკლავს.

ხამიდმა კიდევ ერთხელ გაიღიმა.

– რა, წიგნები იკითხე ციხეებზე? აქ ციხე არ არის. ბავშვთა სახლია.

– ჩვეულებრივი ბავშვთა სახლია. არავინ არავის არ კლავს. ჩხუბითაც იშვიათად ჩხუბობენ. გასაგებია? კოლკა უბრალოდ გაგებუმრა. ჯობია დაჯდე და ჩაი დალიო.

– უკვე ვისიამოვნე.

მაგარია ხამიდი. ეგრევე ეტყობა, მიხვედრილი ბიჭია და პირველად არ არის ბავშვთა სახლში.

– ღვინოს დალევ?

– სამი მანეთი მაქვს.

– კიდევ გაქვს ფული?

– ახლავე შენ უნდა ჩაგაბარო ყველაფერი?

– ნუ ბრაზობ, გეხუმრე.

ტუჩები აუთრთოლდა. თავი გვერდზე გადაიქნია.

– არ გინდა. ნუ ავარდები. შენი ფული – შენი ფულია. არავინ არ წაგართმევს. იშვიათად იპარავენ. რა გქვია?

– ალექსეი.

– ესე იგი ლიოხა, არა?

– ალექსეი. ალექსეიმ ნაბიჯი წადგა წინ. მაინც მოუწევს ჩხუბი.

– კარგი, ალექსეი ხარ. მაგრამ ხომ შეიძლება ლიოხა დაგიძახო? რა მნიშვნელობა აქვს? ეს ხომ მაინც არა არის საწყენი? მომეცი ხელი.

ხელი ჩამოართვეს ერთიმეორეს.

– საჭმელი მოიტანე?

ალექსეიმ გაიღიმა. საწოლიდან მძიმე ზურგჩანთა აიღო, მაგიდაზე დააგდო. ზონარი გამოაძრო. ზურგჩანთა გახსნა. ყველაფერი გადმოალაგა. ბოლოს ხუთკილოიანი ჰანტელები ამოიღო. მოშორდა მაგიდას. საწოლზე დაჯდა.

– მოდით, ბიჭებო!

ხამიდი ნელა ალაგებდა მაგიდაზე სანოვაგეს: სალას, ხახვს, ნიორს, რამდენიმე ქილა ხორცის კონსერვს. არც ერთი კამფეტი, ტკბილი არაფერი იყო. გვერდზე გასწია კომპოტის ქილა.

– კომპოტი ბებიამ ჩამიღო, არც მინდოდა წამოღება.

დარცხვენილი ლიოხა თითქმის ენის მოუკიდებლად ცდილობდა თავის მართლებას.

– კარგია, კარგი საჭმელი გაქვს. კომპოტიც გამოდგება. არაყს გავაზავებთ. სიგარეტი არ ჩამოგიტანია?

– არ ვეწევი.

– ჰოდა, ძალიანაც კარგი. არც მე ვეწევი.

\* \* \*

საღამოთი ღვინოს სვამდნენ. ამოიღეს დანები, დაჭრეს პური, სალა.

ხამიდი პურისა და სალისაგან კოხტა ბუტერბროდებს აკეთებდა. ერთს თავისთვის იღებდა, მეორეს ალექსეის უდებდა წინ.

ალექსეი შეეცადა შესწინააღმდეგებოდა, აქაოდა, მეც შემძლია დანის ხმარებაო, მაგრამ ხამიდმა არც მოუსმინა.

– მოეშვი. დახმარება მოსულა. თანაც მე შენზე სწრაფად არ დავჭრი?

ხამიდმა ბოთლი ამოიღო, გახსნა, თავისთვის სავსე ჭიქა დაისხა, ნელა დალია. მეორე ლიოხას დაუსხა.

– დალევ სავსეს?

– ტოლჩაში დამისხი.

ზურგჩანთიდან დიდი სახელურიანი ალუმინის ტოლჩა ამოიღო.

– ეს ახალი, არა უშავს, ჭკვიანია. ჭიქაში ორასი გრამი ჩადის, ტოლჩაში – ოთხასი.

– ვერ გამიგე. ჭიქას ვერ ვიჭერ ხელში. თუ გენანება, ნახევრამდე დამისხი.

– როგორც გინდა. გავავსებ, დალიე. რიგს გამოტოვებ და მორჩა.

ალექსეიმ სკამი აიღო, მეორე მხარეს გადაიდგა, ისე, რომ ფანჯრისაკენ ზურგით ყოფილიყო. წინ ჰანტელი დაიდო. ხამიდმა ტოლჩა გაავსო ღვინით. წინ დაუდგა ალექსეის.

არ არის ძნელი. ტოლჩიდან დაღევა სულ არ არის ძნელი. მარჯვენით უნდა ჩაეჭიდო სახელურს, მარცხენა ხელისგული კი ტოლჩას მაგრად შემოაჭდო და ნელა დალიო. სულერთია, გინდა ჩაი, გინდა ღვინო.

სანამ სვამდა, ყველა ჩუმად იყო. დახეთ ამ ახალს, პირველსავე დღეს მთელი ტოლჩა ღვინო დალია შეუსვენებლად. დაცალა. ტოლჩა მაგიდაზე დადგა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, სახე შეიმშრალა, მიმოიხედა.

ხამიდმა ბუტერბროდი გაუწოდა.

– დააყოლებ?

– მერე.

– ლიოხა, არ გეწყინოს, მაგრამ ეგ ჰანტელი მოაშორე მაგიდას, გთხოვ. შენ ცოტა არ იყოს ფსიხი ხარ. ვინმე არ დააშავო.

ღვინომ თავისი ქნა. ლიოხამ გაიცინა. ხმამაღლა და გულიანად იცინოდა. ჰანტელი მაგიდის ქვეშ შეაგდო. მოიდგა ბუტერბროდები, დაიწყო ჭამა.

კარგი ბავშვთა სახლია, წესიერი. ბიჭებიც კარგები არიან.

## თოვლის ბაბუა

გაზაფხულია. მეგობართან ერთად ვზივარ. ორი უფროსკლასელი – ეტლებით. მეგობარი ეწევა. ეწევა და მუჭში არ მალავს სიგარეტს, არც ახლო-მახლო მოსიარულე მასწავლებლებისაკენ იხედება. მასწავლებლებიც არ აქცევენ ყურადღებას, რაც უნდა, ის უქნია, მოწიოს კიდევ. მაინც მიოპათია სჭირს, პროგრესირებადი დაავადება. არავინ იცის, რამდენ ხანს იცოცხლებს. მეგობარს გაუმართლა. ამ გაზაფხულზე შინ წაიყვანენ. სამუდამოდ.

– იცი, რუბენ, წელს თოვლის ბაბუა ნამდვილი არ იყო.

– გადაირიე? რა თოვლის ბაბუა? რამდენი წლისა ხარ?

– ვერ გამიგე.

ერთ სიგარეტს ათავებს, ეგრევე უკიდებს მეორეს. თხელი თითებით ფრთხილად დებს ნამწვს ასანთის კოლოფში. ზუსტი, ნელი მოძრაობებით. მე ასე არ გამომივიდოდა.

– ვერ გამიგე, რუბენ. პირველად ახალ წელს გავხდი სერიოზულად ავად, სკოლაშიც არ დავდიოდი ჯერ. მაშინ არ ვიცოდი, რა მჭირდა. მშობლებმა თოვლის ბაბუა გამოიძახეს. გვიან მოვიდა. მე არ მეძინა, თოვლის ბაბუას იყვნენ შეპირებულები. შემოვიდა დედა, ნახა, არ მეძინა, ნაძვის ხეზე ნათურები აანთო. მამამ სამზარეულოში შეიპატიჟა, ის არ გაჰყვა, ჩემთან დარჩა. დაინახა ტუმბაზე წამლები, ყავარჯნები. მამას უთხრა, «რა გვინდა სამზარეულოში, ნაძვის ხესთან დავლიოთ, მაინც დავამთავრე ცვლაო.» გამოიტანეს სამზარეულოდან მაგიდა, არაყი, საჭმელი. კარგი იყო. არც ლექსების თქმა დაუძალეზიათ. ლიმონათიც დამისხეს სირჩაში. ერთი რომ დალიეს, თოვლის ბაბუამ წვერი მოიხსნა. კარგი თოვლის ბაბუა იყო, ძია პეტია ერქვა. ფხიზელი თოვლის ბაბუები არც არსებობენ.

მე გავიგე. ვიხსენებდი ჩემს თოვლის ბაბუებს. ახალგაზრდებსა და მოხუცებს, კაცებსა და ქალებს. თოვლის ბაბუას – ლიტერატურის მასწავლებელს, ახალგაზრდა თოვლის ბაბუებს – პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტებს. თოვლის ბაბუებს – ექიმებს, ძალიან ხშირად – ექიმებს.

ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ვნახე ნამდვილი თოვლის ბაბუა. შემოვიდა მხიარული და მთვრალი. წითელცხვირა თოვლის ბაბუა. ომახიანი ბანით მოგვესალმა: «გამარჯობა, ბავშვებო» ჩვენც ვუპასუხეთ, როგორც წესი და რიგია: «გამარჯობა, თოვლის ბაბუა». თოვლის ბაბუა მღეროდა და ცეკვავდა. ლექსებს ამბობდა. გაბედულად და ყურადღებით გვიყურებდა. თვალს არ ამორებდა საკარნავალოკოსტიუმებში გამოწყობილ პატარებს. როცა წყნარი მუსიკა ჩართეს, ცალხელა უფროსკლასელ გოგონასთან იცეკვა.

გვახსოვდა. ჩვენ გვახსოვდა, როგორ კითხულობდა შარშან ახალგაზრდა თოვლის ბაბუა ფურცელზე ჩამოწერილ ბავშვების გვარებს, როგორ ერეოდა ტექსტი, წითლდებოდა და ბორძიკობდა, როცა საჩუქრების დარიგების დრო დადგა, ცუდად გახდა, ძალიან ცუდად. სამასწავლებლოში გაიყვანეს, ვალერიანის წვეთები დააღვინეს.

მაგარი თოვლის ბაბუა იყო. ეგრევე, როგორც კი შემოვიდა, ჯადოსნური კვერთხი კარებთან დატოვა. საჩუქრების ბუტაფორიული ტომარა პატარებს დაუდგა წინ. ბავშვები არ მიჰკარებდნენ – რცხვენოდნენ. მაშინ პირდაპირ იატაკზე, ნაძვის ხის ქვეშ გადმოყარა კამფეტები.

სადღესასწაულო საღამოს დასასრულს თოვლის ბაბუა კლუბის კულისებში გავიდა. უქურქოდ და უწვეროდ დაბრუნდა, საზეიმო სამხედრო ფორმით. სათვალე გაიკეთა, ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო. ოდნავი ბორძიკით კითხულობდა პარტიისა და მთავრობის, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების და ჩვენი ბედნიერი ბავშვობის შესახებ. მერე ის მართალი ფურცელი ჯიბეში ჩაიღო და ხმამაღლა გამოაცხადა «ახლა ჩემი ფიფქიები ყველას საჩუქრებს დაგირიგებენო», დაელოდა, სანამ აპლოდისმენტები ჩაცხრებოდა, ჩამოვიდა სცენიდან და იმ მაგიდასთან მივიდა, სადაც ბავშვთა სახლის დირექტორი იჯდა. ახალგაზრდა კურსანტისფორმიანმა ბიჭებმა, ფიფქიებს სულ რომ არ ჰგავდნენ, დარბაზში უზარმაზარი მუყაოს ყუთები შემოიტანეს. ძალიან სწრაფად და სწორად დაარიგეს საჩუქრები. ყველას შეახვედრეს, პატარებსაც და დიდებსაც. კარგი ახალი წელი იყო, ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო ახალი წელი.

მეგობარი ეწეოდა. მე ჩემს ნამდვილ თოვლის ბაბუაზე ვუყვებოდი. ჩვენ კარგად გვესმოდა ერთმანეთისა.

– მართალი ხარ, – ვუთხარი მე, – არ არსებობენ ფხიზელი თოვლის ბაბუები. ფხიზელები ნამდვილები არ არიან.

## ძალღი

ის თვითონ მოვიდა. ჭიმკარში შემოვიდა, ძლივძლივობით შეხტა ძელსკამზე, დაწვა, კუდს აქიციანებდა. საღამო იყო. თითქმის ღამე. ბიჭი მოსაწევად გამოვიდა ეზოში, ძალღი დაინახა. დიდი ბიჭია უკვე, უფროსკლასელი. შეინახა სიგარეტი, სწრაფად მოიტანა წყალი კონსერვის ქილით.

უსიტყვოდ, უჩუმრად მოედო მთელ ბავშვთა სახლს – «ძალღი». დაირღვა ჩვეული წესრიგი, ბავშვები სწრაფად გამოდიოდნენ ეზოში, ძელსკამთან გროვდებოდნენ. ყველას უნდოდა მოჰფერებოდა, ენახა ძალღი.

ძალღის ყოლა ბავშვთა სახლში სანიტარულ-ჰიგიენური წესებით იკრძალებოდა. ძალღები ინფექციას ავრცელებენ, ძალღებს მუცლის ჭიები ჰყავთ. დროდადრო ჩვენთან რომელიღაც მაწანწალა შემოეხეტებოდა ხოლმე, სასადილოსთან მოვიდოდა. ბავშვები ჩუმად აჰმევენდნენ, უფროსები ჯოხებით გარეთ ერეკებოდნენ. ყველაფერი კარგად იყო,

ყველაფერი ისე იყო, როგორც საჭიროა. დილით ძალი ბავშვთა სახლის ტერიტორიაზე უკვე აღარ იყო. ღამით მანქანა მოდიოდა, ძალი მიჰყავდა. ჩვენ გვეუბნებოდნენ, ძაღლებისაგან საპონს აკეთებენო. დილით გოგონები სკოლაში ნამტირალევი თვალებით მოდიოდნენ. ბიჭები არ ტიროდნენ. ვის გაუგია ბიჭების ტირილი. უბრალოდ, უფროსკლასელები ღიად, თითქმის დაუფარავად ეწეოდნენ, მასწავლებლების თვალწინ ეწეოდნენ. გამომწვევად. უფროსები ცდილობდნენ, ყურადღება არ მიექციათ. უფროსებს სჯეროდათ, დრო გავა და ბავშვებს ყველაფერი დაავიწყდებათო. ბრძენი უფროსები.

თითქმის ყველანი ეზოში მოგროვდნენ. მდუმარედ ისხდნენ და იდგნენ.

მედპუნქტიდან ხანშიშესული ექთანი გამოვიდა, ძაღლთან მივიდა, დახედა.

– ძაღლი მოაშორეთ, ბავშვებმა ხელები დაიბანონ საპნით და დაუყოვნებლივ დაიძინონ. რა ხდება აქ?

იქვე ყავარჯნებიანი პატარა ბიჭი იდგა. სკოლამდელი, ბოშა. მივიდა ძელსკამთან, წინ დაუდგა ქალს.

– არ წაიყვანოთ, არ შეიძლება, კარგი ძაღლია, თვითონ მოვიდა ჩვენთან.

ექთანი თანაგრძნობით დაჰყურებდა ბავშვს. პირველი შემთხვევა ხომ არაა. მიეჩვია უკვე. თვითონ უკეთესად იცის, იცის, რა სჭირდებათ ბავშვებს.

– წადი, დაიძინე. ვინაა მორიგე? ვინაა პასუხისმგებელი?

მორიგე არ ჩანდა. ტუალეტში იყო გასული. მორიგე ტუალეტში იჯდა და ეწეოდა. ეწეოდა და ელოდებოდა.

ბიჭი მაგრად იდგა. ხელებით ყავარჯნებს ეყრდნობოდა, ცალი ფეხით – მიწას. არ ემინოდა უფროსებისა. ბავშვთა სახლი, მთელი ბავშვთა სახლი მისკენ იყო. ახლა ყველა მასთან იყო.

– არ შეიძლება ძაღლის გაგდება. ფეხი არა აქვს.

ექთანი ბიჭს წინ ჩამოუჯდა.

– «ფეხი» კი არა, «თათი» უნდა თქვა, გაიგე? ძაღლებს თათები აქვთ, ადამიანებს – ფეხები.

უცებ ხმა ჩაუწყდა. შედრკა, ადგა, ხალათი გაისწორა. სახე მშვიდი, დამაბული ჰქონდა. ერთი წუთითაც კი არ უყოყმანია. თავის სიმართლეში დარწმუნებული, ხანშიშესული ქალის სახე.

სწრაფად გავიდა, მალევე დაბრუნდა. გახსნა ინსტრუმენტების პატარა ყუთი.

– აბა, დამიჭირეთ.

ბიჭები ძაღლს იჭერდნენ. ექთანი ჯერ ჭუჭყიან ბეწვს აჭრიდა გვერდებიდან. ღია ჭრილობებზე იოდს ასხამდა. ძაღლი კრთოდა, ბიჭები იჭერდნენ. ექთანი სწრაფად და მარჯვედ აკეთებდა ყველაფერს. ბოლოს ბასრი მაკრატლით კანზე მოკონწიალე თათი მოაჭრა. მერე შეუხვია.

– ბეწვი დაწვით. ხვალ ვეტერინარი გამოიძახეთ და ყველაფერზე აცერით. თათი ყოველდღე გადაუხვიეთ. ბინტს მე მოგცემთ. როგორც კი შევამჩნევ, რომ რამე ისე არ არის, როგორც საჭიროა, ძაღლს მაშინვე მოვაშორებთ. გასაგებია?

შეინახა ინსტრუმენტები, მედპუნქტში დაბრუნდა. მკაცრად შეხედა ახალგაზრდა აღმზრდელს.

– ახლავე ხელები საპნით დაიბანოს ყველამ და დაიძინოს.

ძილის დროა. ყველა დაიშალა. მარტო პატარა ბიჭი იჯდა ძაღლთან. თავზე ეფერებოდა და წასვლა არ უნდოდა. ძაღლი კუდს აქიცინებდა და მორჩილი თვალებით უყურებდა წინ დაგდებულ მებოლილი ძეხვის ნაჭერს.

ეზოში აღმზრდელი გამოვიდა.

– დაიძინე. უკვე გვიანია. გვერდით ჩამოუჯდა ბიჭს.

ბიჭი დუმდა.

ახალგაზრდა იყო აღმზრდელი. სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა. რა პედაგოგი ის იყო? ახლოს მიუჩოჩდა ბიჭს, შეეცადა, თავზე ხელი გადაესვა, ბიჭი გაიწია, არ დაანება, მერე ძაღლს მიეფერა.

– წადი, წადი, დაიძინე. არ დაიკარგება შენი ძაღლი. დირექტორს დავურეკე და მითხრა, მაგათ ყოფაქცევას შევხედავ, და მერე გადავწყვეტ, რა ვუყო ძაღლსო. არ წაიყვანენ. დღეს არ წაიყვანენ.

ძაღლი ნელ-ნელა მოსუქდა. ყველას უნდოდა, ეჭმია. პატარები ჯიბეებში ინახავდნენ მისთვის საუზმიდან მორჩენილ პურს. გოგონებს შრომის გაკვეთილებზე დამზადებული ბლინები მოჰქონდათ. მოღუშული და მკაცრი უფროსკლასელი ბიჭები ლოთობის შემდეგ მორჩენილ საჭმელს უზიდავდნენ. მზარეულები ჯერ ჩუმად, მერე კი ღიად აჭმევდნენ სამზარეულოს ნარჩენებს.

ზამთარში ძაღლს დიდებული, წითური ბეწვი გაეზარდა, ასეც დაარქვეს «რიჟაია». გოგონები დღეში ოცჯერ მაინც ვარცხნიდნენ, ნაწნავებს უწნავდნენ. ყველაფერს იტანდა. გოგონები ბიჭებზე მეტად უყვარდა.

ბიჭები ეთამაშებოდნენ. ბიჭები წიგნებს კითხულობდნენ ცხოველთა წვრთნის შესახებ. ძაღლი რგოლს ახტებოდა, რიგრიგობით იწვდიდა მარჯვენა და მარცხენა თათს. იცოდა ბრძანებები: «გაშემდი», «დაჯექი», «დაწექი». ყველაზე მეტად ბრძანება «აპორტი» უყვარდა. საათობით შეეძლო გადაგდებული ბურთის მოტანა. ვინც ეტლში იჯდა, იმას პირდაპირ ხელებში უდებდა ბურთს. ყველასთან მიდიოდა, ყველას ეთამაშებოდა. ვისაც ბურთის სროლა არ შეეძლო, კალთაში უდებდა თავს. ჭკვიანი ძაღლი იყო. ყველაფერი ესმოდა, ყველაფერი შეეძლო. მარტო უკანა თათებზე დგომა არ იცოდა. არც სჭირდებოდა ლუკმა-პურისთვის ცეკვა-თამაში და ადამიანებთან ლაქუცი. ისედაც აჭმევდნენ.

ერთხელაც ბავშვთა სახლის მკაცრი, შავპორტფელიანი დირექტორი, სამსახურში მოვიდა, ძაღლთან დაიხარა, წითური ბეწვი აუჩიჩა და სერიოზულად ჰკითხა:

– აბა, როგორა ხარ? რამეს ხომ არ უჩივი? საბუთები წესრიგში გაქვს?

ძაღლს ვეტერინარიული საბუთები სრულ წესრიგში ჰქონდა. ყველაფერი კარგად ჰქონდა. სამ ფეხზე დახტოდა, მხიარულად შესწავაწკავებდა უცხოებს. თავისიანებს უცებ ცნობდა. იმათაც, ვინც ჯერ არ იყო ჩარიცხული სკოლაში და იმათაც, ვინც უკვე დიდი ხნის წინ დაამთავრა სკოლა. უშეცდომოდ განასხვავებდა თავისიანებს უცნობებისაგან.

ჩვენთან ხანდახან უცხოები შემოდისოდნენ ხოლმე. უცხო ძაღლებს ახლა მარტო უფროსები არ ერეკებოდნენ ჯობებით. უცხო ძაღლებს ეკრძალებოდათ ბავშვთა სახლის დახურულ ტერიტორიაზე გამოჩენა. უცხო ძაღლებს რწყილები და მუცლის ჭიები ჰყავდათ. უცხო ძაღლებს შურდულებს ესროდნენ.

გაზაფხულზე უცნობი მოვიდა, თქვა, ყოფილი პატრონი ვარო. არ დაუჯერეს. შემოვიდა, მისაფერებლად გაიწია. დაუჯერეს. კეთილი ძაღლი ძირს დაეცა, დაიღრინა, ბოროტი ღმუილი წკავწკავში გადაუვიდა. სულ გაერთხა მიწას, აწივლდა. უცებ წამოხტა, კუდი ამოიძუა და საქვაბისკენ გაიქცა. ბავშვთა სახლში მოსვლის პირველსავე დღეს შრომის გაკვეთილზე პატარა სახლი აუწყვეს. ძაღლის ბუდრუგანა სპეციალური გეგმის მიხედვით ააშენეს. ორმაგი კედლებით, თბილი ფიცრის იატაკით. გოგონებმა იატაკზე ძველი საბნები დაუფინეს. ვიღაცამ ბალიშიც მოიტანა, სახლში შეკერილი ბალიში, სახელმწიფო შტამპის გარეშე. პატარებს ქოხში სახლიდან გამოგზავნილი ნივთები და საყვარელი სათამაშოები მიჰქონდათ. უფროსი გოგონები რეგულარულად ურიგებდნენ პატარებს ამ ყველაფერს, უჯავრდებოდნენ, უხსნიდნენ, რომ არ შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ უშედეგოდ. დროდადრო ვიღაცას მაინც მიჰქონდა ძაღლის ბუდრუგანაში თბილი, კეთილი საჩუქრები. ძაღლს ბუდრუგანაში ეძინა, მოსწონდა იქ.



ზამთარში, როცა ძალიან ციოდა, ძალი საქვაბებში იძინებდა. კეთილი ცეცხლფარეში ოდესღაც ჩვენს ბავშვთა სახლში სწავლობდა. ხელ-ფეხი ჰქონდა. ჯანმრთელი, ლამაზი მამაკაცი იყო, მაგრამ ცოტა ჭკუანაკლული. თითქმის მუნჯი. სკოლაში სწავლის ათი წლის მანძილზე წერა-კითხვაც კი ვერ ისწავლა. ვის რაში სჭირდებოდა ბავშვთა სახლის ჭიშკარგადაღმა ცივ და უცხო ქვეყანაში? როცა სევდა შემოაწვებოდა, არაყს ყიდულობდა ხოლმე. არაყს და ნაყინს. არაყს მარტო სვამდა, ნაყინს ძალღს უყოფდა. ხშირად იჯდა ხოლმე საქვაბის წინ მთვრალი, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს ბურდღუნებდა, ძალი ერთიმეორის მიყოლებით ჭამდა ნაყინებს. კარგად იყვნენ შეწყობილები. ლოთობის გამო არავინ არ უწყობდა. ყველამ იცოდა, რამდენიც არ უნდა დაეღია, საქვაბეს მინც ამუშავებდა. ძალიან მთვრალიც კი გულმოდგინედ უმატებდა ნახშირს ღუმელს. კარგი ცეცხლფარეში გვყავდა.

უცნობი ხელებს იქნევდა. ცდილობდა, რაღაც დაემტკიცებინა და მოეთხოვა. უფროსები არ აქცევდნენ არანაირ ყურადღებას, უფროსები დაემუქრნენ, მილიციას დავუძახებთო. უცნობი ჭიშკრიდან გავიდა, იდგა და რაღაცას ელოდა.

შავთვალა, თავგადაპარსული, პატარა ბოშა სწრაფად დახტოდა ყავარჯნებით, ერთადერთ ფეხსაცმელს ცვეთდა. მივიდა უცნობთან, კარგად შეათვალიერა, სახელოზე მოსწია.

– ბიძია, ბიძია, იყიდე რა დანა.

ხელისგულზე სახელოდან უცებ ხელნაკეთი, მბრწყინავტარიანი დანა გამოაცურა. დაიქნია ხელი და... სადღა იყო დანა, ერთხელ კიდევ დაიქნია და დანა ისევ ხელისგულზე ედო. მარტივი ფოკუსი.

კაცი ბიჭისაკენ დაიხარა.

– მოიტა აქა. ადრეა ჯერ შენთვის ასეთი სათამაშოებით გართობა.

– ახლავე. ჯერ ფული მომე, ჩემი დანაა.

ბიჭმა დანა უკან მოისროლა და ცარიელი ხელები გაუშალა. აიღო ყავარჯნები, გაქცევა დააპირა.

– მოიცა, ვინმეს დაუძახე, უფროსს.

მერე დიდი ბიჭი გამოჩნდა, დამამთავრებელი კლასის მოსწავლე. მაღალი იყო. წითური თმა თვალებში ეყარა, ყურებსაც უფარავდა. ცალი სახელო ქამარში ჰქონდა კოხტად ჩატანებული.

ძელსკამზე ჩამოსხდნენ, ბავშვთა სახლის ჭიშკრის წინ. ბიჭმა ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, პაპიროსი კოლოფიდან წვიპურტით გამოაგდო, ტუჩებით დაიჭირა. კოლოფი ისევ ჯიბეში ჩაიდო. ახლა ასანთი ამოიღო, ნეკით კოლოფი ხელისგულზე ჰქონდა მიჭერილი, ცერით და საჩვენებელი თითით ასანთის ღერი მარჯვედ ამოიღო კოლოფიდან, გაჰკრა, გააბოლა. ეს უცბად გააკეთა.

– აბა, რა გინდა, ბიძაჩემო?

– მომეცით ძალი. ყველაფერი მესმის, პატარა აღარა ვარ. მომჯობინდა თქვენთან, ბეწვიც გაეზარდა. ერთ ბოთლ არაყს მოგცემ.

ბიჭი ჩუმად ეწეოდა.

– კარგი, არ ვიძუნწებ. ორ ბოთლს მოგცემ. ორ ბოთლ არაყს.

– შენი ძალია?

– ჩემია.

– ახლავე შევამოწმებთ. ასე უფეხოდ დაიბადა თუ გახდა ეგეთი?

– მერე გახდა.

– და ასე უცბად რაში დაგჭირდა?

– ქუდს გავიკეთებ. მშვენივრად მოგიკეთებიათ. კარგი ქუდი გამომივა.

- გასაგებია. აბა, მიდი, მოიტანე არაყი და წაიყვანე ძალი.
- ეგ როგორ «წაიყვანე»? საყელურით გამომიყვანე.
- კარგი აბა, საყელური თანა გაქვს?
- აბა რა.

ბიჭმა სიგარეტი მოსწია. ბიძას ახედ-დახედა. დაბალი იყო, მხრებამდე სწვდებოდა.

- მისმინე, ბიძაჩემო, დანა იყიდე.
- ყველანი გადარეულები ხართ. ერთი უკვე მთავაზობდა. ლაწირაკი.
- მართალი ხარ ბიძია, ეგ ლაწირაკია, დანაც არ უვარგა, შენ ჩემგან იყიდე.

ბიჭმა დანიანი ხელი ბიძას პირდაპირ ცხვირთან მიუტანა. ღილაკს დააწვა და უცებ გრძელი, ბასრი დანის პირი გაჩნდა. გაწაფული ხელით ერთ წამში დაკეცა დანა. კიდევ ერთხელ დაატკაცუნა ღილაკი. ისევ დაკეცა, ჯიბეში შეინახა. – მოიცა, იქნებ კასტეტი გჭირდება? მოდი ჭიშკართან, როგორც კი დაბნელდება, არ მოგერიდოს. კარგ კასტეტებს ვაკეთებ, ძვირსაც არ ვიღებ.

- მე ძალი მჭირდება.
- კარგი, როგორც გინდა.

ადგა, ჭიშკრისაკენ წავიდა. წუთით შეჩერდა, გაიღიმა, ბედნიერებისაგან სახე ისე გაუწათდა, თითქოს რაღაც მშობლიური და ნათელი მოაგონდა.

- მისმინე, ბიძაჩემო, წავიდეთ ახლავე და წაიყვანე ძალი. მუქთად წაიყვანე. ბიძაც გახალისდა.
- წავედით.

– ოღონდ იცოდე, ძალი ახლა საქვაბეშია. ცეცხლფარეში ლოთობს. მგონი გუშინ ერთი ყუთი არაყი მოათრია. ჩვენი ცეცხლფარეში ღონიერია, ერთი ხელით მანქანას ბამპერით სწევს, დომკრატი არა სჭირდება. ოღონდ ცოტა ურევს. ცუდად ესმის. შენც ნელა ილაპარაკე და გაიგებს. და იცი რა? ყველაზე მთავარით, ქუდით დაიწყე. ქუდის ამბავში ნამდვილად გაგიგებს.

კაცი ბოლო-ბოლო მიხვდა, რომ მასხრად იგდებდნენ, ჩუმად შეიგინა და გზას გაუყვა. ველურები არიან ეს ბავშვთა სახლელები, ბოროტები.

ოდესმე, ოდესმე მეც ვიყიდი ძალს. ჭკვიან ლაბრადორს, ძვირფას, ჯიშთან ძალს. ის კარებს გამიღებს ხოლმე, დავარდნილ ნივთებს მომაწვდის. და იქნებ ასე მაინც დავივიწყო ის ბავშვთა სახლეელი ძალი, კარგი ძალი, უფეხო.

## ხელები

ხელები მე არა მაქვს. იმას, რითიც იძულებული ვარ იოლას გავიდე, ხელები დიდი გაჭირვებით თუ დაერქმევა. მიჩვეული ვარ. მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით კომპიუტერზე ბეჭდვა შემიძლია, მარჯვენაში კოვზის ჩადება და ნორმალურად ჭამა შემიძლება.

უხელებოდ ცხოვრება შესაძლებელია. ერთ უხელო ბიჭს ვიცნობდი, რომელიც ცუდად არ იყო მორგებული თავის მდგომარეობას. ყველაფერს ფეხებით აკეთებდა. ფეხებით ჭამდა, თმას ივარცხნიდა, იხდიდა და იცვამდა. პირსაც ფეხებით იპარსავდა. ღილების დაკერებაც ისწავლა. ძაფსაც დამოუკიდებლად უყრიდა ნემსში. ყოველდღიურად ავარჯიშებდა თავის ნორჩ სხეულს. ბავშვთა სახლის ჩხუბებში ძალადაუტანებლად შეეძლო მოწინააღმდეგისთვის საზარდულში ან ყბაში ამოეკრა

წიხლი. ჭიქას კბილებით ეჭიდებოდა და არაყს ისე სვამდა. ჩვეულებრივი ბავშვთა სახლელი ბიჭი იყო.

უხელებოდ ცხოვრება არც ისე ძნელია, თუკი დანარჩენი ყველაფერი გაქვს. დანარჩენი ყველაფერი, ანუ სხეული, უფრო უარესად მაქვს განვითარებული, ვიდრე ხელები. ხელები მთავარია. შეიძლება ითქვას, რომ მთავარი კაცისათვის თავია. შეიძლება არც ითქვას. ისედაც ნათელია, რომ თავი უხელებოდ ვერ გაძლებს. არა აქვს მნიშვნელობა, ხელები შენია თუ სხვისი.

სერგეის ხელები ჰქონდა. ორი სრულიად ჯანსაღი, ღონიერი ხელი. წელს ზემოთ ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. ხელები, მხრები, თავი. ნათელი თავი. სერგეი მიხაილოვი. სერიოჟა.

სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იყო. ამასაც არ სჯერდებოდა. სულ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალებს კითხულობდა, მოსწავლეთა დაუსწრებელ კონკურსებში მონაწილეობდა, ასრულებდა ჟურნალებში გამოქვეყნებულ დავალებებს, აგზავნიდა, რაღაც სიგელებიც ჩამოსდიოდა.

წელს ქვემოთ მუდმივად ლოტოსის პოზაში ედო ორი მოგრეხილი ფეხი. წელს ქვემოთ ვერაფერს გრძნობდა, სულ ვერაფერს, ამიტომ იძულებული იყო, შარდმიმღები ეტარებინა. როცა შარდი გამოჟონავდა, შარვალს თვითონვე იცვლიდა. ყველაფერს თვითონ აკეთებდა. არ უწყევდა მომვლელების დაძახება, თავის დამცირება, დახმარების თხოვნა. სხვებსაც ეხმარებოდა, უფრო დაჩაგრულებს. კოვზით აჭმევდა მეგობარს, ეხმარებოდა თავის დაბანაში, ჩაცმაში.

მშობლები არ ჰყავდა. სიარული არ შეეძლო. სკოლის შემდეგ მოხუცთა თავშესაფარში წაიყვანეს.

მოხუცთა თავშესაფარში პალატაში ორ ბაბუასთან ერთად დააწვინეს. უწყინარი მოხუცები იყვნენ. ერთი მეწაღე იყო – ფეხსაცმელების წებოს ხარშავდა ელექტროქურაზე, მეორეს – მომაკვდავს, უკვე თითქმის აღარაფერი გაეგებოდა. მისი საწოლიდან შარდი ჟონავდა. სერიოჟასათვის გამოსაცვლელი თეთრეული არ მიუციათ. აუხსნეს, შარვლის გამოცვლა ათ დღეში ერთხელ გეკუთვნისო.

სამი კვირა იწვა წებოსა და ქაქის სუნით აყრთვებულ პალატაში. სამი კვირა არაფერი უჭამია, ცდილობდა, წყალიც ცოტა დაეღია. თავის შარდმიმღებზე მიჯაჭვულმა, შიშველმა ვერ გაბედა გარეთ გამოფორთხება, რომ უკანასკნელად მაინც ენახა მზე. სამი კვირის თავზე მოკვდა.

ერთ წელიწადში მეც იმ სახლში უნდა წავყევანე. სერგეის ხელები ჰქონდა. მე – არა.

მოხუცთა თავშესაფარი

ათი წლიდან სულ მეშინოდა, მოხუცებულთა თავშესაფარში ან საგიჟეთში არ მოვხვედრილიყავი.

საგიჟეთის თავიდან აცილება იოლი იყო. უბრალოდ, კარგად უნდა მოქცეულიყავი, უფროსებისათვის დაგეჟერებინა და არ გეწუწუნა, არასდროს არაფერზე არ დაგეჩივლა. ვინც ცუდ საქმელზე ან უფროსების საქციელზე ჩიოდა, დროდადრო საგიჟეთში მიჰყავდათ. იქედან დადუმებულები და მოთვინიერებულები ბრუნდებოდნენ, ღამლამობით საშინელ ამბებს ყვებოდნენ ავი სანიტრების შესახებ.

მოხუცებულთა სახლში მიჰყავდათ ყველა, ვისაც სიარული არ შეეძლო, ისე, უბრალოდ, არაფრის გამო. თავშესაფარს მხოლოდ ისინი გადაურჩებოდნენ, ვინც რაიმე პროფესიას დაეუფლებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ კარგი მოსწავლეები ინსტიტუტში აბარებდნენ, საშუალოები – ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში.

ინსტიტუტში ძალიან მონდომებულები და ნიჭიერები ხვდებოდნენ. სკოლაში ყველაზე კარგად კი ვსწავლობდი, მაგრამ, რად გინდა, სიარული მე არ შემეძლო.

სკოლის დამთავრების შემდეგ ვილაცეები ნათესავებს მიჰყავდათ შინ. მე არც ნათესავები მყავდა.

\* \* \*

იმის შემდეგ, რაც გავიგე, რომ ერთ დღეს ამ საშინელ ადგილას წამიყვანენ, საწოლზე დამაგდებენ და დამტოვებენ მარტოს სიკვდილის პირისპირ ელემენტარული მოვლისა და საკვების გარეშე, ჩემთვის ყველაფერი შეიცვალა. მასწავლებლები და აღმზრდელები აღარ იყვნენ ავტორიტეტული და ბრძენი უფროსები. ხშირად, ძალიან ხშირად, ყურს ვუგდებდი მასწავლებელს და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ შეიძლება სწორედ მას წავეყვანე სასიკვდილოდ.

მიყვებოდნენ თეორემებისა და უტოლობების შესახებ. მექანიკურად ვსწავლობდი გაკვეთილს.

მიყვებოდნენ დიდი მწერლების შესახებ. აღარაფერი იყო საინტერესო.

მიყვებოდნენ ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ. უცებ ტირილი მივარდებოდა.

და როცა ძიძა ისევ და ისევ მიყვიროდა და მლანძღავდა, მე მადლიერებით ვფიქრობდი, რომ სწორად იქცეოდა, რომ მას ჰქონდა ამის უფლება. მივლიდა და იმიტომ. იქ, სადაც წამიყვანდნენ, ქოთანს არავინ მომაწოდებდა, ძიძა, ეს უწიგნური, უხეში ქალი – კარგია, მე – ცუდი. ცუდი ვარ, აბა რა, ხშირად ვეძახი დასახმარებლად, სულ ჭამაზე და სმაზე ვფიქრობ, შავმა ჩათლახმა გამაჩინა და მიმაგდო ამათთან. ესენი – გულკეთილები და მოწყალეები – მივლიან. ცუდი ვარ. კარგი რომ გავხდე, სულ ცოტა რამაა საჭირო, სულ ცოტა. ეს ყველას შეუძლია, ყველას. ყველაზე უტვინოებსაც კი. უბრალოდ, უნდა ავდგე და გავიარო.

მასწავლებლები ვერ ხვდებოდნენ, რა მატირებდა, რატომ არ მინდოდა მათთან საუბარი, რატომ არ ვწერდი «თავისუფალ თემებს». ყველაზე ჭკვიანები, მათ შორის თვით ყველაზე, ყველაზე საუკეთესოებიც კი, ვერაფერს მეუბნებოდნენ ჩემს მომავალზე.

მე სხვა არაფერი მაინტერესებდა.

\* \* \*

იმ წელს, რვა კლასი რომ დავამთავრე, ჩვენს ბავშვთა სახლში მეცხრე-მეათე კლასები დახურეს. უფროსკლასელები სხვა ბავშვთა სახლებში გადაანაწილეს. ვილაცეები საგიჟეთში წაიყვანეს. ჩვეულებრივ საგიჟეთში, სრულიად ნორმალური ბიჭები. არ გაუმართლათ, მეტყველება ჰქონდათ დარღვეული. ეს ხშირია ცერებრალური დამბლის დროს. მოსკოვიდან ჩამოსულმა კომისიამ ცერემონიები არ დაიწყო და ყველანი გონებრივად ჩამორჩენილთა სპეცინტერნატში გადაიყვანეს. უფროსკლასელებიდან მარტო მე დავრჩი სკოლაში. კანონის მიხედვით მეც მეკუთვნოდა საშუალო განათლება, მაგრამ კანონი არავის არ ადარდებდა.

მე მოხუცთა თავშესაფარში გადამიყვანეს.

ბავშვთა სახლის ავტობუსი საშინლად ჯაყჯაყებდა. რაღაც ბორცვებზე მივდიოდით. მოხუცებულთა სახლში თვით სკოლის დირექტორს მივყავდი. მიღიმოდა,

ოქროს კბილებს აელვარებდა და თან «კოსმოსს» აბოლებდა. ის მხოლოდ «კოსმოსს» ეწეოდა ხოლმე. ეწეოდა და თან ფანჯარაში იყურებოდა.

ავტობუსიდან ეტლით ჩამომიყვანეს. მე მაინც პრივილეგირებული ინვალიდი ვიყავი, თორემ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ეტლები არეკუთვნოდათ. თავშესაფარში ისინი უეტლოდ მიჰყავდათ, აწვენდნენ საწოლზე და ტოვებდნენ. კანონის მიხედვით თავშესაფარს უნდა მიეცა ეტლი ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს – კანონის მიხედვით. ამ მოხუცებულთა სახლში მარტო ერთი ეტლი ჰქონდათ და ისინი, ვისაც საწოლიდან ეტლში გადაჯდომა თვითონ შეეძლო, მორიგეობით «სეირნობდნენ» ხოლმე. ეს «სეირნობა» თავშესაფარის ეზოთი შემოიფარგლებოდა.

შემოდგომა. სექტემბერი. ჯერ არ ცივა. რევოლუციამდელი, დაბალი ხის შენობები. ღობე არა ჩანს. ოროვანდებით მოფენილ ეზოში თავზე ქუდჩამოფხატული, უცნაური ადამიანები დაბორიანდებიან.

სიმღერა ისმის. გუნდია. მოხუცი ქალების ხმებია, ბებიები თვითონ არ ჩანან. ხმა შენობებიდან ისმის.

არასდროს, არასდროს, არც მანამდე და არც მერე ასეთი გულსაკლავი და განწირული სიმღერა არ მომისმენია. სანამ ავტობუსით ვმგზავრობდი, ვლელავდი. გუნდის გალობის მოსმენის მერე მღელვარება აპათიაში გადამეზარდა. ჩემთვის სულ ერთი გახდა ყველაფერი.

შენობაში ეტლით შემავორეს. დერეფანში ბნელოდა. თავისა და ნესტის სუნი იდგა. რაღაც ოთახში შემიყვანეს. დამტოვეს და გავიდნენ.

მომცრო ოთახი. ჩამორღვეული კედლები. ორი რკინის საწოლი და ხის მაგიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში დირექტორი, თავშესაფარის თანამშრომელი და მომვლელი შემოდიან. ქალი მომვლელი რომაა, ამას ლურჯი ხალათით ვხვდები.

მომვლელი მიახლოვდება და ყურადღებით მათვალისწინებს.

– ვაიმე, რა პატარაა? ეს რა ხდება? უკვე ასეთებიც მოჰყავთ?! სულ დაკარგა ამ ხალხმა სინდისი!

გადის.

დირექტორი ნერვიულად ეწევა. შეწყვეტილი საუბრის გაგრძელებას ცდილობს.

– ეგება მაინც დაიტოვო. ძალიან გთხოვ!

– ნუ მთხოვ. გამიგე. ეს ახლა თექვსმეტისაა, ხო?

– თხუთმეტის. – წამომცდა მე.

– კარგი, თხუთმეტის, – მეთანხმება კაცი. – ერთ თვეში, მაქსიმუმ, ორში მოკვდება.

აქ მხოლოდ თვრამეტი წლის მოქალაქეების დასაფლავების უფლება მაქვს. ეს ხომ მოხუცთა თავშესაფარია. რა ვქნა, სად შევინახო ეს ორი წელი? მაცივრები ყველა გაფუჭებულია, გაიგე, ერთიც აღარ ვარგა. ისიც გაიხსენე, რა მიპასუხე, როცა გთხოვე, მაცივრების საქმეზე დამხმარებოდი. გაიხსენე? ჰოდა, არცა მთხოვო. ადექი და წაიყვანე, აგე, გონებასუსტთა ინტერნატში, იმათ ჩვილების დამარხვაც კი შეუძლიათ!

– ასე უცებ ნუ გადაწყვეტ. გავიდე, დავილაპარაკოთ. დასარეკი მაქვს.

ორივენი გადიან.

დერეფანში კატამ გაირბინა.

ოთახში რაღაც უცნაური, მყრალი სუნი დგება. სულ უფრო და უფრო ყარს რაღაც. ჯერ ვერ ვხვდები, რა ხდება. მომვლელი შემოდის. ლანგარი შემოაქვს, მაგიდაზე დგამს. შუქს ანთებს და მაქვს პატივი დავინახო უცნაური სუნის წყარო. მწვანე შეწებებული კომტი, რომლის შესახედაობა ნამდვილად შეეფერება სუნს. ლანგარზე თეფშით კიდევ ბორძია და პატარა პურის ნაჭერი. კოვზი არ ჩანს.

ძიძა უყურებს ლანგარს, ხვდება, კოვზი რომ დავიწყნია და გადის. მალევე ბრუნდება კოვზით ხელში. კოვზზე ბარდის ფაფაა მიმხმარი. მომვლელი პურს ქერქს აგლეჯს, იმით დაუდევრად წმენდს კოვზს და ბორშიის თეფშში აგდებს.

მერე ახლოს მოდის და ყურადღებით მათვალისწინებს.

– არა, ზამთარს ვერ გადაიტანს, მართლა!

– უკაცრავად, – ვეუბნები, – კატები ბევრი გყავთ?

– არა.

– მე დავინახე, დერეფანში კატამ გაირბინა.

– ეგ კატა კი არა, ვირთხა იყო.

– ვირთხა? დღისით?

– მერე რა? დღისითაც და ღამითაც. დღისით კიდეც არა უშავს, ღამითაა საშიში. დერეფანში ისე დარბიან, რომ ოთახებში ვიკეტებით და გამოსვლისა გვეშინია. ძალიან ავები არიან. ახლახანს ერთ მწოლიარე ბებრუხანას ყურები მოაჭამეს. შენ ჭამე, გაცივდება.

გადის.

ახლოს ვიწვევ თეფშს. მექანიკურად ვსინჯავ ბორშს, მძღნერია. ბორში მძღნერია, ფაფა მძღნერია, ცხოვრება მძღნერია.

ვზივარ. ვფიქრობ. უცებ ოთახში დირექტორი შემორბის. მხიარულად იფშვნეტს ხელებს.

– რა ვქნა, გალიეგო, არ გტოვებენ აქ. და არც არის საჭირო. წავიდეთ ბავშვთა სახლში. გინდა?

– მინდა. – ძალიან კარგი.

საჭმელიან თეფშს უყურებს.

– ვახშამსაც მივუსწრებთ. არც ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში წაგიყვან, გასაგებია? ნელა უმატებს: გა-ლიე-გო.

– გონსაღეს გალიეგო. – ვუსწორებ მე.

– რაო, არ გესმის? ვამბობ გალიეგო, ესე იგი, გალიეგო.

ვბრუნდებით ბავშვთა სახლში. ვახშამსაც ვუსწრებთ.

– აბა, მოყევი, რა და როგორ იყო? – მთხოვს ეტლში მჯდომი ბიჭი.

– ღამით, ღამით მოგიყვები. – ვეუბნები მე.

## ენა

ინტერნატი. მოხუცებულთა სახლი. ჩემი უკანასკნელი ნავთსაყუდელი და თავშესაფარი. დასასრული. ჩიხი. რვეულში არაწესიერ ინგლისურ ზმნებს ვიწერ. დერეფანში ურიკით გვამს მიაგორებენ. ბებიები და ბაბუები ხვალინდელ მენიუზე მსჯელობენ. რვეულში არაწესიერ ინგლისურ ზმნებს ვიწერ. ჩემს თანატოლ ინვალიდებს მორიგი კომკავშირიული შეკრება აქვთ. ინტერნატის დირექტორი სააქტო დარბაზში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მორიგ წლისთავთან დაკავშირებით საზეიმო სიტყვას წარმოთქვამს. რვეულში არაწესიერ ინგლისურ ზმნებს ვიწერ. ბაბუამ, ყოფილმა პატიმარმა, მორიგი ჩხუბის დროს ყავარჯნით თავი გაუხეთქა პალატის მეზობელს. ბებიამ, შრომის დამსახურებულმა ვეტერანმა, კედლის კარადის სახელურზე ჩამოიხრჩო თავი. ინვალიდის ეტლში მჯდომმა ქალმა ერთი მუჭა საძილე აბები

გადაყლაპა, სამუდამოდ რომ წასულიყო ამ წესიერი ქვეყნიდან. რვეულში არაწესიერ ინგლისურ ზმნებს ვიწერ.

სწორია. მე ადამიანი არა ვარ. მეტი ვერაფერი შევძელი, ვერც ტრაქტორისტი გავხდი და ვერც მეცნიერი. სამადლოდ მინახავენ. სწორია. ასეც უნდა იყოს. სწორია, სწორია, სწორია.

არაწესიერი – მარტო ზმნებია. ისინი ჯიუტად ავსებენ რვეულს, წვალებით აღწევენ მოხრიალე რადიოდან. მე არაწესიერი ინგლისური ენის არაწესიერ ზმნებს ვუსმენ. მათ უწესო დიქტორი კითხულობს უწესო ამერიკიდან. უწესო ადამიანი ამ სრულიად წესიერ სამყაროში ჯიუტად ვსწავლობ ინგლისურს. ვსწავლობ ისე, უბრალოდ, რომ ჭკუიდან არ შევიშალო, რომ არ გავგიჟდე, რომ არ გავხდე წესიერი.

## ხელჯობი

მოხუცებულთა თავშესაფარი საშინელი ადგილია. უძღურებისა და სასოწარკვეთისაგან ადამიანები გულქვავედებიან. სულები შეუვალი ჯავშნით ეფარებათ. ვერავის ვერაფრით გააკვირვებ. ჩვეულებრივი ხანაგის\* ჩვეულებრივი ცხოვრებაა.

ოთხი მომვლელი ურიკას მოაგორებდა. ზედ ბაბუა იჯდა და განწირული ხმით ყვიროდა. არ იყო მართალი. თავის თავს დააბრალოს. ახლახანს ფეხი მოიტეხა, და დიასახლისმა მისი მესამე სართულზე გადაყვანის ბრძანება გასცა. მესამე სართული ფეხმოტეხილი კაცისათვის სასიკვდილო განაჩენია.

მეორე სართულზე მისი თანამესუფრეები ან უბრალოდ ნაცნობები რჩებოდნენ. მეორე სართულზე რეგულარულად არიგებდნენ საჭმელს, მომვლელებს ქოთნები გაჰქონდათ. მოსიარულე ამხანაგებს შეემლოთ ექიმი ან მომვლელი გამოემახათ, ნამცხვარი მოეტანათ მაღაზიიდან. მეორე სართულზე კიდევ შეიძლებოდა თავის გატანა საღი ხელებით. გაძლება შეიძლება, სანამ ფეხი შეგიხორცდება, სანამ ისევ მოსიარულეებში არ ჩაგრიცხავენ, სანამ ისევ ცოცხალთა რიგებში ჩაეწერები.

ბაბუა ყვიროდა თავის ფრონტულ დამსახურებებზე, ორმოცი წლის მემახტის სტაჟი მაქვსო. მკაცრად იმუქრებოდა, ზემდგომ უფროსობასთან ვიჩივლებო. აკანკალებული ხელებით იწვდიდა მომვლელების მხარეს ორდენებისა და მედლების წყებას. შერეკილი! ვის რაში სჭირდებოდა მისი ჟღარუნები?

ურიკა მტკიცედ მიგორავდა ლიფტისაკენ. მომვლელები არ უსმენდნენ. თავის საქმეს აკეთებდნენ. ბაბუას ყვირილი ჩაწყნარდა, აღარ იმუქრებოდა. ჩასჭიდებოდა თავის ამოო სიცოცხლეს, ახლა მხოლოდ ითხოვდა. იხვეწებოდა «ოღონდაც დღეს არ ამიყვანოთ მესამე სართულზე, ერთი-ორი დღე მოიცადეთ, მალე შემიხორცდება ფეხი, სიარულს შევძლებო». ამოდ ცდილობდა მემახტე მომვლელებისთვის თავის შეცოდებას. მერე ატირდა. წუთით, მხოლოდ წუთით გაიხსენა, რომ ოდესღაც კაცი იყო. გადმოსწია ურიკიდან ხელი, ჩაებლაუჭა ლიფტის კარს. მაგრამ რას გახდებოდნენ მისი ბებერი ხელები ოთხი ღონიერი მომვლელის ძალასთან? ასე მტირალი და აკვნესებული შეაგდეს ლიფტში. გათავდა. იყო და არა იყო რა.

ჩვენს დაწესებულებაში მდგმურები სხვადასვა გზებით ხვდებოდნენ. ზოგი ნათესავებს მოჰყავდათ. ზოგიც, თავისუფალი ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლით დაღლილი, თვითონ მოდიოდა. მაგრამ ყველაზე თავდაჯერებულად და სხვებზე უკეთესად თავს ხანაგაში «ზეკები»? გრძნობდნენ. ყოფილი პატიმრები, მამალი მგლები, გარეთ რომ არც სახლი ჰქონდათ და არც ოჯახი, ჩვენთან პირდაპირ ციხიდან, ვადის მოხდის მერე ხვდებოდნენ.

ხმაური, დილიდან ყვირილია. მომვლელები დედას აგინებენ ხმელ, მკვირცხლ მოხუცს. სულ ტყუილად უყვირიან. მართლა არ უნდოდა საქმე მიემატებინა მათთვის. ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის. კარტს თამაშობდნენ პალატის მეზობლები, არაყს სვამდნენ. ვერ გავიგეთ, კარტი არ მოუვიდა, თუ მეზობელმა იემმაკა, ბაბუამ მოხუცს თავში ხელჯობი ისე ჩაარტყა, რომ სისხლით მოირწყო ოთახიც, ტუალეტიც, სადაც კარტის მოთამაშე გაემურა და დერეფანიც, პალატიდან ტუალეტამდე. არ უნდოდა იატაკის დასვრა, არ უნდოდა. უნებურად მოუვიდა ასე.

მოხუცმა ინტერნატში მოსვლისთანავე ჩვეულებრივ ალუმინის ხელჯობში ტყვია ჩაასხა. ციხეში ცხოვრების ოცდაათწლიანმა სტაჟმა თავდაცვაზე ზრუნვა ასწავლა. კარგი, მძიმე ხელჯობი ჩხუბში არ აწყენს. უყვარდა თავისი იარაღი. მოსწონდა, ხელთ რომ ჰქონდა პირადი ხელშეუხებლობის სრული გარანტია. დასვრილი იატაკის გამო კი გულწრფელად იხდიდა ბოდიშს. აპატიეს, მაგრამ თავი დაიზღვიეს და ცალკე პალატაში გადაიყვანეს.

დილაუთენია მომვლელებმა ისევ ატეხეს ხმაური. ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. დიდი არაფერი. ზეკ ბაბუას ინსულტი მოუვიდა. სერიოზული რამეა ინსულტი. გაიღვიძა მოხუცმა და მარჯვენა მხარე დაზიანებულ ტვინს აღარ ემორჩილება. მარჯვენა ხელი მოწყვეტილივით ეკიდა, მარჯვენა ფეხი დამძიმებოდა და გაშემებოდა. ნახევარ სახეზე ღიმილი შერჩენოდა და საშინელი განაჩენი – მესამე სართული. დარბის ფუსფუსა დიასახლისი, განკარგულებებს გასცემს. მომვლელებმა უკვე ისაუბრეს, მხიარულად, აუჩქარებლად მიდიან უფროსობის ბრძანების აღსასრულებლად. რა ეჩქარებათ – სად გაიქცევა ბაბუა.

მაგრამ ბაბუა ჯერ არ აპირებდა გაღმა გასვლას. ჯერ კიდევ უნდოდა ეყურებინა მზისათვის, არც თავისი წილი არაყი დაელია ბოლომდე. მძიმე ხვნეშით აიღო მარცხენა ხელში ხელჯობი. იწვა, ელოდა.

შევიდნენ მომვლელები. გაოგნებულები შეჰყურებდნენ ხელჯობადმართულ მოხუცს.

ზეკმა უშიშრად შეხედა შემოსულებს. გონზე მოსასვლელი დრო არ მიუცია. პირდაპირ დაიწყო. ალყაში მოქცეული მხეცის მზერა ჰქონდა. მძიმე ჯობიანი ხელი არ უკანკალებდა.

– რა იყო, უნდა წამიყვანოთ, ძაღლებო? აბა ერთი, მოდით, მომეკარეთ. პირველი შენ იქნები? თუ შენ? თავს გაგიხეთქავ, პირობას გაძლევ. არ მოგკლავ, მაგრამ დაგასახიჩრებ!

მტკიცედ უყურებდა, პირდაპირ. ხვდებოდა კაცი, ცუდად იყო საქმე. რა უნდა ექნა დამბლადაცემულს ოთხი ჯანიანი სოფლელი დედაკაცისათვის? ერთად დაეცემოდნენ, წაართმევდნენ ჯობს. მაგრამ არავის არ უნდოდა, პირველი ყოფილიყო. ეშინოდათ დასახიჩრების, ხელჯობისა ეშინოდათ. რეციდივისტია, ისე დაგვარტყამს, წარბს არ შეიხრისო – ფიქრობდნენ.



აღარ უყოყმანიათ ქალებს, ყველა ერთად გამოვიდა გარეთ. დიასახლისი დერეფანში დარბოდა, უყვიროდა, ეხვეწებოდა – სულ ამაოდ. ურჩიეს, შენ თვითონ შედი ზეკთან და გამოართვი ჯოხიო.

გამწარებულმა დიასახლისმა უბნის ინსპექტორი გამოიძახა.

უბნის ინსპექტორი მალევე მოვიდა, სერიოზული მამაკაცი გახლდათ, პენსიას რამდენიმე წელიდა უკლდა. მეომრულად გამართულს, ბუდეში პისტოლეტი ედო.

შევიდა ზეკთან ოთახში. დახედა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევს. ლოგინში ჩამომხმარი მოხუცებული იწვა და რატომღაც ხელში ჯოხი ეჭირა.

– რატომ არღვევ საზოგადოებრივ წესრიგს?

– რას ამბობთ, უფროსო, რას ვარღვევ? ვერა ხედავთ, როგორ დავიკრუნჩხე?

მილიციელი ავადმყოფისაკენ დაიხარა, ზეწარი გადახადა.

– ექიმი გამოიძახეთ?

– ექთანი იყო, ნემსი გამიკეთა.

– ჩემგან რაღა უნდათ?

– თქვენ მარტო ჯოხი გამოართვით, დანარჩენი ჩვენ ვიცით, – ჩაეკვება საუბარში დიასახლისი.

– გაბრძანდით, მოქალაქე, ნუ გვიშლით ხელს გამოძიებაში, დაუცაცხანა მილიციელმა. დახურა კარი, სკამი საწოლთან მიიდგა. დაჯდა.

ძაღლები არ მძვინვარებენ ისე ზონაში, როგორც ეგენი აქ, – მოჰყვა თავის მართლებას ზეკი. მესამე სართულზე უნდათ ჩემი გადაყვანა, იქ მომაკვდავების განყოფილება აქვთ.

– რატომ?

– რას გაუგებ? ქალები...

– ქალები... – ჩაფიქრდა უბნის ინსპექტორი – არ მესმის მაგათი.

დადუმდნენ.

უბნის ინსპექტორი ადგა, გავიდა ოთახიდან.

– ასე, მოქალაქეებო. თქვენს სამეურვეოსთან ჩატარებულია აღმზრდელობითი საუბარი. პირობა დადო, რომ გამოსწორდება და საზოგადოებრივ წესრიგს აღარ დაარღვევს. თუ რაიმეს სერიოზულს ჩაიდენს, ეჭვი არ შეგეპაროთ, მაშინვე მოვალთ, აქტს შევადგენთ და კანონის მთელი სიმკაცრით დავსჯით.

ქუდი გაისწორა, ავად შეხედა თეთხალათიან დეიდებს და გასასვლელისაკენ გაემართა.

ბაბუა კი მომჯობინდა ინსულტის მერე. გულჩვილი ექთნის ნემსებმა უშველა თუ სიცოცხლის დაუცხრომელმა წყურვილმა დააბრუნა იმ ქვეყნიდან, ნელ-ნელა ჯერ წამოჯდა, მერე ფეხზეც წამოდგა. დადიოდა ინტერნატში, მიითრევდა დამბლადაცემულ ფეხს, მტკიცედ ეჭირა ხელჯოხი მარცხენა ხელში. კარგი ხელჯოხი ჰქონდა, მძიმე, შესანიშნავი ნივთი, საიმედო.

## ცოდვილი

მოხუცთა თავშესაფარი. ღამეს დღე ცვლის, დღეს – ღამე, გადის დღეები, თვეები, იცვლება წელიწადის დროები, მაგრამ არაფერი არ ხდება, არაფერი არ იცვლება, არაფერი არ გაოცებს. იგივე სახეები, იგივე საუბრები. მხოლოდ ხანდახან, ათასში ერთხელ კარგად

ნაცნობი რეალობა შეირხევა, აჯანყდება და რაღაც უჩვეულოს გადმოგვიგდებს ხოლმე, რაღაც ისეთს, რაც ვერა და ვერ თავსდება მოსაწყენი და ერთფეროვანი ყოფის მდინარებაში.

ინტერნატში ის ოდითგან ცხოვრობდა, მგონი დაარსების დღიდანაც. ჩუმი და მორიდებული. პატარა ადამიანი დიდ და სასტიკ სამყაროში. პატარა ქალი. ხუთი წლის ბავშვის სიმაღლისა იყო, საცოდავი ხელ-ფეხი სუსტი სახსრებით ისე ჰქონდა აწყობილი, რომ სიარული არ შეეძლო. პატარა, დაბალ ბურთულებიან ურიკაზე იწვა ხოლმე, პირქვე. ფეხებს იატაკსა სცემდა და ისე გადაადგილდებოდა.

ეს ქალი სარიტუალო მომსახურების სახელოსნოში მუშაობდა. ასეთი რამეც არსებობდა ჩვენს სევდის სახლში. კუბოების მოსართავეებს, ხელოვნური ყვავილების გვირგვინებსა და სხვა სამგლოვიარო ზიზილ-პიპილებს ჩვენი პატარა ქალაქის თითქმის ყველა მიცვალებულისთვის ინტერნატელი ბებიები აკეთებდნენ. გვირგვინების შეკვეთა სასაფლაოს სახელოსნოშიც შეიძლებოდა, მაგრამ საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ იქ ძვირი ღირდა, თან ჰაიჰარად აკეთებდნენ და ასეთი დელიკატური და მნიშვნელოვანი საგნების მიმართ სათანადო მოწიწებასა და რიდს არ იჩენდნენ. ის წლიდან წლამდე სათუთად ამზადებდა ფერადი ქალაღდის ყვავილების ხვეულებს, წნავდა მიცვალებულების გვირგვინებს და ასე ზრუნავდა მკვდრებზე.

არავინ არ აწუხებდა საბრალოს. ინტერნატის თანამშრომლები ვერც ამჩნევდნენ მის ნელა მლოღავ ურიკას. სხვისი დახმარება არ სჭირდებოდა, ტუალეტამდე და სასადილომდე თვითონვე მიდიოდა. მძვინვარე ლოთები, ყველა თავშესაფრელი შიშისა და ტერორის ქვეშ რომ ჰყავდათ, ვერ ბედავდნენ შეხებოდნენ მას – დაუცველსა და უძწეოს.

ასე ცხოვრობდა. დღისით მკვდრებისთვის ყვავილებს აკეთებდა. ღამღამობით ან მაქმანებიან ხელსახოცებს ქსოვდა, ან ქარგავდა. დღეები გადიოდა. გადიოდა წლებიც. არა უშავდა რა, თანდათანობით მოარგო ისედაც პატარა ოთახი თავის მოცუცქულ ზომებს. იატაკზე მატრასი ეგო, დაბალი მაგიდა და თოჯინის სკამი ედგა. სულ მაქმანიანი ხელსახოცებით, ღამაზად მოქარგული ბალიშებით ჰქონდა მორთული ოთახი.

დიდხანს იცოცხლა, მეტისმეტად დიდხანს. ორმოცსაც კარგა გადააბიჯა. ერთ-ერთ მორიგ სხდომაზე ინტერნატის უფროსობამ მისი მესამე სართულზე გადასახლება გადაწყვიტა. ჩვეულებრივი გეგმური ღონისძიება იყო. ვერაფერს იზამ, ასეთ რამეებს კარგად ორგანიზებული დაწესებულების მექანიზმი მოითხოვდა. იქ კი, მესამე სართულზე, მას დიდ, ჩვეულებრივ საწოლზე დააწვენდნენ სამ მიხრწნილ უძწეოსთან ერთად. მარტოდმარტო დააგდებდნენ გაწელილი და მდორე სიკვდილის პირისპირ, წაართმევენ ერთადერთ მონაპოვარს – თავისუფლად გადაადგილების, თავისი თავის მოვლის უფლებას.

უხმაუროდ ჩაიარა მისმა სიცოცხლემ. არასდროს, არასდროს არაფერი უთხოვია უფროსებისათვის. და, უცებ, დირექტორთან ჩაეწერა მიღებაზე. საათობით იდგა რიგში, მერე შიგნით, კაბინეტში ტირილით იხვეწებოდა, მიეცათ უფლება სიცოცხლე ჩვეულ გარემოში დაესრულებინა. ყოველთვის უსმენდნენ და ყოველთვის უარით ისტუმრებდნენ. მერე რიგიდანაც აგდებდნენ.

გამოსახლების თარიღის წინა ღამით კარის სახელურზე ჩამოიხრჩო თავი.

ცოდვილი. ოფიცერი

მოხუცებულთა სახლში ახალი მოიყვანეს. ჩასკვნილი, უფეხებო მამაკაცი, დაბალ ურიკაზე იჯდა. თავდაჯერებით მიმოიხედა და ნელ-ნელა შემოვიდა შენობაში. უცებ

გაერკვა, ახსნა-განმარტებების გარეშე. აუჩქარებლად შემოიარა ჩვენი სამსართულიანი სახლი. ოთახ-ოთახ დადიოდა. სასადილოდან დაიწყო. სადილის დრო იყო. ნახა, რა უნდა ექმიათ, მწარედ ჩაიცინა, არ უჭამია. ლიფტით ავიდა მესამე სართულზე – მომკვდავთა განყოფილებაში. უშიშრად, ძრწოლის გარეშე იხედებოდა თითოეულ ოთახში, ცხვირზე ხელს არ იჭერდა ზიზღით, თვალებში უყურებდა სინამდვილეს. ნახა გაუნძრევლად მწოლიარე უძწეო მოხუცები, გაიგონა კვნესა და ყვირილი. საღამოთი დაბრუნდა მისთვის განკუთვნილ ოთახში.

კარგი ოთახი იყო მეორე სართულზე. ერთ მეზობელთან ინაწილებდა. კარებზე ლამაზი დაფა ეკიდა წარწერით – «აქ ცხოვრობს დიდი სამამაულო ომის ვეტერანი». ცხოვრების ნორმალური პირობებია. დღეში სამჯერ სასადილოში შესვლა შეიძლება, ჭამა იმისა, რაც არის, საღამოობით სხვებთან ერთად ტელევიზორის ყურება. კუთვნილი პენსიის ნაწილი ხანში შესული კაცის მოკრძალებულ მოთხოვნებს ნამდვილად ეყოფა – სიგარეტს, ჩაის, ნამცხვარს. თუ მოუნდება, ვერავინ და ვერაფერი დაუშლის არცის ყიდვასა და მეზობელთან ერთად დაღევას. წარსულის მოგონებას, იმის გახსენებას, როგორ იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ, მუდამ იმარჯვებდნენ. მანამდე გაიძლება, სანამ ხელებში იმის ძალა ექნება, ურიკა ტუალეტამდე მიაგოროს, კოვზი დაიჭიროს, სანამ სიცოცხლე ეყოფა, ყოველდღიურად იბრძოლოს იმ უფლებისათვის, რომ ადამიანად იგრძნოს თავი.

იმ საღამოს არაყი არ ჰქონიათ. მეზობელი გულლიად შეხვდა. უკვე შეჰგუებოდა თავშესაფრის ცხოვრებას. წყნარი მოხუცი მთელი საღამო და ნახევარი ღამე უსმენდა ახლის მონათხრობს. უფეხო მკაფიო, მეთაურის ხმით დაწვრილებით ყვებოდა თავის ცხოვრებაზე. მაგრამ საიდანაც არ უნდა დაეწყო, ერთით ამთავრებდა – ომის დროს შორეული დაზვერვის ოფიცერი ყოფილა.

შორეული დაზვერვის ოფიცრები შემოწმებული, მამაცი მეომრები იყვნენ. საუკეთესოთა შორის საუკეთესოები. ელიტა. დანადმული ადგილებიდან სწორედ ისინი შედიოდნენ მტრის ტერიტორიაზე, ღრმა ზურგში. ყველა არ ბრუნდებოდა. ის, ვინც ბრუნდებოდა ისევ და ისევ შედოდა მტრის ზურგში. ომი ომია. არ გაურბოდნენ სიკვდილს. მიდიოდნენ დავალებების შესასრულებლად, აკეთებდნენ, რაც ნაბრძანები ჰქონდათ. სიკვდილი ნამდვილად არ არის ყველაზე უარესი, რაც შეიძლება კაცს ომის დროს შეემთხვეს. ტყვედ ჩავარდნისა ეშინოდათ – სირცხვილისა, დამცირებისა, უძწეობისა. ტყვეები და დაჭრილები შორეულ დაზვერვაში არ ჰყავდათ. ინსტრუქციის მიხედვით, თავში ტყვია უნდა ეხალა იმას, ვინც ჯგუფის გადაადგილებას აფერხებდა. სწორი ინსტრუქციაა. ერთის სიკვდილი სჯობია ყველასას. ერთი თავს იკლავდა, სხვები გზას აგრძელებდნენ – დავალების შესასრულებლად, მტრის გასანადგურებლად. შურის საძიებლად ქვეყნისათვის, დაღუპული მეგობრებისათვის, იმისთვისაც, ვინც საკუთარი ნებით დატოვა ეს ქვეყანა საერთო საქმის გამო. თუ ჭრილობა იმდენად მძიმე იყო, რომ ჯარისკაცს თავის მოკვლა არ შეეძლო, გვერდით ყოველთვის ჰყავდა მეგობარი, რომელიც იძულებული იქნებოდა, დახმარებოდა. ნამდვილი მეგობარი, მოლაყბე და თანამესუფრე კი არა, არც უბრალო სადარბაზოს მეზობელი. ის, ვინც არ გიღალატებს, ვინც უკანასკნელ ლუკმასაც გაგიყოფს და ბოლოსწინა ტყვიასაც.

ოფიცერი სულ ყვებოდა და ყვებოდა. იმაზე, როგორ აფეთქდა ნადმზე, როგორ სთხოვა მეგობარს, მესროლეო. – უბედური შემთხვევა საზღვართან ახლოს მოხდა, ღრმა ზურგში არ იყვნენ – მეგობარმა თავისიანებამდე, ათობით კილომეტრზე ათრია, როგორ ეშინოდა მთელი ცხოვრება ვინმეს არ დასწოლოდა ტვირთად. არტელში მუშაობდა, რბილ სათამაშოებს კერავდა. ცოლი შეირთო, შვილები გაზარდა, კარგი შვილები ჰყავს, მაგრამ ეგ არის – აღარ სჭირდებათ უფეხო მოხუცი.

გამთენიისას ოფიცერმა ყელი გამოიღაძრა ჯიბის დანით. დიდხანს მოუნდა. დანა პატარა და ბლაგვი იყო. და მის მეზობელ ბედოვლათ მოხუცს არაფერი არ გაუგია, არც კვენესა, არც ხმა.

მოკვდა შორეული დაზვერვის ოფიცერი. სწორად მოკვდა, წესდების მიხედვით. ოღონდ მეგობარი არა ჰყავდა გვერდით, ნამდვილი მეგობარი, ვინც მასთან ერთად მოწევდა ბოლო სიგარეტს, იარაღს მიაწოდებდა და უსიტყვოდ გადგებოდა განზე, ხელს არ შეუშლიდა. არ ჰყავდა მეგობარი გვერდით, არა. საწყენია.

## დამპურებელი

ბებიები გაზაფხულობით კვდებოდნენ. არა, ისე წელიწადის ყველა დროსაც იხოცებოდნენ, მაგრამ უმეტესობას გაზაფხულზე ამოსდიოდა სული. გაზაფხულობით პალატები თბებოდა, კარ-ფანჯარას ალებდნენ. თავშესაფრის აშმორებულ სუნს სუფთა ჰაერი ერეოდა, ცხოვრება გაზაფხულობით მართლა უმჯობესდებოდა, მაგრამ ბებიები თითქოს მხოლოდ იმიტომ ებლაუჭებოდნენ სიცოცხლეს მთელი ზამთარი, თითქოს მხოლოდ იმიტომ ელოდებოდნენ გაზაფხულს, რომ მოდუნებულიყვნენ, მოშვებულიყვნენ და მშვიდად დაეღიათ სული. ბაბუები ინტერნატში გაცილებით ცოტანი იყვნენ და მათი სიკვდილი წელიწადის დროთა ცვლას არ უკავშირდებოდა. გაზაფხულამდე გაძლებას სულაც არ ცდილობდნენ და, თუკი ცხოვრება ვეღარ ანებივრებდა მათ ერთი ბოთლი არყითა და ცოტაოდენი მისაყოლებლით, ბაბუები ყოველგვარი წინააღმდეგობისა და ბრძოლის გარეშე მშვიდობიანად ნებდებოდნენ სიკვდილს.

ინტერნატის ეზოში ვზივარ. მარტო. არა ვარ მოწყენილი. სულაც არა. გაზაფხულს ვაკვირდები. ახალგაზრდა ვარ და მჯერა, კიდევ ბევრ გაზაფხულს მოვესწრები. ჩემთვის გაზაფხულს ნამდვილად არა აქვს ისეთი საბედისწერო მნიშვნელობა, როგორც მოხუცებისთვის.

კარებში ვიღაც მოჩანს, მიხრწნილი ბებია მოდის, სკამის საზურგეს ეყდნობა. ჯერ სხეულს ისვრის წინ, მკვეთრი მოძრაობით მთელი ტანის სიმძიმე ფეხებზე გადააქვს, ხელებით ცოტათი აჩოჩებს სკამს, ისევ მძიმედ ეყრდნობა ზედ და ფეხებსაც მოიყოლებს, ძლივს მოდის, ათვალეერებს ეზოს, იქ ჩემს მეტი არავინაა და ისიც ჯიუტად მოიწევს ჩემკენ. კიდევ ერთი მოსაუბრე, კიდევ ერთი ამბავი.

მიახლოვდება, სკამს ჩემი ეტლის წინ დგამს, ნელა, მძიმედ ჯდება.

ომის დროს სულ კოლმეურნეობაში მუშაობდა. შეუსვენებლად, დილიდან დაღამებამდე. ფულს არ უხდიდნენ, რის ფული, სად იყო ფული. მიზანი ყველას ერთი ჰქონდა – ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის. შრომადღებზე ბურღულს აძლევდნენ, ბურღულისაგან ფაფას ხარშავდნენ, მარტო ფაფას, სხვას არაფერს, პურიც კი არა ჰქონდათ. ომი რომ დამთავრდა, ცოტა შვება იგრძნო, გაიოლდა ცხოვრება. ქმარი ფრონტიდან ცოცხალი და უვნებელი დაუბრუნდა. ქალაქში წამოვიდნენ. კაცი შოფრობდა, თვითონ სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა. ქმარი ქალაქში გალოთდა და მალევე მოკვდა. ქალი ქალაქში ცხოვრების წლებს მაინც ისე იხსენებდა, როგორც საუკეთესოს. დღეში რვა საათს მუშაობდა, მერე თავისუფალი იყო. ფაბრიკაშივე სადილობდა – პირველი, მეორე და კომპოტი. სადილის მერე მთელი ფაბრიკა მშენებლობაზე გადიოდა საძირკვლების სათხრელად, უფასოდ და ნებაყოფლობით. ამას «კომკავშირული მოწოდება» ერქვა. სიამაყით ჩამოთვალა ის მშენებლობები, სადაც

უთხრია. გვიანობამდე თხრიდნენ თურმე, ზამთარშიც, პროექტორების შუქზე. მუშაობდნენ ხალისით, შემართებით. ღამითღა ბრუნდებოდა შინ, ჩაილუკმებდა და დალოგინზე მიეგდებოდა. დილით – ისევ ფაბრიკა. კვირაობით – კინო. მშვენივრად ცხოვრობდა.

სამოცი წლისა პენსიაზე გავიდა. მხედველობა გაუფუჭდა, აღარ უვარგოდა სამკერვალო ფაბრიკისთვის. ექვს თვეში ინსულტმა ჩააგდო. მეზობლებმა მოიყვანეს მოხუცთა თავშესაფარში. იფიქრა, ალბათ უკვე მორჩაო, მაგრამ პალატის მეზობელმა წყალი ითხოვა, ნელ-ნელა წამოდგა, მიეხმარა, მეზობელსაც დააღვინა, თვითონაც დალია. თითქოს უკეთესად იგრძნო თავი. დაათვალიერა თავშესაფარი, გაიძლებოდა. ჭერი ეთქმოდა. საჭმელიც თითქოს იყო, მაგრამ ესაა – გაიძლებოდა მანამ, სანამ ფეხზე იდექი. თუ ლოგინად ჩავარდებოდი, არავინ მოგხედავდა, დაგიდგამდნენ ტუმბაზე ფაფიან თეფშს და უნდა გაგეძლო, როგორც გინდოდა. გეყვირა, რამდენიც გაგიხარდებოდა, მაინც არავინ მოგაკითხავდა. შეშინდა. ხელები მუშაობას ჰქონდა შეჩვეული – საქმეს ითხოვდნენ. დადიოდა ოთახებში, ხელით აჭმევდა დავრდომილებს. საუზმიდან იწყებდა ყოველდღიურ შემოვლას. მორჩებოდა საუზმეს და მალევე სადილის დრო დგებოდა, მერე – ვახშმის. ასე გადიოდა დღეები. ყველას დაპურებას ვერც ასწრებდა, გადაწყვიტა, ყველაზე უძლურებისთვის, ყველაზე უმწიფოებისთვის ექმია. ვისაც პურის ხელში დაჭერა შეეძლო, იმათ კიდე რა უშავდათ, აძლევდა პურს და, პურით ხელში უკვე აღარ მოკვდები.

პალატებში სიმყრალის, ხრწნისა და სიკვდილის სუნი იდგა. ბებიები ხშირად ქოთანს ითხოვდნენ, ზოგიერთი – თეთრეულის გამოცვლას. ქოთანს უფრო ხშირად ითხოვდნენ, ვიდრე წყალს, ვიდრე საჭმელს. ამაზე არ თანხმდებოდა, ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა, მხოლოდ ექმია.

შეიხედავდა ოთახში, იკითხავდა, ვინმეს ხომ არ გაჭამოთო. ამ უწყინარ კითხვაზე ნაირნაირად რეაგირებდნენ. ზოგი ამაყად და ცივად ეუბნებოდა, ჩვენთან ყველა მოსიარულეაო, ზოგი უყვიროდა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა. მისი გამოჩენა ავის მომასწავებლად ითვლებოდა. ფიქრობდნენ, მოვიდა დამპურებელი – სიკვდილს მოიყოლებსო. არ სწყინდა, გზას მაინც აგრძელებდა. გადადიოდა ერთი ოთახიდან მეორეში.

ყველაზე უარესები ისინი იყვნენ, ვისაც მართლა სჭირდებოდა დახმარება. ისინი, სანამ შეეძლოთ და თვითონ უვლიდნენ თავს, ლანძღავდნენ და აგინებდნენ, ახლა კი, უსასოობაში ჩავარდნილნი, ყველაზე ხმამაღლა ეძახდნენ, ევედრებოდნენ ექმია, ბრაზობდნენ, თუსადილს უგვიანებდა. ჩქარ-ჩქარა, ხარბად ყლაპავდნენ საჭმელს, თან თვალი თეფშზე ეჭირათ, ლუკმა არ მიეტაცებინა დამპურებელს, ხელი არ წასცდენოდა. ისინი დიდხნობით იწვნენ, შარდსა და განავალში, ეხრწნებოდათ ნაწოლები და წყლულები, მაგრამ წლობით ცოცხლობდნენ. აზრი დაკარგული ჰქონდათ, ვეღარ ცნობდნენ თავიანთ დამპურებელს, მაგრამ ჯიუტად აღებდნენ პირს თითოეული კოვზი ფაფის ჩასანთქმელად, ხარბად ყლაპავდნენ საჭმელს, თან უაზრო მზერით მისჩერებოდნენ სიცარიელეს.

დაბინდდა. ვერც გავიგეთ, ისე გავიდა ნახევარი დღე.

– რამდენი წელია, ბებია, რაც ასე აჭმევთ ადამიანებს?

– ოცდათორმეტი. აღდგომას ოცდაცამეტი გახდება. ყველაფერი დათვლილი მაქვს, ყველაფერი.

– თქვენ ხომ გმირი ხართ, ნამდვილი გმირი, ოცდაცამეტი წელია უანგაროდ ემსახურებით უმწიფოებს!

– უანგაროდ?!

ბებია მ უხმოდ, ჩუმად ჩაიცინა, ჩქარ-ჩქარა, სამჯერ გადაიწერა პირჯვარი, რაღაც ლოცვაც ჩაიბუტბუტა.

– მაინც რა უჭკუოები ხართ ახალგაზრდები! არაფერიც არ გესმით, არც სიცოცხლისა, არც სიკვდილისა.

მკაცრად შემომხედა, პატარა, ბოროტი თვალებით ყურადღებით დამაკვირდა ხელებზე.

– თვითონ ჭამ?

– ჰო.

ამოიოხრა. ეტყობოდა, ძალიან უნდოდა, ვინმესთვის გაენდო თავისი საიდუმლო.

თვალებში აღარ მიყურებდა, ჩქარ-ჩქარა, ერთი ამოსუნთქვით მომიყვა, მკაფიოდ და ნათლად.

– შენ ამბობ, უანგაროდო, ჰო? კი, ხდებოდა, ფულსაც მთავაზობდნენ, ყველა უპატრონო ხომ არ არის, ჩამოდიოდნენ იმათი ნათესავები, მაჩჩებდნენ თავიანთ ბინძურ ფულს. მე არ ვიღებდი. თუ მოახერხებდნენ და ჩუმად ჩამიღებდნენ ჯიბეში, უკანასკნელ კაპიკამდე ყველაფერს მოხუცებს ვაძლევდი. მათთვის, ვინც აზრზე აღარ იყო, კამფეტებს ვყიდულობდი და ვაჭმევდი. არ ამიღია იმათგან ფული, არც იმათი მადლიერება მინდა. აღთქმა მაქვს დადებული. თავიდან მართლა სულელი ვიყავი და ვაჭმევდი. ერთხელაც, ოთახში შევედი, ერთი მოხუცისთვის უნდა მეჭმია, იმან კიდევ ქოთანი მთხოვა, ვუპასუხე, ამას არ ვაკეთებ, მარტო ვაჭმევ-მეთქი. ჰოდა, მაშინ მაჭამეო. პურის ლუკმა რომ ჩავუდე, დაღეჭა და პირდაპირ სახეში შემომაფურთხა. სულ ერთიანად დამთხვარა. მერე მომთხოვა, პირსახოცით ამიკარი ყბა, როცა მოვკვდები, არ ჩამომივარდესო. გამოაცხადა, აღარ შეეჭამო. მკაცრად მიყურებდა. მერე გადაბრუნდა. ყოველდღე მივდიოდი, იქნებ გადაიფიქროს-მეთქი. ორი კვირა იწვა და კვდებოდა. აი, მაშინ დავდე აღთქმა, ვისაც შევძლებ, ვაჭმევ-მეთქი. მერეც შემხვედრია, იყვნენ ისეთები, არ ჭამდნენ, მივეჩვიე, მაგრამ ის, პირველი სულ მახსოვს. მშვიდი სიკვდილი მინდა, შვილო, უტანჯველი, სუსტი ვარ, სადა მაქვს იმის ძალა, ლუკმა გადმოვაფურთხო. ვიწვე და ქვეშ გამდიოდეს, საშინელებაა! ძალიან შემეშინდა მაშინ. შენ კიდევ მეუბნები, უანგაროდო!

## საშვი

მოხუცებულთა სახლი. ეს არც საერთო საცხოვრებელია და არც საავადმყოფო. ბეტონის ფილების მტკიცე ღობე აკრავს, რკინის კარი აბია. სახლი ქალაქის განაპირასაა. გვერდით – სამართალდამრღვევთა საერთო რეჟიმის კოლონიაა. იქ გასაგებია, იქ შავები ჰყავთ, მავთულხლართების ღობეა. შავებს რა უჭირთ, მოიხდიან სასჯელს და თავისუფლები არიან. ჩვენ რისი იმედი უნდა გვქონდეს. დახურული ტიპის დაწესებულებაა. უცხო პირთათვის შემოსვლა აკრძალულია. მცხოვრებლებს დირექტორის წერილობითი თანხმობის გარეშე ჭიშკრის იქით გასვლის უფლება არა აქვთ. ჩვეულებრივი ქაღალდია, ბეჭდითა და ხელმოწერით. შემოსასვლელ კარს ფხიზლად სდარაჯობს ყოფილი მილიციელი მეზობელი ზონიდან. ორგანოებში სამუშაოდ უკვე აღარ ვარგა, ჩვენი ჭიშკრისათვის კი კიდევ გამოდგება. იჯექი შენთვის, კარი გაუღე უფროსობას. უბრალო სამუშაოა, შეჩვეული, პენსიასაც ემატება რაღაცა.

უფრო ჯანმრთელები და მარდები ღობეზე ძვრებოდნენ ან ხვრელებს თხრიდნენ. ჩვენთვის კი, ეტლიანი ინვალიდებისათვის, ეს უბედური ვახტიორი ნამდვილი ცერბერი გახლდათ.

ინვალიდმა ბიჭმა ტაქსი გამოიძახა. წინასწარ მოელაპარაკა მეგობრებს, რომ მანქანაში ჩაესვათ. სამი დღით ადრე აიღო საშვი. ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, ყველაფერი დაგეგმილი – აქ მანქანაში ჩასვამენ, იქ – შეხვდებიან. ის უკვე მანქანაშია, დაკეცილი ეტლი საბარგულში უდევს.

მოვიდნენ ჭიშკართან. მძღოლმა დაასიგნალა. ვახტიორის ჯიხურიდან აუჩქარებლად გამოვიდა დაბალი მოხუცი ბოროტი თვალების ცეცებით. – ვინაა მანქანაში? მძღოლმა შეკითხვა ვერ გაიგო.

– კაცი.

– საშვი აქვს?

დაბნეული მძღოლი ინვალიდს ქაღალდს ართმევს, ვახტიორს აწვდის. ისიც გაწაფული თვლით ყურადღებით სწავლობს საბუთს.

– ყველაფერი რიგზეა, გავიდეს. ვიცანი, ხშირად ვხედავდი ჭიშკართან. მაგრამ ამას წინათ ეტლით იყო და საშვი არა ჰქონდა.

– ახლა ხომ აქვს საშვი? გაგვიღე ჭიშკარი.

– ვერ გამიგეთ. აქ წერია: « ინტერნატიდან გასასვლელი საშვი». ეს საბუთია. მე ზუსტად უნდა დავიცვა. თუ გასვლა უნდა, გავიდეს, თუ არა, აქ იყოს. მანქანით ის ტერიტორიას არ დატოვებს.

მძღოლი გაღიზიანდა. ხანშიშესული კაცია, არ არის მიჩვეული წაგებას. მას მანქანა ინტერნატის კორპუსთან მიჰყავს. შიგნით შედის. დირექტორთან ნახევარსაათიანი ახსნა-განმარტებების შემდეგ ხელში ისევ ის საშვი უჭირავს, ოღონდ უკვე მინდორზე მელნით არის მინაწერი «მანქანით გავიდეს». კუთხეში დაწესებულების ბეჭედიც აზის. უხარია ინვალიდს. როგორც ჩანს, დირექტორი იმ დღეს კარგ ხასიათზე იყო. ინსტრუქციის მიხედვით საშვი უნდა გაეუქმებინათ, განცხადება დაეწერათ ახლის გაცემის თაობაზე და რამდენიმე დღე დაეცადათ ასეთი რთული საკითხის გადაჭრამდე. მანქანა მეორედ მიდის ჭიშკართან. ვახტიორი ყურადღებით ათვალიერებს შესწორებულ დოკუმენტს. ტაქსის მძღოლს უბრუნებს და უგუნებოდ მიდის ჭიშკრის გასაღებად.

რამდენიმე წუთს მდუმარედ მიდიან. უცებ მძღოლი მანქანას აჩერებს. ხელებით მტკიცედ ეჭიდება საჭეს, ოხრავს. მეზავრს არ უყურებს, დამაბული, თითქმის გაბრაზებული თითქოს პირდაპირ ჰაერს ეუბნება.

– იცი, ბიჭო, არ გეწყინოს და შენგან ფულს არ ავიღებ. იმიტომ არა, ინვალიდი რომ ხარ. ახალგაზრდობაში სამი წელი ვიჯექი, მთელი სიცოცხლეა, მახსოვს. იმის მერე ძაღლებს ვერ ვიტან.

მრიცხველს რთავს. გაზს აწვება. მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქრის. შორს მოხუცთა თავშესაფრიდან, ზონიდან, სამაგელი ვახტიორისაგან. კარგია. თავისუფლება.

## სულელი

ავტობუსის გაჩერება. მე და ჩემი ცოლი სადღაც მივდივართ. ავტობუსს ველოდებით. ბოლოს ავტობუსიც მოდის, საჭესთან ახალგაზრდა კაცი ზის შავი, მოდური სათვალით. ალას ხელში ავყავარ, მარჯვენა ფეხს საფეხურზე დგამს და სიმძიმე ზედ გადააქვს. უცებ მძღოლი, თან გვიღიმის და თან მანქანას ძრავს ადგილიდან. მკვეთრი

დარტყმა ალას უკან ისვრის. ის როგორღაც ახერხებს და ჯდება, თან ხელში ვუჭერივარ. არ ეცემა, ძიუდოში ვარჯიშს უქმად არ ჩაუვლია. დგება და ისევ ეტლში მსვამს.

გაჩერებაზე ვიღაც მთვრალი კაცი სიცილს ვერ იკავებს. დიდხანს და გულიანად იცინის. მერე ჩვენთან მოდის. ალა იქით გადის, არ ესმის, როგორ შემძლია ასეთ ხალხთან ლაპარაკი.

– სულელია – მეუბნება, – სულელი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ აი, შენ ეს ეტლი გაქვს, მზეს უყურებ, ამ ჩიტებს ასფალტზე, ეგ კიდე ავარიას როგორ გადაურჩება, არავინ არ იცის. პროფესია ხომ საშიში აქვს.

მე, როგორც იქნა, ვიგებ. ვიღიმები. მართლაც სულელია.

## პლასტილინი

ადვილია მამას გამოძერწვა. უფრო ადვილი, ვიდრე სოკოსი. პლასტილინის ორი მრგვალი ბურთი უნდა გააბრტყელო.

\* \* \*

როცა პატარა ვიყავი, პლასტილინისგან ვძერწავდით. მსუქანმა აღმზრდელმა ყველას პლასტილინის ორ-ორი ნაჭერი დაგვირიგა. ერთი ნაჭრისაგან მოგრძო მილი უნდა გამოგვეძერწა, მეორე თხელი ბლინივით გაგვებრტყელებინა. მილს და ბლინს თუ შეაერთებდი, სოკო გამოდიოდა. ადვილი დავალება იყო უკვე წამოზრდილი პატარებისათვის.

ხელს ვადებ პლასტილინს. ერთ ნაჭერს მეორეს ვაცლი. ვცდილობ, მაგიდაზე გავაბრტყელო. უშედეგოდ. ვაგორავებ პლასტილინს მაგიდაზე, არც თხელდება და არც სქელდება. მეორეს ვიღებ – შედეგი იგივეა.

სხვა ბავშვები ასე თუ ისე უმკლავდებიან. ზოგს ლამაზი და სწორი სოკო გამოსდის, სხვებს – პატარა და მოგრეხილი. აღმზრდელი ყველასთან მიდის, ყველას რაღაცას ურჩევს, ზოგ სოკოს ქუდს უსწორებს, ზოგს – ფეხს. აღმზრდელი ჩემთანაც მოდის.

– აბა, რა გამოგივიდა? – ალერსით მეკითხება.

მე მრგვალს მრგვალზე ვადებ. ვფიქრობ, კონსტრუქცია ახლა ცოტათი მაინც წააგავს სოკოს

– და მერე, ეს რა არის? ეს რა გამოგიძერწავს?

აღმზრდელი ჩემს პლასტილინს იღებს. ჯანმრთელი თითების სწრაფი, დახვეწილი მოძრაობებით ზელს პლასტილინს.

– ახლა ხომ გაიგე, როგორც უნდა?

თავს ვუქნევ, გავიგე.

– ახლა კი, ბავშვებო, ვნახოთ, ვინ გააკეთა ყველაზე ლამაზი სოკო. ყველაზე ლამაზი სოკო რუბენმა გააკეთა.

მე მაგიდას ვავლებ თვალს. სოკო, რომელიც ჩემ წინ დევს, მართლაც ყველაზე გამართული და სწორია. ჩემთვის სულ ერთია, ეს ჩემი სოკო არ არის.



\* \* \*

ჩემი გოგონა მამას ძერწავს. მამას გამოძერწვა ადვილია. უფრო ადვილი, ვიდრე სოკოსი. პლასტილინის ორი მრგვალი ბურთი უნდა გააბრტყელო. ორი ერთნაირი წრე, ინვალიდის ეტლის ორი ბორბალი.

\* \* \*

ახლა კი, ბავშვებო, ვნახოთ, ვინ გააკეთა ყველაზე ლამაზი სოკო.

არასდროს

არასდროს. საშიში სიტყვაა. ყველაზე საშიში, რასაც კი ადამიანის ენა იტყვის. არასდროს. ეს სიტყვა მხოლოდ სიკვდილს თუ მიედრება. სიკვდილია ერთი დიდი «არასდროს», სამარადჟამო «არასდროს». სიკვდილი ყველა იმედსა და შესაძლებლობას ერთად გვართმევს. არავითარი «ეგებ « ან «იქნებ» – არასდროს.

მე არასდროს არ ავალ ევერესტზე. არ მომიწევს ხანგრძლივი წვრთნა, არ მექნება სამედიცინო შემოწმებები, მგზავრობები, სასტუმროები. არ დავწყევლი ამინდს, მოლიპულ ბილიკებსა და დაკიდულ კალთებს. არ მექნება პატარ-პატარა მიზნები, დიდი და პატარა მთები, არაფერიც არ მექნება. შეიძლება, თუ გამიმართლა, თუ ძალიან გამიმართლა, ტიბეტი ვნახო. თუ ბედმა გამილიმა, მაშინ ვერტმფრენით პირველ ბანაკთან გადამიყვანენ. ჩემს პირველ და უკანასკნელ «არ შეიძლებასთან». ვნახავ მთებს, შეშლილ ალპინისტებს, დუელში რომ იწვევენ ბუნებასა და საკუთარ თავს. ისინი ხალისით და ცოტა შეცბუნებით მომიყვებიან, რა ხდებოდა იქ, ჩემი «არ შეიძლებას» მიღმა. ჩვენ კარგად გავუგებთ ერთმანეთს, მეც ხომ ისეთივე შეშლილი ვარ. ყველაფერი მშვენივრად იქნება. მაგრამ მწვერვალზე მე არასდროს არ ავალ.

მე არასდროს ჩავეშვები ბატისკაფით მარიანის ღრმულში. ვერ ვნახავ, რა სილამაზეა იქ, ზღვის ფსკერზე. ერთადერთი, რაც დამრჩენია, ვიდეოფილმებია, ვიღაცის შეუპოვრობისა და გმირობის დოკუმენტური დადასტურება.

კოსმოსშიც არ წამიყვანენ. არ მინდა ვიწრო მეტალის ყუთში თავბრუსხვევისაგან ვარწყევდე. სულაც არ მინდა, მაგრამ საწყენია. ვიღაც ფრინავს იქ, ჩემ მალა, აი, ჩემთვის კი არ შეიძლება.

მე არასდროს არ გადავცურავ ლა-მანშს. არც ატლანტის ოკეანეს გადავლახავ ტივით. საჰარის აქლემები და ანტარქტიდის პინგვინები როგორმე გაიტანენ თავს ჩემი ყურადღების გარეშე.

მე ვერ შევძლებ ზღვაში თევზსაჭერი გემით გასვლას. ვერ ვნახავ მოცურავე ვეშაპს, მშვიდ, თავდაჯერებულს. თევზს პირდაპირ სახლში მომიტანენ, მომიტანენ საუკეთესო სახით – გადამუშავებულს და გამოსაყენებლად გამზადებულს. კონსერვები. სულ კონსერვები.

ელექტროეტლის ჯოისტიკს ვეხები. მაგიდასთან მივდივარ. კბილებით ვიჭერ პლასტმასის საწრუს და სირჩაში ვდებ. რა ვუყოთ, კონსერვები კონსერვებია. ნელა ვსვამ წითელ ღვინოს – შორეული არგენტინის დაკონსერვებულ მზეს. პულტის ღილაკით ვრთავ

ტელევიზორს. ხმას ვთიშავ. ერთ-ერთ არხზე ახალგაზრდული დღესასწაულის პირდაპირი ტრანსლიაცია მიდის. ფიგურები ტელევიზორში ბედნიერები არიან, მღერიან და ცეკვავენ.

კამერა ფართო პლანით გვიჩვენებს. ის საყურიანი ბიჭი, მოსვირინგებული სხეულით, – მჯერა, – ისიც ცდილობს გაექცეს თავის «არასდროს»-ს, მაგრამ ეს ჩემთვის რა შედეგია?

ძმაო

მეგობრებთან ერთად ქალაქის გარეუბნიდან ვბრუნდებოდი. ავტობუსები არ იყო, საშინელი სიცხე იდგა. გამომვლელ მანქანას ვერ გავყვებოდი. სამი ჯანმრთელი ბიჭი და ინვალიდი ეტლით, – აბა, ვინ ჩაგვისვამდა.

მოულოდნელად გაგვიმართლა – არმიის ავტობუსი გამოჩნდა. არჩევანი არა გვქონდა – როგორმე უნდა ავსულიყავით. ბიჭები ჩემს ეტლს სწევენ, ცდილობენ, მძღოლს მოელაპარაკონ. მძღოლი რაღაცას ამტკიცებს – «არ შეიძლებაო» და «წესდებაო».

ავტობუსის სიღრმიდან ყვირილით, «ძმაო», მძღოლთან სამხედრო მორბის უღვთოდ მთვრალია და ბრაზიანი. ისინი ცოტა ხანს კამათობენ და ჩვენ ვიძვრებით. ახალწვეულები ადგილებს გვითმობენ. მე მოუხერხებლად ვზივარ ვიწრო სკამზე. მტკივა. მოდის «ძმაო». ფეხზე ძლივს დგას, კიტელი გახსნილი აქვს, ქვეშ მატროსის ზოლებიანი მაისური აცვია.

– ავღანეთიდან ხარ?

– არა.

– რა მნიშვნელობა აქვს. ავღანეთამდე არც ვიცოდი რა არის ინვალიდი. მერე მეგობრები ჩამოდიოდნენ უფეხოდ, უხელოდ, ბრმები. ბევრი ვერ უძლებდა, ტყდებოდნენ. შენ როგორ ხარ?

– ყველაფერი კარგადაა მაქვს. ცოლი. სამსახური.

– გამაგრდი, იცოცხლე.

ჩამოვდივართ ქალაქში. გადმოვყავარ. ის რაღაცას მიყვირის ფანჯრიდან.

მახსოვხარ, ძმაო.

ყველაფერი მახსოვს. მახსოვს შენი ზოლებიანი მაისური, შენი შეშლილი თვალები.

მახსოვხარ, ძმაო.

მაგრადა ვარ.

ბიგმაკი

თეთრკბილება ტელეწამყვანი ჩქარი, მომართული ხმით ამერიკული დემოკრატიის უპირატესობებზე მიყვება. არ ვუსმენ. ყველაფერი ვიცი, რასაც იტყვის. დარწმუნებული ვარ, მართალია. შეუძლია იამაყოს თავისი სამშობლოთი. კონსტიტუციით, ჰიმნითა და დროშით. მას აქვს «ბილი უფლებათა შესახებ», თავისუფლების ქანდაკება და მაკდონალდსი.

ყოჩაღად მიაშობს მსოფლიოში განთქმული სასაუზმეების სისტემის შესახებ. ნაღვლიანი კლოუნი ფერადი პლაკატიდან იდიოტური ღიმილით შემომცქერის. ბუტერბროდი და გაზიანი წყალი – რა უნდა იყოს ამაზე მარტივი? საქმიან კოსტიუმში

გამოწყობილი ტანწერწეტა ამერიკელი ამაოდ ცდილობს დამარწმუნოს, რომ ეს ბუტერბროდი უბუტერბროდულესია ბუტერბროდთა შორის, რომ ეს გაზიანი წყალი ყველაზე გაზიანია მსოფლიოში. სისულელეა. საჭმლის ხარისხი სულაც არ არის ჩემს ცხოვრებაში უმთავრესი.

ვიცი, რომ მაკდონალდის ყველა სასაუზმე უბარიერო გარემოს მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება. ვიცი, რომ ჩემი ეტლი თავისუფლად შევა ყველა კარში. მსოფლიოში ყველაზე თავაზიანი მოსამსახურეები მომეხმარებიან ტუალეტით სარგებლობაში, განთქმულ ბიგმაკს პატარა ნაჭრებად დამიჭრიან, კოკა-კოლას ჭიქაში მოსახერხებელ საწრუპს ჩამიდგამენ და პირთანაც მომიტანენ.

მორჩა. ეს საკმარისია. საკმარისზე მეტიცაა. ეს ძალიან გულუხვი საჩუქარია დამბლადაცემული ადამიანისათვის. ბუტერბროდი და კოკა-კოლა. პური და წყალი. საფუძველთა საფუძველი. თითოეული მოქალაქის გარანტირებული უფლება – ადგილი მზის ქვეშ.

დემოკრატია.

## I GO

ინგლისური ენა. საერთაშორისო ურთიერთობების, საქმიანი მოლაპარაკებების ენა. რუსულად თითქმის ყველაფრის თარგმნა შეიძლება. შექსპირის პოეზიიდან მაცივრის ინსტრუქციამდე. თითქმის ყველაფრის. თითქმის.

\* \* \*

ინვალიდის ეტლი. ამერიკული ინვალიდის ეტლი. ხელში – სამართავი ჯოისტიკი მიჭირავს. დამჯერ მანქანას ჩემი უმოძრაო სხეული პატარა ამერიკული ქალაქის ქუჩაზე გაჰყავს.

წითელზე გადავდივარ. ეს არც არის გასაკვირი. ცხოვრებაში პირველად გადავდივარ ქუჩაზე. ეტლი ჯერ კიდევ არ ემორჩილება კარგად ჩემი დამბლადაცემული ხელის ბრძანებებს.

მანქანები დგანან. მანქანიდან, მარცხენა რიგში რომ დგას, თავს ყოფს მხიარული მძღოლი, ხელს მიქნევს და რაღაც გამამხნეველებს მეძახის.

მოდის პოლიციელი. ჩემი გაგიჟებული შესახედაობით ხვდება, რატომაც დავარღვიე წესრიგი.

– ყველაფერი რიგზეა?

– დიახ.

– ძალიან სწორად მოქცეულხართ, სახლიდან გამოსვლა რომ გადაგიწყვეტიათ. წარმატებებს გისურვებთ.

\* \* \*

ჩემ გვერდით დიდი სისწრაფით მიქრის ქალი ინვალიდის ეტლით. პირში რესპირატორის მილი აქვს. ეტლის საზურგე ჰორიზონტალურადაა გადაწყობილი, ისე, რომ

გზას ეტლზე დამაგრებული სარკით ხედავს. ბორტზე დიდი ასოებით წერია: «მე მიყვარს სიცოცხლე»

\* \* \*

ბრმა ქალი სოციალური დაცვის ცენტრში თავისი ამასწინანდელი ვიზიტის შესახებ მიაშობს.

ცენტრის თანამშრომელმა რამდენიმე შეკითხვა დაუსვა.

– გაქვთ თუ არა სამუშაო?

– შეგიძლიათ თუ არა თქვენს თავს მოემსახუროთ?

– გყოფნით თუ არა შემოსავალი იმ დამატებითი მომსახურების დასაფარად, რომელიც თქვენი ინვალიდობითაა გამოწვეული?

როცა ყველა შეკითხვაზე დადებითი პასუხი მიიღო, ადგა და მშრალი, ოფიციალური ტონით სტანდარტული ფრაზა წარმოთქვა:

– გილოცავთ. თქვენ სოციალურად ადაპტირებული ხართ. დღეიდან თქვენ სოციალური მხარდაჭერა აღარ გჭირდებათ.

\* \* \*

პატარა ჩინური რესტორანი. ვიწრო კარი. ოთხი მაგიდა.

გამორბის ოფიციალური.

– ძალიან ვწუხვარ, ძალიან. ოფიციალურად ვიხდით ბოდიშს. სამწუხაროდ თქვენი ეტლი ვერ შევა ამ კარში. თუ ძალიან არ შეწუხდებით, იქნებ მეზობელ დარბაზში შეხვიდეთ. გარწმუნებთ, არაფერს არ დაკარგავთ. იგივე მენიუა, დარბაზის ისეთივე გაფორმება, იგივე შეფ-მზარეულია. ჩვენ სერტიფიკატი გვაქვს, შეგვიძლია წარმოგიდგინოთ. არავითარი დისკრიმინაცია.

შეწუხებული ვცდილობ დავამშვიდო, ვარწმუნებ, რომ ოდნავადაც არ შემაწუხებს გვერდითა დარბაზში შესვლა. ის მეორე დარბაზის შესასვლელამდე მიმაცილებს.

ეს დარბაზი ოდნავ დიდია. ოფიციალური თავისუფალ მაგიდამდე მიმყვება. სკამებს სწევს ჩემ წინ.

რესტორნის ზოგიერთი სტუმარი ფეხებს იღებს გასავლელიდან, ზოგი სულ არ აქცევს ჩემს ეტლს ყურადღებას. როცა ეტლის ბორბლები ვიღაცას ფეხზე გადაუვლის, ყვირიან. აბა რა. ეტლი მძიმეა. ჩვენ ერთმანეთს ვებოდიშებით.

ოფიციალური გაოცებით მიყურებს.

– რატომ იხდით ამდენ ბოდიშს? თქვენ ისეთივე უფლება გაქვთ ისადილოთ ამ რესტორანში, როგორც იმათ.

\* \* \*

ინვალიდის ეტლიანი ამერიკელი გოგონა სიამაყით მიჩვენებს ამწიან მიკროავტობუსს და მეუბნება, რომ ასეთი მიკროავტობუსები ამერიკის ყველა ტაქსოპარკში აქვთ.

– უკეთესი არ იქნებოდა, მსუბუქი მანქანები გადაეკეთებინათ ინვალიდებისათვის? ეს ხომ უფრო იაფი დაჯდება. – ვეკითხები მე.  
გოგონა დაბნეული და შეწუხებული მიყურებს.  
– მაგრამ გადაკეთებულ მსუბუქ მანქანაში მხოლოდ ერთი ეტლიანი კაცი ჩაეტევა! ბიჭი და გოგო რომ იყონ ერთად. რა, შენი აზრით სხვადასხვა მანქანით უნდა იარონ?

\* \* \*

რუსულად თითქმის ყველაფრის თარგმნა შეიძლება. შექსპირის პოეზიით დაწყებული და მაცივრის ინსტრუქციით დამთავრებული. თითქმის ყველაფრის. თითქმის.

მე შემოდის დიდხანს ვილაპარაკო ამერიკაზე. შემოდის დაუსრულებლად მოვყვე ინვალიდის ეტლებზე, «მოლაპარაკე» ლიფტებზე, სწორ გზებზე, პანდუსებზე, ამწიან მიკროავტობუსებზე. ბრმა პროგრამისტებზე, დამბლადაცემულ მეცნიერებზე. იმაზე, თუ როგორ ვიტყვით, როცა მითხრეს, რომ რუსეთში უნდა დაბრუნდე და ეტლი უნდა დატოვო.

მაგრამ გრძნობა, რომელიც დამეუფლა, როცა პირველად დავმარი ადგილიდან ამერიკული ტექნოლოგიის სასწაული, ყველაზე კარგად მოკლე და ტევადი ინგლისური ფრაზით გადმოიცემა «I გო». რუსულად ეს ფრაზა არ ითარგმნება.

## სამშობლო

მე და კატია პატარა მაღაზიაში შევდივართ პროდუქტებისათვის. კატია შიგნით შედის, მე შესასვლელთან ვრჩები. ტრეველ-ჩეკები კატიას სახელზეა გამოწერილი. რადგანაც მე წერა მიჭირს, კალამს ძლივს ვიჭერ ხელში. ჩემი ხელმოწერა მაინც ვერ დაიმსახურებს ნდობას. კატია პროდუქტს არჩევს და გამყიდველთან მიდის ფულის გადასახდელად. დახლში ხანში შესული არაბი დგას. ის რაღაცას ცხარედ უმტკიცებს, ხელებს იქნევს. კატიამ ინგლისური არ იცის და მოლაპარაკება მე მიხდება.

ეტლის ჯოისტიკს ვეხები და დახლთან მივგორავ.

– რაშია საქმე?

– ვერ მივიღებ თქვენს ჩეკს. მე მხოლოდ ათდოლარიან ჩეკებს ვიღებ, თქვენი კი ორმოცდაათიანია.

მე ამერიკაში ვარ. უკვე ორი კვირაა ამერიკაში ვარ. მშვიდადა ვარ. ისევ ვეხები ეტლის ჯოისტიკს და დახლთან სულ ახლო მივდივარ.

– გასაგებია. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ქვითარი ყალბია. შემომხედეთ, ვგავარ მხატვარს? ვგავარ იმ კაცს, ვისაც ყალბი ქვითრის დახატვა შეუძლია? ვგავარ თაღლითს? შეხედეთ ამ ეტლს, იცით, რა ღირს? მე გუშინაც თქვენთან ვიყიდე პროდუქტი, გუშინწინაც. დღესაც ვყიდულობ და, იმედი მაქვს, ხვალაც ვიყიდი. ეს ამერიკაა. თქვენ ყიდით, მე ვყიდულობ. თუ ჩეკი ნამდვილია, აიღეთ, თუ არა და პოლიციას დაუძახეთ.

ყურადღებით მისმენს. აშკარაა, საქმისადმი ასეთი მიდგომა მასაც აძლევს ხელს.

– კარგი, მივიღებ ამ ჩეკს. პალესტინელი ხარ?

– არა, ესპანელი.

– ესპანეთიდან?

- არა, რუსეთიდან.
- შინ როდის მიდიხარ?
- სამ დღეში.
- მოგენატრა ალბათ სამშობლო. სახლში მიგიწევს გული.
- არა, სულ არ მომნატრებია.
- რატომ?

- ცუდია იქ. იქ არც ასეთი ეტლებია, არც ტროტუარები, არც თქვენნაირი მაღაზიები. სულ არ მიმიწევს გული. ჩემი ნება რომ იყოს, სამუდამოდ აქ დავრჩებოდი.

თავს საყვედურით აქნევს. მაინც შემწყნარებლურად და ცოტათი სევდიანად შემომყურებს.

- ყმაწვილო, პატარა ბიჭი ხარ, შენ რა გესმის ამ ცხოვრებისა? აქ ცხოვრება არ შეიძლება. აქ ადამიანი მხეცია. აქ ერთი დოლარისთვის ხოცავენ ერთმანეთს. დღეში თოთხმეტ საათს ვმუშაობ, ფულს ვაგროვებ. მოვაგროვებ კიდევ ცოტას და წავალ სამშობლოში, პალესტინაში. იქ კიდევ ისვრიან. თქვენთანაც ხომ არ ისვრიან?

- არა.

ფულს ვიხდით, ვემშვიდობებით და მოვდივართ. გამოვდივარ მაღაზიიდან, ეტლით უკან ვტრიალდები და ვიტრინის შუშის მიღმა ხანშიშესულ არაბს შევყურებ. ბედნიერი! სამშობლო აქვს!

### თავისუფლება

სან-ფრანცისკო. ჩემი ოცნების ქალაქი, კაპიტალისტური ჯოჯოხეთის დასახლებული პუნქტი. გარიყულთა და უცნაურთა ქალაქი.

ტროტუარზე ვდგავარ. ამერიკაში ჩემი ყოფნის უკანასკნელი დღეა. ხვალ აეროპორტში წამიყვანენ. თვითმფრინავში ჩამსვამენ. თვითმფრინავი დროზე ჩამიყვანს რუსეთში. იქ, შორეულ რუსეთში, ფრთხილად დამაწვენენ დივანზე და სამუდამო პატიმრობას მომიხაჯიან ოთხ კედელში. კეთილი რუსი ადამიანები მიწილადებენ საჭმელს, არაყსაც დალევენ ჩემთან ერთად. არ მომშივდება და შეიძლება თბილადაც ვიყო. იქ ყველაფერი იქნება, თავისუფლების გარდა. ამიკრძალავენ შევხედო მზეს, ქალაქში სეირნობას, კაფეში ჯდომას. შემწყნარებლური ხმით ამიხსნიან, რომ ეს ფუფუნება მხოლოდ ნორმალური, სრულფასოვანი ხალხისთვისაა. მომცემენ კიდევ ცოტაოდენ საჭმელს და არაყს და კიდევ ერთხელ შემახსენებენ ჩემს უმადურობას. მეტყვიან, მეტისმეტს ნუ მოითხოვო, კიდევ ცოტა უნდა მოიცადო, ძალიან ცოტაო, ასე ორმოცდაათი წელიო. მე ყველას დავეთანხმები და თავსაც დაფუქნევ. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მეტყვიან და უსიტყვოდ მოვითმენ დამცირებას და შეურაცხყოფას. მივიღებ ჩემს არასრულფასოვნებას ისე, როგორც გარდაუვალ ბოროტებას, და აღსასრულს დაველოდები. როცა ეს გამაღლებული სიცოცხლე ყელში ამომივა, და ცოტაოდენ საწამლავს მოვითხოვ, რა თქმა უნდა, უარს მეტყვიან. უცბად სიკვდილი აკრძალულია იმ შორეულ და ჰუმანურ ქვეყანაში. მხოლოდ იმის უფლებას მომცემენ, ნელ-ნელა მოვიწამლო თავი არყით და კუჭის წყლულის ან ინფარქტის იმედადღა დავრჩე.

ტროტუარზე ვდგავარ. ბოლომდე თუ გამოვსწევ ელექტროეტლის სახელურს, ძლიერი მოტორი გაურკვევლობისაკენ გამაქანებს. თვითმფრინავი ჩემ გარეშე გაფრინდება. რამდენიმე დღეში ეტლს საწვავი გაუთავდება. საბუთებისა და ფულის

გარეშე თავს ვერ გავიტან ამ სასტიკ და მშვენიერ ქვეყანაში. მაქსიმუმი, რისი იმედიც მაქვს, თავისუფლების კიდევ ერთი დღეა, მერე – სიკვდილია.

\* \* \*

ეს ამერიკაა. აქ ყველაფერი იყიდება. საშინელი, სასტიკი ქვეყანაა. სიბრაღის იმედი ვერ გექნება. მაგრამ სიბრაღის ჯერ კიდევ რუსეთში ამომივიდა ყელში. მე უბრალო ბიზნესი მაძლევს ხელს.

ეს ამერიკაა.

– რა იყიდება?

– თავისუფლების დღე. ნამდვილი თავისუფლებისა. მზე. ჰაერი. ჩახუტებული წყვილები ძელსკამებზე. გიტარაზე დამკვრელი ჰიპი. უფლება, რომ კიდევ ერთხელ ნახო, როგორ აჭმევს პატარა გოგონა ციყვს ხელისგულიდან. პირველად და უკანასკნელად ნახო ღამის ქალაქი, ათასი მანქანის ფარების შუქი. უკანასკნელად დატკბე ნეონის ნათებებით, იოცნებო შეუძლებელ ბედნიერებაზე, ნეტა, ამ საოცარ ქვეყანაში დავბადებულიყავიო.

– რა ღირს?

– სიცოცხლეზე ცოტა ნაკლები.

– ვყიდულობ. ხურდა არ მინდა.

\* \* \*

მერე რუსეთში დილიდან-დაღამებამდე, მთელი თვე ვსვამდი არაყს, ღამღამობით ვტიროდი და მთვრალი, გონებაარეული ვცდილობდი მომეძებნა მითური, არარსებული ეტლის ჯოისტიკი. და ყოველდღე ვწუხდი იმაზე, რომ გადამწყვეტ წუთს არასწორი გადაწყვეტლება მივიღე.

### ნოვოჩერკასკი

მე მოსკოვში დავიბადე. მოსკოვი რუსეთის დედაქალაქია. მოსკოვზე ყველაფერი ვიცოდით სკოლაში. მოსკოვზე ვმღეროდით, ლექსებს ვამბობდით. გვეუბნებოდნენ, მოსკოვი ამქვეყნად ყველაზე კარგი, ყველაზე ლამაზი ქალაქიაო. არ ვიცი, მოსკოვში, ისევე როგორც სანკტ-პეტერბურგში, გავლით ვარ ნამყოფი. არ ვდავობ, შეიძლება ყველაფერი, რასაც გვიყვებოდნენ, მართალიც იყოს. შეიძლება ასეც იყოს, ბევრი ფიქრობს ასე, ყოველ შემთხვევაში, მოსკოველები.

საკუთარი თვალით მსოფლიოს სამი ქალაქი მინახავს, ნოვოჩერკასკი, ბერკლი და მადრიდი. მაგრამ პირველად ნოვოჩერკასკი ვნახე.

ნოვოჩერკასკზე ადრევე ვიცოდი. ნოვოჩერკასკზე ლეგენდებს ყვებოდნენ. ამბობდნენ, ნოვოჩერკასკის ბავშვთა სახლში ყოველდღე ჭამენ კარტოფილს, ზამთარ-ზაფხულო, ამბობდნენ, ნოვოჩერკასკში პამიდვრები ხარობსო. მარტო პამიდორი კი არა, გარგარი, საზამთრო და ნესვი იზრდება ამ ზღაპრულ ქალაქშიო, კიდე, ნიგოზი, ტკბილი წიწაკა და ყაბაყიო. ესენი მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ გამესინჯა. ისე წაკითხული მქონდა, ეს ხილი და ბოსტნეული სამხრეთში ხარობსო. ვემებდი ნოვოჩერკასკს მსოფლიოს გეოგრაფიულ რუკაზე, ვიცოდი, რუსეთის სამხრეთში რომ იყო. იმასაც ამბობდნენ, ვისაც

სულ არ შეუძლია სიარული, ნოვოჩერკასკის ინვალიდთა და მოხუცებულთა სახლში მიჰყავთო. სამსართულიანი აგურის სახლიაო. იქ ეტლით სიარული შეიძლება, იქ ექიმები და მომვლელები არიან, იქ დიდხანს ცოცხლობენ და მაშინვე არავინ კვდებაო. რა თქმა უნდა, ეს ზღაპარად მეჩვენებოდა, ტყუილ, აუხდენელ ოცნებად. მერე რა? მე მჯეროდა ნოვოჩერკასკის. მე ძალიან, ძალიან მჭირდებოდა ეს რწმენა.

ხანდახან ოცნებებიც ახდება ხოლმე, უბრალო ლატარიის ბილეთი დიდ ფულად იქცევა, გვიმრა აყვავდება, ობოლთან ფერია მიფრინდება. ერთ მშვენიერ, წარმოუდგენელ, დაუჯერებელ დღეს, ვიღაც ძალიან სერიოზულმა ძიამ მოსკოვში ძალიან სერიოზულ ქალად მოაწერა ხელი და მე ნოვოჩერკასკში გადამიყვანეს. ყველაფერი, რისიც ასე გულუბრყვილოდ მჯეროდა, სიმართლე გამოდგა. კარტოფილი და გარგარიც კი.

ახალგაზრდა და ასე თუ ისე ჯანმრთელი ვარ. მჯერა, მსოფლიოს არა ერთ ქალაქს ვნახავ. ვნახავ პარიზსა და ტოკიოს, რომსა და სიდნეის, ბუენოს-აირესსა და ბერკლის. აუცილებლად ვნახავ ბერკლის კიდევ ერთხელ. მჯერა, ეს ქალაქები ნამდვილად არსებობს, ისევე მჯერა, როგორც ერთ დროს ნოვოჩერკასკისა მჯეროდა.

მოსკოვში დავიბადე, ძალიან, ძალიან არ გამიმართლა, ამ საშინელ, შეშლილ ქალაქში რომ მოვევლინე ამ ქვეყანას. მე ნოვოჩერკასკში გამიმართლა. ნოვოჩერკასკი კარგი ქალაქია. ნამდვილად მოვკვდებოდი, რუსეთში ნოვოჩერკასკი რომ არ ყოფილიყო.

## შავი

როგორც ყოველთვის, ცხოვრებაში, თეთრს შავი ცვლის, წარმატებას იმედგაცრუება მოსდევს. ყველაფერი იცვლება, ყველაფერი უნდა შეიცვალოს. ასეც უნდა იყოს. ასეა დადგენილი. ვიცი ეს. არა ვარ წინააღმდეგი. ისღა დამრჩენია, იმედი მქონდეს. სასწაულის იმედი. მე გულწრფელად მსურს, ძალიან მიხნდა, რომ ჩემი შავი გაიწელოს, არ შეიცვალოს თეთრით.

არ მიყვარს თეთრი ფერი. თეთრი – უღონობისა და განწირულობის, საავადმყოფოს ჭერისა და თეთრი ზეწრების ფერია. გარანტირებული მზრუნველობა და მფარველობა, სიჩუმე, სიმშვიდე. არაფერი. საავადმყოფოს ცხოვრების სამუდამოდ გაწეილი არაფერი.

შავი – ბრძოლისა და იმედის ფერია. ფერი ღამეული ცის. საიმედო და მკაფიო ფონი სიზმრებისთვის, ხანმოკლე პაუზებისთვის, რომლებიც ყოფს ფიზიკური უძლურების ყოველდღიურ, ხანგრძლივ შუალედებს. ფერი ოცნებისა და ზღაპრის, დახუჭული ქუთუთოების შინასამყაროს ფერი. ფერი თავისუფლების, ფერი, რომელიც შევურჩიე ჩემს ელექტროეტლს.

ხოლო როცა ჩავივლი კეთილგანწყობილად უსახურ, თეთრხალათიან მანეკენებს შორის და, ბოლოსდაბოლოს, მივალწევ ჩემს აღსასრულს, ჩემს საკუთარ, მარადიულ ღამეს, ჩემგან დარჩება მხოლოდ სიტყვები. თეთრ ფონზე შავი ასოებით დაწერილი ჩემი სიტყვები. იმედი მაქვს.